

იონა მუხნაგია

სსოპრება და კოეზია  
ნიკოლოზ გარათაშვილისა

\* \* \*

საგ. საბ. ტეხ. ბამ-ბა  
„ტეჟნიკა და უსომა“

თბილისი

1945

იონა გეგნაკიძე

# სსრკ-ის და კომუნისტური ნიკოლოზ ბაკათაშვილისა

8454

სოლომონ ტაიშვილის

კლავსირით, წინასიტყვიან და შენიშვნებით

*იონა გეგნაკიძე  
ნიკოლოზ ბაკათაშვილის  
კლავსირით და შენიშვნებით  
გეგნაკიძე, იონა  
28-1-45*



*ი. გ. გეგნაკიძე 1945*

ს. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

თბილისი—1945

## ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის

### წინასიტყვა

„მამულს მოშორებულმა“ და „ჰსწორთა და მეგობართ მოკლებულმა“ პოეტმა ნ. ბარათაშვილმა სიკვდილის შემდეგ ნახევარ საუკუნემდე დაჰყო სამშობლოს გარეთ.

„წინაპართ საფლავებმა“ და მშობელმა ერმა გენიალური პოეტის მხოლოდ ძვლებილა დაიბრუნეს, როგორც ძვირფასი რამ საგანძური.

ეს „დაბრუნება“ 1893 წლის აპრილის 25-ს განსახიერდა. კვირა დღით, 9 საათზე და 30 წ. თბილისის რკინიგზის სადგურზე ბაქოდან ჩამოსული მატარებლის ერთერთ ვაგონიდან დიდი მოწიწებით გადმოსვენეს განჯიდან წამოღებული ძვირფასი ნეშტი დიდებული პოეტისა, რომლის წინაშე მუხლი მოიყარა ამ შეხვედრისათვის საგანგებოდ შეკრებილმა ხალხმა, როგორც ამას „ივერიის“ კორესპონდენტი გადმოგვცემს<sup>1</sup>. ეს აუარებელი ზღვა ხალხი ლიტანიით გაეძარტა დიდუბისაკენ. იქ მრავალი ძვირფასი გვირგვინით შემკული ამბიონი ელოდა ხალხის სიყვარულით სხივოსილ კუბოს, რომელიც ხელიდან-ხელში გადადიოდა, და მის ირგვლივ ლიტანია და მრავალი გუნდის მშვენიერი გალობა სრულდებოდა. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი წერეთლის, ნინო ორბელიანის, პოეტის მეგობრის ბიძინა ჩოლოყაშვილისა და სხვა იქ დანსწრეთა და წარმომადგენელთაგან წარმოქმულმა სიტყვებმა და ქართველი ერისათვის ამ მნიშვნელოვანი დღის აღსანიშნავად გამოცემულმა გაზ. „ივერიის“ სპეციალურმა<sup>2</sup> ნომერმა (85) სავსებით გაურკვევს ფართო საზოგადოებას, თუ ვინ იყო ნ. ბარათაშვილი.

<sup>1</sup> იხ. „ივერია“, 1893 წ. № 85.

<sup>2</sup> „ივერიის“ ამ ნომრის შინაარსი ამგვარია: 1. ნიკოლოზ ბ. ბარათაშვილი (მეთაური წერელი), 2. ნ. დადიანი—ბარათაშვილის გადმოსვენებაზე (ლექსი),

„ივერიის“, სწორედ, ამ სპეციალურ ნომერში, — რომელიც დიდი აღფრთოვნებით ეკავა ხელთ ამ ეროვნული დღის მონაწილეთა უმრავლესობას, — მოთავსდა ფელეტონებად პირველი თავი, — მეტად ორიგინალური შესავლით, — იონა მეუნარგიას შრომისა — „ცხოვრება და პოეზია თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. შემდეგაც გაგრძელდა მისი ბეჭდვა ამავე გაზეთის 103-ნომრამდე, რამაც მეტად საგულისხმო ფაქტები მიაწოდა მკითხველ საზოგადოებას პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ამ შრომას სულ მცირე 12—13 წლის დაუცხრომელი ძიება და უანგარო ჯათა უძღოდა წინ. ამას მოწმობს ავტორის მიერ გრ. ორბელიანისა, დიმ. ყიფიანისა და სამეგრელოს დედოფალ ეკატერინესაგან ჩაწერილი ცნობები ნიკ. ბარათაშვილზე და ერთი კერძო ბარათი, დაწერილი 1892 წლის 18 ივლისის თარიღით. იმ ხანებში ფოთს საშინელი ხოლერა მძვინვარებდა, მაგრამ ი. მეუნარგია, როგორც ქალაქის თავი, ვერ გასცილებია ამ სახიფათო ადგილს და მეუღლესა სწერს:

... „გაიგონებდი, ჩემო ნინუცი, რომ საზარელი ხოლერა გაგვიჩნდა ფოთში... დღეში სამი კაცი ხდება ავად და სამში ორი კვდება. მე ჯერ... კარგადა ვარ, თუმცა ხოლერიანებთან სულ ყოველ დღე დავდივარ, ხელს ვკიდებ და ვაწვეწვ ლოგინში თუ საფლავში. რაც შეიძლება, ვერიდები, მაგრამ წიგნში სწერია:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი“.

ვინ იცის როდის რა მოხდება, ვინ იცის როდის განახავ? ამის გამო გიგზავნი, ჩემო ნინუცი, ორს ჩემს ღვიძლ-ნადებ თხზულებას, ჩემს ზნეობრივსა და გონებრივ სიმდიდრეს „გრიგოლ ორბელიანსა“ და „ნიკო ბარათაშვილს“. ჩემი სული და ხორცი, ჩემი ცოლი და შვილი ისინი არიან... (ხაზი ჩემია—ს. ც.). შემინახე როგორც თვალის ჩინი. თუ მოკვდი, გადაეცი წიგნის გამოცემის ამხანაგობას, რომლის წიგნსაც ამასთანავე გიგზავნი. დიდი ხანია ესენი მთხოვენ, მაგრამ ვერ მოვითავე, როგორც მინდოდა, დრო ვერ ვი-

3. პაატა (მის. ნასიძის ფსევდონიმი)—ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია, 4. ი. მეუნარგია—ცხოვრება და პოეზია თ. ნ. ბარათაშვილისა, 5. დომინიკა ერისთავისა—თ. ნ. ბარათაშვილს (ლექსი), 6. სილოვან—ნიკ. ბარათაშვილის სახსოვრად (ლექსი), 7. პროფ. ალ. ცაგარელის აზრი ნ. ბარათაშვილზე, 8. ნარკვევი, 9. ნ. ბარათაშვილს—ლექსი გოგალსი, 10. თ. რაზიკაშვილი—ნ. ბარათაშვილის ნეშტს და სხვ. ასევე გრძელდება № 86, 87 და სხვ. ნომრებშიც.

შოვე. ამხანაგობას პირობად დაუდევია, რომ შეიტანოს წერა-კითხვის საზოგადოებაში ხუთასი მანეთი დასაარსებლად ფონდისა ლარობ მწერალთა სასარგებლოდ.

ასე, ჩემო ნინუცი, ღმერთი მოწყალეა და მე სიკვდილის არ შეშინია, მაგრამ აქას ყოველშემთხვევაში გიგზავნი...

მშვიდობით, ანუ ნახვამდის, შენი იონა<sup>1</sup>.

ამავე წერილის პოსტსკრიპტუმში ნათქვამია: „კარგია, მომაგონდა: „ორბელიანის ცხოვრება“ არ არის გადაწერილი. სულ იმას ვფაქრობდი 1887 წლიდან (ხაზი ჩემია—ს. ც.), ცოლს შევირთავ და გადავაწერინებ-მეთქი. ახლა შენ რომ წერა არ იცი, შე საძაგელო!.. გიბრძანებ, ისწავლო ქართული წერა. გადაშალე „ბარათაშვილის ცხოვრება“ 26 გვ.\* და დღეში ათჯერ გადაწერე ჩემი ხელის მიმსგავსებით ის ადგილია ბიოგრაფიისა, საცა კოცნაზეა ლაპარაკი. მასიამოვნებ, თუ კარგ წერას ისწავლი და ერთი კვირის შემდეგ გამომიგზავნი ნიმუშად შენს ნაწერს.

არ დამღუპო, ნინო, სტოლზე არ დასტოვო და ბავშვებს არ დამიგლეჯინო ეს ფურცლები, უთუოდ ყუთში გქონდეს შენახული“.

ამგვარად, „ცხოვრება“ ბარათაშვილისა და ორბელიანისა ი. მეუნარგიას 1887 წ. ძირითადად დამთავრებული ჰქონია. ამას ადასტურება ამჟამად ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის აღნიშნული წლით დათარიღებული ავტოგრაფული სატიტულე გვერდები.

პოეტის მეგობრის კონსტანტინე მამაცაშვილისა<sup>1</sup> და ზაქარია ჭიჭინაძის<sup>2</sup> მიერ შეგროვილ ანგარიშგასაწევ ფაქტებისა და ეპიზოდების შემდეგ, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი და მეცნიერული ნდობით აღჭურვილი ბიოგრაფი იონა მეუნარგია იყო. მისი მუშაობის უმთავრესი ღირსება მდგომარეობს იმ ფაქტებისა, ცნობებისა და ეპიზოდების სისწორეში, რომლებსაც იგი ჰკრეფს პოეტის თითქმის ყველა მახლობელ და შორეულ ნათესავთა, სკოლის ამხანაგთა და ნაცნობ-მეგობართა შორის, და ამგვარად შეგროვილი მასალის დოკუმენტურად შემოწმებასა და დაზუსტებაში. ამიტომ არის, რომ შემდეგმა მკვლევარებმა, მიუხედავად იდი მუშაობისა და ძიების ჩატარებისა, ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების აღწერას თითქმის ვერავითარი საგულიანშია ფაქტი თუ ოფიციალური ცნობა ვერ შე-

<sup>1</sup> იბ. „დროება“ № 206, 1881 წ.

<sup>2</sup> ი. მთაწმინდელი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ 1885 წ.

\* აქ ნახვევებია ხელნაწერის გვერდი, ამ გამოცემაში—იქ ეს ადგილი 28 გვერდზეა.—ს. ც.

„ივერიის“, სწორედ, ამ სპეციალურ ნომერში,—რომელიც დიდი აღფრთოვნებით ეკავა ხელთ ამ ეროვნული დღის მონაწილეთა უმრავლესობას,—მოთავსდა ფელეტონებად პირველი თავი,—მეტად ორიგინალური შესავლით,—იონა მეუნარგიას შრომისა—„ცხოვრება და პოეზია თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. შემდეგაც გაგრძელდა მისი ბეჭდვა ამავე გაზეთის 103-ნომრამდე, რამაც მეტად საგულისხმო ფაქტები მიაწოდა მკითხველ საზოგადოებას პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ამ შრომას სულ მცირე 12—13 წლის დაუცხრომელი ძეგბა და უანგარო ჯათა უძლოდა წინ. ამას მოწმობს ავტორის მიერ გრ. ორბელიანისა, დიმ. ყიფიანისა და სამეგრელოს დედოფალ ეკატერინესაგან ჩაწერილი ცნობები ნიკ. ბარათაშვილზე და ერთი კერძო ბარათი, დაწერილი 1892 წლის 18 ივლისის თარიღით. იმ ხანებში ფოთს საშინელი ხოლერა მძვინვარებდა, მაგრამ ი. მეუნარგია, როგორც ქალაქის თავი, ვერ გასცილებია ამ სახიფათო ადგილს და მეუღლესა სწერს:

... „გაიგონებდი, ჩემო ნინუცი, რომ საზარელი ხოლერა გაგიჩნდა ფოთში... დღეში სამი კაცი ხდება ავად და სამში ორი კვდება. მე ჯერ... კარგადა ვა, თუმცა ხოლერიანებთან სულ ყოველ დღე დავდივარ, ხელს ვკიდებ და ვაწვენ ლოგინში თუ საფლავში. რაც შეიძლება, ვერიდები, მაგრამ წიგნში სწერია:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი“.

ვინ იცის როდის რა მოხდება, ვინ იცის როდის განახვამის გამო გიგზავნი, ჩემო ნინუცი, ორს ჩემს ღვიძლ-ნადებ თხზულებას, ჩემს ზნეობრივსა და გონებრივ სიმდიდრეს „გრიგოლ ორბელიანსა“ და „ნიკო ბარათაშვილს“. ჩემი სული და ხორცი, ჩემი ცოლი და შვილი ისინი არიან... (ხაზი ჩემია—ს. ც.). შემინახე როგორც თვალის ჩინი. თუ მოვეკედი, გადაეცი წიგნის გამოცემის ამბავსა, რომლის წიგნსაც ამასთანავე გიგზავნი. დიდი ხანია ესენი მთხოვენ, მაგრამ ვერ მოვათავე, როგორც მინდოდა, დრო ვერ ვი-

3. პატა (მის. ნასიძის ფსევდონიმი)—ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია, 4. ი. მეუნარგია—ცხოვრება და პოეზია თ. ნ. ბარათაშვილისა, 5. დომინიკა ერისთავისა—თ. ნ. ბარათაშვილს (ლექსი), 6. სილოვან—ნიკ. ბარათაშვილის სასწავლო (ლექსი), 7. პროფ. ალ. ცაგარელის აზრი ნ. ბარათაშვილზე, 8. ნარკვევი, 9. ნ. ბარათაშვილს—ლექსი გოგალსი, 10. თ. რაზიკაშვილი—ნ. ბარათაშვილის ნეშტს და სხვ. ასევე გრძელდება № 86, 87 და სხვ. ნომრებშიც.

შოგე. ამხანაგობას პირობად დაუდევრი, რომ შეიტანოს წერა-კითხვის საზოგადოებაში ხუთასი მანეთი დასაარსებლად ფონდისა ღარიბ მწერალთა სასარგებლოდ.

ასე, ჩემო ნინუცი, ღმერთი მოწყალეა და მე სიკვდილის არ შეშინია, მაგრამ აქას ყოველშემთხვევაში გიგზავნი...

მშვიდობით, ანუ ნახვამდის, შენი იონა“.

ამავე წერილის პოსტსკრიპტუმში ნათქვამია: „კარგია, მომაგონდა: „ორბელიანის ცხოვრება“ არ არის გადაწერილი. სულ იმას ვფაქრობდი 1887 წლიდან (ხაზი ჩემია—ს. ც.), ცოლს შევირთავ და გადავაწერინებ-მეთქი. ახლა შენ რომ წერა არ იცი, შენ სადავგელო!.. გიბრძანებ, ისწავლო ქართული წერა. გადაშალე „ბარათაშვილის ცხოვრება“ 26 გვ.\* და დღეში ათჯერ გადაწერე ჩემი ხელის მიმსგავსებით ის ადგილი ბიოგრაფიისა, საცა კოცნაზეა ლაპარაკი. მასიამოვნებ, თუ კარგ წერას ისწავლი და ერთი კვირის შემდეგ გამომიგზავნა ნიმუშად შენს ნაწერს.

არ დამღუპო, ნინო, სტოლზე არ დასტოვო და ბავშვებს არ დამიკლევჯინო ეს ფურცლები, უთუოდ ყუთში გქონდეს შენახული“.

ამგვარად, „ცხოვრება“ ბარათაშვილისა და ორბელიანისა ი. მეუნარგიას 1887 წ. ძირითადად დამთავრებული ჰქონია. ამას ადასტურებს ამჟამად ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის აღნიშნული წლით დათარიღებული ავტოგრაფული სატიტულე გვერდები.

პოეტის მეგობრის კონსტანტინე მამაცაშვილისა<sup>1</sup> და ზაქარია ჭიჭინაძის<sup>2</sup> მიერ შეგროვილ ანგარიშგასაწევ ფაქტებისა და ეპიზოდების შემდეგ, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი და მეცნიერული ნდობით აღჭურვილი ბიოგრაფი იონა მეუნარგია იყო. მისი მუშაობის უმთავრესი ღირსება მდგომარეობს იმ ფაქტებისა, ცნობებისა და ეპიზოდების სისწორეში, რომლებსაც იგი ჰკრეფს პოეტის თითქმის ყველა მახლობელ და შორეულ ნათესავთა, სკოლის ამხანაგთა და ნაცნობ-მეგობართა შორის, და ამგვარად შეგროვილი მასალის დოკუმენტურად შემოწმებასა და დაზუსტებაში. ამიტომ არის, რომ შემდეგმა მკვლევარებმა, მიუხედავად იდი მუშაობისა და ძიების ჩატარებისა, ხ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების აღწერას თითქმის ვერავითარი საგულიანმო ფაქტი თუ ოფიციალური ცნობა ვერ შე-

<sup>1</sup> იხ. „დროება“ № 206, 1881 წ.

<sup>2</sup> ხ. მთაწმინდელი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ 1885 წ.

\* აქ ნაჩვენებია ხელნაწერის გვერდი, ამ გამოცემაში—კი ეს ადგილი 28 გვერდზეა.—ს. ც.

მატეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დაბადების თარიღის ერთი წლით შემცირებას; --რაც კვლავ საექვო და შესასწავლი საკითხია<sup>1</sup>, -- და გარდაცვალების დროის დოკუმენტურად დაზუსტებას<sup>2</sup>.

ი. მეუნარგიას აღსანიშნავი წვლილი აქვს აგრეთვე შეტანილი ნ. ბარათაშვილის ლექსების აღმოჩენასა და შეკრებაში. იმ დროში ბეჭდვითი ორგანოსა და სტამბის სრული უქონლობის გამო, საქართველოს საუკეთესო მწერალთა მთელი რიგი საუკეთესო თხზულებები ხელნაწერის სახით გავრცელებული, ამათუთჲ კერძო ოჯახის საკუთრებას შეადგენდა, რაც იყო მიზეზი მრავალ საგულისხმო ნაწარმოების დაღუპვისა. ამ უბედურებას ვერც ბარათაშვილის ზოგიერთი ქმნილება გადაარჩენია. ცნობილია, რომ მისი დიდი პოემა „ივერიელი“ და ბევრი სხვა ლირიკული ლექსიც აჩვეარი მღვთმარეობის მსხვერპლი გამხდარა.

ჟურნალ „ივერიის“ 1882 წ. № 4—5 (გვ. 55) ი. მეუნარგიამ გამოაქვეყნა ნ. ბარათაშვილის ხუთი ახალი ლექსი, რომლებიც პოეტის თხზულებათა პირველსა (1876) და მეორე (1879) გამოცემებში არ შესულან, რადგან არ იყვნენ აღმოჩენილნი; და ეს ისეთი ლექსებია, როგორცაა: 1) ძია გრ--სთან, 2) ღამე ყაბახზედ, 3) ნა... ფორტოპიანოზე მომღერალი, 4) როს ბედნიერ ვარ... და 5) ცისა ფერს..., რომელთაც ილია ჭავჭავაძის ჟურნ. „ივერიის“ რედაქციამ ამგვარი შენიშვნა გაუკეთა:

„ეს ძვირფასი ლექსები ნ. ბარათაშვილისა მოგვიკიდა ზვენბ. იონა მეუნარგიასაგან, რომელსაც სამეგრელოს დედოფლის, უგანათლებულესის კნ. ეკატერინეს ქალაქებში უპოვნია, ხუთივე ლექსი ნ. ბარათაშვილის ხელით არის დაწერილი და მათ სინამდვილეს დედოფალიც ამტკიცებს. თითონ ლექსის კილოზედ ეტყობა, რომ სწორედ ნ. ბარათაშვილის კალამს უნდა ეკუთვნოდნენ“... ხო-

<sup>1</sup> კ. მამაცაშვილისა და ი. მეუნარგიას ცნობით ნ. ბარათაშვილი 1816 წლის 22 ნოემბერს დაბადებულა, ხოლო აშუამად საქ. ცენტრ. არქ. აღმოჩენილ მასალების მიხედვით -- 1817 წლის 15 დეკემბერს (იხ. „ლიტ. მატეანე“, გვ. 518), რაც საექვო უნდა იყოს იმიტომ, რომ ნიკოლოზის მომდევნო ძმის დავითის დაბადება მეტრიკულ ჩანაწერში (რაც საქართველოში 1818 წლიდან იქნა შემოღებული) აღნიშნულია 1818 წლ. 21 სექტემბრის თარიღით (იხ. „ლიტ. მატეანე“, გვ. 521). ამგვარად, დროის ეს მანძილი მეტად მცირეა პირველიდან მეორე მშობიარობამდე.

<sup>2</sup> იხ. „ლიტ. მემკვიდრეობა“, წ. I, გვ. 631, ი. ბალახაშვილი -- „ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღი“.



ლო თვითონ მეუნარგია მცირე სქოლიოს დაჯერდა, რომ ეთქვა: პირველი სამი ლექსი „არის დაწერილი ბარათაშვილის ხელით მისს ლექსთა კრებაში, ერთს პატარა რვეულში, ფერად ქაღალდზე. რვეული გადაწერილია 1841 წ.“ ხოლო, მე-4 და 5, ე. ი. ორი უკანასკნელი „ლექსიც ბარათაშვილის ხელით არის დაწერილი მეოთხედ ფურცელ ქაღალდზე, მაგრამ მისგან ხელმოწერილი არ არის. სინამდვილეს, ხელს გარდა, თვითონ დედოფალიც ამტკიცებსო“. ეს ის დედოფალი იყო რომელიც ერთ დროს ჭაბუკ მგოსნისათვის ტრფიალების „საგანს“ წარმოადგენდა; 80-ან წლებში კი იგი უკვე ხანდაზმული ცოცხალი მატინე იყო, რომელიც ახალგაზრდა მკვლევარს ი. მეუნარგიას უამბობდა თავის მოგონებებს და თან გავლილ დღეებსაც ერთგვარ ხარკს უხდიდა.

მიუხედავად ამგვარი ძიებისა, პოეტის ცხოვრებიდან ბევრი რამ დარჩა საიდუმლო და შეუცნობელი. ჩვენში განმტკიცებულ საერთო ჩვეულების ძალით, თანამედროვეებმა ვერ უზრუნველჰყვეს დიდი პოეტის „ცხოვრების აღწერის“ სრულყოფილობა. კონსტანტინე დიმიტრის-ძე ყიფიანის გადმოცემით, თვით „პოეტის დებმა არც ერთი ლექსი თავიანთი სახელოვანი ძმისა არ იცოდნენ და როდესაც იმათთან ვაქებდით და ვადიდებდით ჩვენს პოეტს, ისინი როგორღაც უნდობლად იღიმებოდნენ“<sup>1</sup>.

ამგვარმა „უნდობლობამ“ და „შეუფასებლობამ“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდხანს გასტანა ნ. ბარათაშვილის გარშემო. პირველი იყო გიორგი ერისთავი, რომელმაც დაარღვია ეს ღუმელი და „ბედის სამძღვარი“ პოეტისა. მან თავის ჟურნალ „ცისკრის“ გვერდები დაამშვენა თავისი მეგობრის ტატოს ლექსებით და დეითონაც მშვენიერ ლირიკულ ელეგიაში გულისტკივილით მიმართა უდროოდ დაკარგულ პოეტს:

ჟჟურებ, ტატო რომელ ვარსკვლავად გამობრწყინდების.

მაგრამ პოეტის სრული აღდგენა მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ შესძლო. ამ დიდი რეზონანსის შედეგი იყო ეს „ცხოვრების აღწერაც“, რომელიც ილიამ კიდევ თავდაპირველად მოათავსა თავისივე გაზეთ „ივერიაში“. შემდეგ კი ეს შრომა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას დაერთო (1922 წ.).

<sup>1</sup> იხ. ნ. ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემის 245 გვ.

ნამდვილად კი არც პირველსა და არც მეორე შემთხვევაში იგი არ იყო დამთავრებული და აი რატომ: „ივერიაში“ მოთავსებულს მას „ცხოვრება და პოეზია“ ერქვა. დაასრულა თუ არა ბიოგრაფმა ცხოვრების ნაწილი, პოეზიის გარჩევაზე გადავიდა, მაგრამ მხოლოდ სამი თავის (VI, VII, VIII) დაწერის შემდეგ შეწყვიტა ბეჭდვა. როგორც მისი შემომოყვანილ წერილიდან გავიგეთ, უღროობისა გამო იგი მას შემდეგაც ვერ დაუმთავრებია.

რაც შეეხება დასახელებულ აკადემიურ გამოცემისადმი დართულ „ცხოვრებას“, აქედან ეგ სამი თავი (პოეზია) სრულიად ამოღებულია, სამაგიეროდ მას დამატებული აქვს: პოეტის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან—თბილისს, მისი დაკრძალვა დიდუბის პანთეონში და აქ წარმოთქმული სიტყვები ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და „კლდიდამ გადმომქუხარი“ ლექსი ვაჟა-ფშაველასი. „ივერიაში“ დაბეჭდილთან შედარებით ხსენებულ ტექსტიდან აგრეთვე ამოღებულია რამდენიმე ადგილი ცალკეული აბზაცები და სიტყვებიც.

წინამდებარე გამოცემაში კი სრულად აღდგენილია ბიოგრაფიის პირვანდელი ვარიანტი „ივერიაში“ მოთავსებული ფელეტონების მიხედვით და ჩართულია თავის ადგილას დასახელებული სამი თავი (VI, VII და VIII), რომელთაც, როგორც ფინალი, მე-9 თავად მიჰყვება პოეტის ნეშტის განჯიდან—თბილისში გადმოსვენებისა და დიდუბეში დაკრძალვის ისტორია.

ამგვარად, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფის, — იონა ჩუხნარგიას—ეს საქმის სიყვარულითა და უანგარობით შესრულებული ნაშრომი და, როგორც თვითონ უწოდებს, მისი „ზნეობრივი და გონებრივი“ სიმდიდრე, მთლიანად აღდგენილია თავისი პირვანდელი სახით.

დღეს, როდესაც მთელი საქართველო დიდი გულსხმიერებით აღნიშნავს პოეტის გარდაცვალების ასი წლისთავს, ხდება გავლილი დღეების ერთგვარი შეჯამება და ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის ნამდვილი შეფასება და ერის წინაშე დიდი პოეტის დამსახურებისა და დეაწლის ღირსეული დაგვირგვინება, წინამდებარე შრომის დავიწყება მიზანშეუწონელი იქნებოდა. იგი პირველწყაროა და, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო სანდოც პოეტის, როგორც ცხოვრების, ისე პოეზიის ზოკი საკითხის გარკვევა - შესწავლის საქმეში. მეტი რომ არა ვთქვათ, ნახევარი საუკუნის მანძილზე ეს ბიოგრაფია იყო ერთერთი სახელმძღვანელო,

საიდანაც ჰკრეფდა დასაყრდენ ცნობებსა და მასალას ყოველი მკვლევარი თუ კრიტიკოსი ბარათაშვილისა, და საიდანაც შესაძლებელი ხდებოდა გზის გაკვლევა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთი მხარის გამოსარკვევად.

რაც შეეხება პოეზიის გარჩევის დასახელებულ სამ თავს, მათ, საიწუხაროდ, სხვა დანარჩენი აუცილებელი თავები ვერ მოსდევს და ამდენად მოკლებული ვართ წარმოვიდგინოთ ავტორის მთლიანი აზრი. მიუხედავად ამისა, მას შინაც აქვს ლიტერატურული კრიტიკის ღირებულება. ავტორის აზრი ძირითადადში უერთდება ნ. ბარათაშვილის პოეზიის შესახებ ილია ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებულ მთავარ დებულებას, რომ ბარათაშვილის სულისკვეთება ზოგად კაცობრიულია, რომ ბარათაშვილის „შევად მღელვარი ფიქრები“ უნათესავედება ბაირონის მშფოთვარე ფიქრებსა და გრძნობათა მღელვარებას, რომ ბარათაშვილი პესიმისტია, მაგრამ დაუცხრომლად მებრძოლი მგოსანი, რომელმაც „ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“...<sup>1</sup>;

იონა მეუნარგიას კრიტიკული ეტიუდიც ბევრად უფრო ადრე დაიწერა და გამოვიდა ქართული მწერლობისა და აზროვნების არეზე. მისი ორიგინალური ხმა და გააზრებული დებულებანი ლიტერატურული კრიტიკის დღევანდელობაშიც კპოულობენ გამოხმაურებასა და სარბიელს.

მაგალითები საკმაოდ მოიპოვება:

პირველად ხომ იონა მეუნარგიამ სცადა ერთგვარი ანალიზი თუ მიმოხილვა ეპოქისა, დროისა, თუ მთელი საუკუნისაც, მწერლობისა და საზოგადოებრიობისა, რომელთაც თავისებური გავლენა იქონიეს ბარათაშვილის პოეზიაზე, პოეტის სამწერლო სტილსა და თემატიკაზე, რომელიც უნებურად უხდიდა ხარკს „დროებისგან აგებულ იმ

<sup>1</sup> იხ. ნ. ბარათაშვილი—ლექსები და წერილები, დ. კარიჭაშვილის რედ., 1910 წ. გვ. 10—19.

ქლიერ. შენობას“, სადაც პოეტი თვითონვე ცხოვრობდა. „გონებრივსა და ზნეობრივ სფეროში, რაც ღროს შეუქმნია, იმის შემუსვრა მხოლოდ ღროს შეუძლია“ — ამბობს მოკრძალებით ბარათაშვილის curriculum vitae-ს ავტორი პოეტის ქმნილებათა გარჩევის შესავალშივე და ცდილობს დაადგინოს ამ ქმნილებათა საწყისები და სათავეები.

მეუნარგიას აზრით, კაბუკი მგოსნის პირველი შთამგონებელი მისი საყვარელი „ძია გრიგოლი“ იყო. 1827 წ. დაწერილმა „სადღეგრძელომ“ გადამწყვეტი როლი შეასრულა ნ. ბარათაშვილის პოეტური მრწამსის შექმნაში. ეს საკითხი შემდეგ არა თუ იქნა უარყოფილი, პირიქით, უფრო ფართოდ გაიშალა და დამუშავდა მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში<sup>1</sup>.

დასასრულ, აღსანიშნავია ის საგულისხმო შეხვეობა რუსთველისა და ბარათაშვილის პოეტური გააზრებისა, რომელსაც ი. მეუნარგია „რუსთაველის ტაეპის გახსენებას უწოდებს და მოყავს რა „მერანი“-დან სტრიქონები:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა,  
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის...

და სხვათა შესახებ რეტი თავისებურად ამბობს, რომ: „თვით რუსთაველსაც არა აქვს ეს განწყობილება ბარათაშვილზედ უკეთესად გამოთქმული. გაიხსენეთ ის ტაეპი „ვეფხის-ტყაოსნისა“, სადაც ავთანდილი სწერს როსტევეან მეფეს:

თუ საწუთრომან დამამზოს, ყოველთა დამამზობელმან,  
ღარიბი მოკვდე ღარიბად, ვერ დამიტროს მშობელმან,  
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან...

და დასძენს, რომ სხვა მოტივების გამოსახვა-კი ბარათაშვილს არც იმდენად ემარჯვებოდაო<sup>2</sup>. ეს მოსაზრება ბარათაშვილის პოეზიის შესწავლის უკანასკნელ საფეხურზე კიდევ უფრო ფართოდ გახმაურდა და პოპულარული გახდა, თუმცა მისი პირველი შემნიშვნელი, სამწუხაროდ, სრულიად იგნორირებულიქნა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. კ. აბაშიძე, ეტაუდები, ტ. I, გ. ჯავახიშვილი, 1922 წ. აკად. გამოც. ბარათაშვილის თხზულებათა; ს. კილაია „მნათობი“ 1944 წ. № 3, გვ. 99; გ. აბ-ზიანიძე — „ლიტერატურული ძიებანი“ 1843 წ. № 1, გვ. 182 და სხვ.

<sup>2</sup> იხ. „ვეფხია“ 1893, № 103.

<sup>3</sup> იხ. ნ. ბარათაშვილი, გამომც. „ფედერაცია“, 1939 წ., გვ. LXXX.

არ ვამბობთ, რომ აღნიშნული კრიტიკა ბარათაშვილის პოეზიისა სავსებით მისაღებია, გამართული, უზადო და ამომწურავი: არა. მას ბევრი ნაკლი აქვს. პირველყოფლისა იგი დაუმთავრებელია, ფრაგმენტული სახით არის ჩვენამდე მოღწეული. ავტორმა ვერ შესძლო თავისი ყველა მოსაზრების სრულად წარმოდგენა, რიგი სწორად დასმული საკითხებისა, როგორც აღნიშნეთ, ვერ არის სათანადოდ გაშლილი და განვითარებული, ხოლო ზოგიერთი მოსაზრება მიუღებელიც არის. მაგალ., ეტიუდის ავტორის აზრით „მერანი“ არ არის სრულად ორიგინალური ნაწარმოები, არამედ მიბაძვაა მიცკევიჩის „ფარისისა“. ეს მოსაზრება შემდეგში, კ. აბაშიძემაც მთლიანად გაიმეორა. მაგრამ ის ნაწილი „მერანის“ გარჩევისა, საცა ის სრული მიმოხილვის სახით, მთელ სიგრძეზე პარალელს ავლებს მიცკევიჩის „ფარისისა“ და „მერანს“ შორის, უეჭვოდ ანგარიშგასაწევიან. გარდა ღინამიურობისა, სიუჟეტური განვითარებისა და ფაბულური შეხვედრებისა, ნაწარმოებშია ლექსალური შეხვედრებიც არის. ხოლო რაც ხაზგასასმელია—წერს ი. მეუნარგია,—„ბარათაშვილის მერანი“ დაწერილია იმგვარსავე შემთხვევის გამო, რომლის გამოც დაწერილია მიცკევიჩის პოემა. როგორც ამ უკანასკნელმა დასწერა „ფარისი“ რჟევეუსკის დაკარგვის გამო, ბარათაშვილმაც, როგორც ის თვითონ აღნიშნავს გრ. ორბელიანთან მიწერილ ერთს წიგნში, დასწერა ჩემს „მერანს“ მაშინ, როდესაც შეიტყო, რომ მისი საყვარელი ბიძა ილია ორბელიანი დაკარგულიყო—შამილის მიურიდებს მოეტაცხათ და რყვედ წაეყვანათ <sup>1</sup>.

მაგრამ განსხვავება ამ ორ ლექსს შორის მაინც დიდიაო,—აღნიშნავს თვითონ ეტიუდის ავტორი, რადგან „ფარისის“ ლტოლვა უმიზნოა, ხოლო „მერანისა“ მიზნობრივი და პერსპექტივიანი. მსგავს ფაქტისაგან შექმნილ მსგავს განწყობილებათა გამოსახატავად,—დასძენს კვლავ ავტორი, „ბარათაშვილმა ჩინებულად გამოიყენა მიცკევიჩის ლექსის საერთო ფონი“ და შექმნა ქართული პოეზიის იმგვარი შედეგრი, რომელსაც ბევრი ვერ დაეხედება მსოფლიო პოეზიაში. თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში ამ საკითხის გარშემო სხვაზე უფრო მისაღებ გაშუქებას, იძლევა ახალგაზრდა კრიტიკოსი გ. ჯიბლაძე <sup>2</sup>, რომელიც საკითხის დასმით ძლიერ უახლოვდება ზემოდასახელებულ დებულებას.

<sup>1</sup> „ივერია“ № 103, 1893 წ.

<sup>2</sup> იხ. გ. ჯიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები“, გვ. 53—74.

ამგვარად, წინამდებარე წიგნი „ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“, პირველად ავტორის ხელიდან გამოსული, მთლიანად წარმოდგენილია მკითხველის წინაშე, როგორც უკვე მასალა პოეტის მომავალი და სრულყოფილი ბიოგრაფიის აღსადგენად. ამიტომ მას დამატების სახით დაეურთეთ აგრეთვე ბიოგრაფიის უბის წიგნებიდან ამოკრეფილი ჩანაწერები. მათი უმეტესობა სხვადასხვა მიზეზის (გვიან მიღება, საკითხთან დაუკავშირებლობა და სხვ.) გამო ბიოგრაფს თავის დროზე ვერ გამოუყენებია, ან გამოუყენებია სხვა სახით. აღნიშნული უბისა თუ „სამახსოვრო წიგნები“<sup>1</sup> ამჟღავნებენ, რომ ნ. ბარათაშვილის ცხოვრების აღწერის პროცესში ავტორისათვის საჭირო მასალისა და ცნობათა მიმწოდებელი ყოფილან პოეტის ისეთი თანამედროვენი, როგორც იყვნენ თვითონ პოეტის დები: ბარბარე ვეზირაშვილი, ნინო ბარათაშვილი და სოფიო სუმბათაშვილი, ბიძა გრ. ორბელიანი, ბიძაშვილი გიორგი ილიასძე ორბელიანი, დავ. აღ. ჭავჭავაძე, დიმ. ყიფიანი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ლევან მელიქიშვილი, ქეთევან ორბელიანი, ივ. ბაგრატიონ-მუხრანელი, აღ. საგინაშვილი, იასე ანდრონიკაშვილი, ლუკა ისარლიშვილი, ეკატერინე, გრიგოლ და კონსტანტინე დადიანები და სხვ., რომელთაგან მიღებული ცნობები, როგორც ანგარიშგასაწევი, მოგვყავს იმ სახით, როგორც ისინი პირველადვე ჩაწერილი.

რაც შეეხება პოეტის ნამდვილ პორტრეტს, ასეთი ჯერ არაა აღმოჩენილი, ხოლო დღემდის გაერცელებული ყალბი სურათისა და თუმანიშვილასეული საყოყმანო ესკიზის მოთავსებას ვარჩიეო ამ წიგნის დამატებაში მოგვეყვანა თანამედროვეთა მკვლევანთა პოეტის სახეს შესახებ.

სოლომონ ცაიშვილი

4 აგვისტო, 1945 წ.

თბილისი

<sup>1</sup> იხ. ზუგდიდის სახ. ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმის იონა მეუნარგისეული არქივი.

ცხოვრება და კოეზია  
ნიკოლოზ ბაკათაშვილისა

წიგნი ნიკოლოზ ბაკათაშვილის-მე ერთსთავს.

\* \* \*

ბარათაანთ გვარს შესანიშნავი მწერალი ემართა. იმ მოდგმათა რაზმს, რომელიც მოჰყვა ბარათას და ჯამბაკურის ჩამომავალთა მას შემდეგ, რაც ესენი ძველთა-ძველად გადმოსასლდნენ საქართველოში „ვიდრე ხუთი ათასითა რდენ მეკომურისა კაცითა“, იმ მდიდარს და პოხიერ სისხლს, რომლის შორეულმა ტალღამ მისცა ჩვენს მწერლობას ნიკო ბარათაშვილი, არა ერთი კაცი გამოუჩენია საქვეყნოდ განთქმული სამშობლოს ერთგულებითა და ვაჟკაცობით. დრო იყო, როცა თითო ბარათაშვილი თითო ჯარად უღირდა საქართველოს. მაგრამ სამწერლო სარბიელზე ამათში მხოლოდ ორბელიანთ გვარს ჰქონდა შეკვლეული გზა. ბარათაანთ სახელი ამ ასპარეზზე პირველად იმან შეიტანა, როქლის ცხოვრების აღწერას ეკუთვნის ეს მცირე შრომა. ეს გვარის დამამშვენებელი კაცი არის ჩვენი სასიქადულო პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

### I.

ბარათაშვილის დედ-მამა.— მისი დაბადება,— პირველად წყებითი სწავლა კალოუზნის სასწავლებელში,— კეთილშობილთა სასწავლებელი,— პოეტის მასწავლებელნი და ამზანაგნი.— სხვადასხვა მოგონებანი სასწავლებლის ცხოვრებიდა.

ნიკოლოზის მამა, მელიტონ ბარათაშვილი— კავალერიის თეთრ მუნღირში, ჩამრგვალებული, ჯმუზი ქართველი თავადი,— კავკასიის მთავარმმართველების ერმოლოვის და პასკევიჩის<sup>1</sup> დროს მთავარსამმართველოს თარჯიმანი იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც ახლად ჩამოთესილ მთავრობასა და საზოგადოებას შორის თარჯიმანს დიდი ადგილი ექირა,— ჩვენში ჯერაც არ დაეიწყინათ სახელები იმ დროის თარჯიმნებისა: ზეზუთოვის, ენიკოლოფოვის და ფალავანდოვისა<sup>2</sup>, შემდეგში მელიტონ ტფილისის მაზრის მარშალი იყო და ხშირად გუბერნიის თავად-ახნაურთა წინამძღოლიც. მისი ოჯახი ფართოდ გაშლილი ოჯახი იყო და სუფრა ღონეზე გადამეტებულად მდიდარი და ნაქები მთელ ქალაქში<sup>3</sup>. ხშირმა სტუმარმა და წვეთულებამ თან

1. ერმოლოვი იყო მთავარმმართველად 1816—1827 წლ; ხოლო პასკევიჩი 1827—31 წლ.

2. ივანე მუხრან— ბატონისაგან გააავდინი.

3. გენერალ ალექსანდრე საგინაშვილისაგან განაგონი.



წარიღეს მისი ავლადიდებაც. მელიტონი ჩავარდა დიდ, გადუხდელ ვალში, რომლის გამო პოეტის ნაკლულევანებაში იყო მთელი სიცოცხლე.

მის ზნეობით ვინაობაზე ბარათაშვილის ამხანაგი და ცხოვრების ამწერი კონსტანტინე მამაცაშვილი წერს: „მელიტონ იყო ქართულს ენაზე განათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმოწვევით მკოდნე ქართულ ლიტერატურისა. იმის სახლში ნახავდით ძველს ჩვენს სწავლულს ქართველებს. იმათ შორის თითქმის ყოველდღე მელიტონთან დაიარებოდა მღვდელი ეგნატე იოსელიანი, პოეტი ალექსანდრე ქავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფალავანდიშვილები, სოლომონ მეითარი—თარხნიშვილი, ვიორგი და ალექსანდრე საგინაშვილები,—დისწულნი მელიტონისა,—და ბევრი მაშინდელ დროს განათლებულნი ქართველნი“<sup>1</sup>.

ყველა სხვა ღირსებასთან მელიტონს ერთი საშინელი თვისება ჰქონდა: მეტის-მეტად ანჩხლი იყო და მკვირალა. ივანე კერესელიძემ გვიამბო: მელიტონ თავის სადგომში რომ გააბამდა ყვირილს ანჩისხატის გვერდით, თეკლე ბატონიშვილის სახლში გვესმოდა, კანტორის პირდაპირ. მის გულფიცხოებისაგან მთელს მის სახლოვას არა ერთხელ ცხარე ცრემლი უღვრია და მწარე პური უჭამია. ერთხელ, ძაზრის მარშლად ყოფნის დროს, იმან გუბერნატორის სეკრეტარი გალახა, რომელმაც რაღაც ქალაქის მოძებნის უარი უთხრა.

მაგრამ ასეთი არ იყო პოეტის დედა ეფემია, ის სამკზის კურთხეული დედა, რომელმაც, როგორც მუზამ, სულთ-უდგა მის ძმას გრიგოლ ორბელიანს დაეწერა საუკეთესო ლექსი ქართული მწერლობისა „ჩემს დას ეფემიას“, ის იყო მშვიდი, წყნარი, რომლის ალერსი უხაროდა შორით მის დიდებულ ძმას და იზიდავდა მისდამი ყოველთა პატივისცემას. „ეფემია იყო მშვენიერი ქალი და ქართულად კარგად ვაზრდილი“, ამბობს კონსტანტინე მამაცაშვილი. ის იყო საშუალის ტანისა და პირხმელი,—დასძინა იე. მუხრან-ბატონმა.

მელიტონ სახლობით ჯერ მუხრანიანთ ხილს აწლო იდგა და შემდეგ ანჩისხატის უბანში, იქ საცა აბხაზი იდგა, დეკანოზ დიმიტრი მესხიშვილის სახლის პირდაპირ.

ბარათაშვილი—შინაურობაში ტატო, ნათლობის სახელით ნიკოლოზ—დაიბადა ქ. ტფილისში 15 (27) დეკემბერს 1817 წელს<sup>2</sup>.

ამ დროს ჯერ ისევ არსებობდა ტფილისში სამრევლო სასწავლებლები, საცა თითო ოროლა ანაბანას სწავლობდნენ ყველა ჩვენი

1. „დროება“, № 206, 1881 წ.

2. ბარათაშვილის დაბადების თარიღის შესახებ იხ. წინასიტყვაში (გვ. 6.).

შესანიშნავი კაცნი წარსულის დროებისა. შვიდი წელი რომ შეუსრულდა ტატოს, დედამ ასწავლა იმას წერა-კითხვა და მოაბარა კალოუბნის სასწავლებელში, საცა 10—12 წლის წინათ სწავლობდა გრ. ორბელიანი. აქ დაუდგა იმან პირველი საუფუძველი იმ კარგს ენას და წერის კილოს, რომლითაც მდიდარია ყველაფერი, რაც რამდენიმე წერია მის მარჯვენას. ლოცვანი, დავითნი, ჟამნი, სამოციქულო, სახარება, ე. ი. ათასი წლის ქართულს ენა, რომლითაც გულმხურვალედ ულოცნია ქარველ კაცს, უქია და უდიდებია შემომქმედი, გამოუხატნია უაღრესი და უდიდესი თვისი სულის მოძრაობა, შეიქმნენ ქვა-კუთხედად მისი მომავლის მსახურებისა ქართულ მწერლობისადმი. ნუ დავეძებთ იმას, თუ როგორ, ან რას ასწავლიდნენ ამ სკოლაში, რადგანაც მხოლოდ პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღო პოეტმა აქ. ასწავლიდნენ აქ სამღვთო წიგნებს, სიტყვიერებას, ასწავლიდნენ მამა-პაპურად, პატრიარქალურად. ბარათაშვილის ცხოვრების ანწერი ზ. მთაწმინდელი<sup>1</sup>, რომელსაც არა ერთი საინტერესო ცნობა გააოთუხრებია პოეტის ცხოვრებისა, წყრს ამ კალოუბნის სკოლაზე: „სკოლა სწორედ ახლანდელს კალოუბნის ეკლესიის მახლობლივ ყოფილა, შეგირდები თურმე ეზოში შეგროვდებოდნენ, ზაფხულში კარში სწავლობდნენ და ზამთარში — დარბაზში. ამ სკოლის მასწავლებელნი თავის დღეში არც პურსა და არც წყალს არ ყიდულობდნენ, შეგირდები რომ პურს მიიტანდნენ, ოსტატი გამოართმევდა იმ პურს, გადასტეხდა შუაზე, ნახევარს თვითონ დაიტოვებდა და ნახევარს შეგირდს მისცემდა. ახლა შუადღისას დაუძახებდა შეგირდებს: სათითაოდ ზოგს კაკას მისცემდა, ზოგს ლიტრას, დაირეკამდა ყმწვილებს წყალზე წასასვლელად, თვითონ მასწავლებელიც თან მიჰყვებოდა“<sup>2</sup>.


რაც უნდა იყოს, მაღლი იმ სასწავლებელს, რომელმაც ქართული ენის სიყვარული ჩაუნერგა გულში ორ ისეთ მწერალს, როგორიც არიან გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი. ბარათაშვილს ამ დროებაში, თუ დაუჯერებთ იმავე ავტორს, ქართული ტანსაცმელი სცმია, „თვითრი მაუდის ჩერქესკა, თავადური პატარა ლურჯი ქუდი, პატარა ხანჯალი და ვერცხლის ქამარი, მუზმენტინი“<sup>3</sup>.

1827 წელს, სექტემბერს ბარათაშვილი შეიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში. ეს სასწავლებელი შემდეგში გიმნაზიად გადაკე-

1. ზაქ. ტიზინაძე, აქ დედანში შემდეგი სიტყვები წერია: il prends mon bien ou je le trouve.

2. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ ზ. მთაწმინდელის ნაშრომები, ტ. 1, გვ. 5.

3. ibidem, გვერდი 6.



თებულის, იყო მოთავსებული ეხლანდელ სასახლის ქუჩაზე იქ, საცა ამართულან ამ ჟაზად ვეებერთელა სახლები ლალაევის (ყოფილი ზუბალაშვილისა) და ერისთავისა (ყოფილი სარაჯიშვილის). სკოლასთან პანსიონიცი იყო, საცა იდგნენ 150-მდის ყმაწვილი და ბარათაშვილიც ამათ რიცხვში შიებარეს<sup>1</sup>.

„ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა, უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისი მხიარული ხასიათით, სიმარდით. პირველი მოცეკვავე იყო, საკუთრად ლეკურისა, ყველასაგან საყვარელი ამხანაგი“, — წერს ტელეგრაფულის სტილით კონსტანტინე მამაცაშვილი<sup>2</sup>. ამავე სტილით რომ შევავსოთ ეს ცნობა, უნდა დავუმატოთ: იყო დიდი ცელქი, დამცინავი, (railler), ჩქარი, მაგრამ კეთილი, ჭკვიანი, ამხანაგებისა და თავის მოყვარე.

მასწავლებლები დიდად აფასებდნენ ნიჭიერ შეგირდს. ქართულ ენას და ლრამატიკას ასწავლიდა იმას ჯერ დოდაშვილი, სანამ ამას არ დაიქვრდნენ პოლიტიკურ დანაშაულობისათვის და არ გააგზავნიდნენ რუსეთს, და შემდეგ ყორღანოვი, რუსული ენის მასწავლებელი. დოდაშვილმა თვითონ შეადგინა შეგირდებისათვის ლრამატიკა—გრეჩის წიგნი გადმოაკეთა—და დაბეჭდა თუ არა, გასცა კლასებში ბრძანება, ეყიდნათ მისი თხზულება. ბრძანება ყველამ აღასრულა ბარათაშვილის გარდა. ამას ფული ვერ ეშოვნა. როცა ავტორი—მასწავლებელი შემოვიდა კლასში და კმაყოფილებით გადახედა შეგირდებს, რომელთაც წინ ეწყოთ მისი ახალი თხზულება, შენიშნა, რომ ბარათაშვილს წიგნი არ ჰქონდა.

— ბარათაშვილო!

— ბატონო!

— მამა შენი რა არის, ლრტრანგია თუ ქართველი?

— ქართველი გახლავთ, შენი ჭირიშე.

— მაშ, რატომ წიგნი არ უყიდნია? წადი და მოახსენე: თუ დღესვე წიგნი არა გქონია, კლასში არ შემოგიშობ.

შეტი რა ღონე იყო, ამ ულტიმატუმმა შეაშინა პოეტის მამა და აყიდვინა იმას ერთი ვაი-ვაგლახით დოდაშვილის „სწორმეტყველება“<sup>3</sup>. დოდაშვილის შემდეგ ლრამატიკას იმისვე წიგნით ასწავლიდა ყორ-

<sup>1</sup> ტფილ. კეთილშობილთა სასწავლებელი დაარსდა 1802 წელს, სექტემბრის 2-ს (14) ქართველ კეთილშობილთა ახალგაზრდობისათვის. 1803 წ. დაიკეტა და ხელახლა გაიხსნა 1804 წ. მარტში, გიმნაზიად გადაკეთდა 1830 წ., აწინდელ ბინაზე (პირველი საშ. სკოლის შენობა) გადავიდა 1833 წ.—ს. ც.

<sup>2</sup> იხ. „დროება, № 206, 1881 წ.

<sup>3</sup> ლევან მელიქიშვილისაგან გაცონილი.

ღანოვი, კაცი დიდად უნიჭო. ამის უბედურება ის იყო, რომ ღრამატიკა მარტო ზმნამდის იცოდა. ამის გამო მთელი წელიწადი სულ ამ ს იძახდა: „ზმნამდის გაიკვეთეთ“, „ზმნამდის გაიკვეთეთ“ და შეგირდებიც სულ ზმნამდის ზეპირობდნენ<sup>1</sup>. ეს პატიოსანი კაცი რუსულ ენას ასწავლიდა დაბალ კლასებში იმ „რაზლოვორების“ საშუალებით, რომელშიაც მთელი ფრაზები იყო დაბეჭდილი რუსულ-ქართული. განსვენებულ ალექსანდრე საგინაშვილისაგან გამიგონია, ყორღანოვმა ხელის შლაც იცოდა და პრტყლად ლაპარაკიო: ის რომ ხმა-მალლა იტყოდა: жарко, очень жарко,—„ცხელა, ძლიერ ცხელა“, მთელ კლასს უნდა გაგვემეორებია მისი სიტყვები.

რუსულ ღრამატიკას და ენას ასწავლიდა მაღალ კლასებში მასწავლებელი დემენტიევი, რომელიც ეხლაც ცოცხალია<sup>2</sup> და იმყოფება ქალაქ ტფილისში. ამან კარგად იცოდა თავისი ხელობა და მისმა შეგირდებმა—მათ შორის ბარათაშვილმა—ჩინებულად ისწავლეს რუსული ენა. მეტადრე რუსულ კითხვას უქებდნენ ან მასწავლებელს. რასაც გვასწავლიდა, ისე კარგად გვასწავლიდაო, სქვა ლუკა ისარლიშვილმა, თითქო პირში ლუკმას გვიდებდაო. მაგრამ თუ ვერ გავიგებდით და კითხვაზე ჯეროვან პასუხს ვერ მივცემდით, გაგვიჩერდებოდა და გვეტყოდა: ну что, понищо! და გაჯავრებული ხელახლა აგვიხსნიდა საგანს. მეტადრე კარგად კითხულობდა თურმე ეს მასწავლებელი მიცკევიჩის ლექსს „ფარისს“, რუსულად ნათარგმნს. ქართულ კატეხიზმოს ასწავლიდა სკოლაში ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, ზედმიწევნით მცოდნე ქართული ენისა, რომელმაც უფრო განამტკიცა ბარათაშვილში სიყვარული კარგი ქართულისა.

ბარათაშვილი ყველა საგანს კარგად სწავლობდა. ფიზიკის მასწავლებელმა შესტაკოვმა, რომელიც დროებით სადღაც წავიდა, მიანდო იმას და ლევან მელიქიშვილს, განეგრძოთ მეტეოროლოგიური დაკვირვება, მისგან დაწყებული. ბარათაშვილი კარგად ასრულებდა მინდობილობას, სანამ ერთ უბედურ დღეს ტერმომეტრი არ გაუტყდა. იმას უნდოდა სხვა ტერმომეტრი ეყიდა, მაგრამ ფული საიდან უნდა ეშოვნა და პირშავად დარჩა თავის მასწავლებელთანაო,—გვითხრა ლევან მელიქიშვილმა.

სხვაზე უფრო დაწინაურებული იყო ბარათაშვილი ცეკვითაც. სასწავლებელს ჰყავდა „ტანცების“ მასწავლებელი და ჰქონდა საკუთარი „ტანც-კლასი“. ყოველ შაბათობით მოდიოდა სასწავლებელში ოსტატი ალდადანოვი, რომელიც სხვათაშორის ლექურსაც ასწავლიდა. ბარათაშვილი პირველი მოცეკვავე იყო და უპირველესი მოლექურე, თუმცა მესამე კლასში იყო, თუ მეოთხეში, როგორც ამ.

<sup>1</sup> ისე ანდრონიკაშვილისაგან გაგონილი.

<sup>2</sup> ამ ნარკვევის დაწერის დროს.

ბობს ბ-ი მთაწმინდელი, 1832 წ. ორივე ფეხი მოიტეხა და დიდი ვაის-ყოფით მოირჩინა თავი და კოქლად დარჩა მთელი სიცოცხლე.

მკვირცხლი, ცელქი, მოუსვენარი, ცოტა ანჩხლი, ნერვებიანი, ენამახვილი ბარათაშვილი იყო სული და გული ტოლ-ამხანაგებისა. ყველას უყვარდა იგი და ყველა ერიდებოდა მის მახვილ ენას, მის ეპიგრამებს.

მაგრამ ყველანი არ ურჩებოდნენ მის დაცინვას. ერთხელ, როდესაც ქართული მწერლობის სიყვარულით გატაცებულნი, გიმნაზიის მოწაფენი სწერდნენ და თარგმნიდნენ ქართულ ენაზე რუსულ ლექსებს, ერთ შეგირდს გვარად ვარლამოვს, გადაეთარგმნა პუშკინის „ევგენი ონეგინიდან“ რამდენიმე კარი. მოგეხსენებათ, ეს პოემა დიდი პოეტისა იწყება ასე:

Мой дядя самых честных правил:

Когда не в шутку занемог...

ვარლამოვს თარგმანი არავისთვის ეჩვენებინა ჯერ, თუმცა არ მალავდა, რომ სთარგმნიდა პოემას, და თავისი რვეული ცხრაკლიტულში ჰქონდა შენახული. ბარათაშვილს იმდენი უცდია, რომ მოუპარავს ეს რვეული და ერთ დღეს, როდესაც მასწავლებელი ჯერ კლასში არ შემოსულიყო, წამოდგა და დააჩუმა ამხანაგები:

სუთ, ყური დამიგდეთ, ევგენი ონეგინი ვთარგმნე და მინდა წაგიკითხოთ.

ვარლამოვმა ყურები სცქვიტა და ბარათაშვილმა დაიწყო ხმამალა:

„ბიძა ჩემი დიდთა პატროსანთა კანონთა:

როდესაც ხუმრობა გაშობით ავად გახდა“...

თქმა არ გაეთავებია, რომ ვარლამოვი მივარდა მკითხველს. მასწავლებელი რომ არ შემოსულიყო ამ დროს კლასში და სიჩუმე არ ჩამოეგდო, რმ ხარხარში, რომელიც ატყდა ამის კითხვის დროს, ვარლამოვი ცემას უპირებდა უშმაკ-პოეტს<sup>1</sup>.

მეორე ხუმრობისათვის ბარათაშვილი კინალამ არ გამორიცხეს სასწავლებლიდან.

ერთხელ კეთილშობილთა სასწავლებელში ქართველმა შეგირდობამ კონცერტი გამართა სასწავლებლის დარბაზში. კარგი იყო თუ ცუდი ეს კონცერტი, არავინ იცის, მხოლოდ ეს კია, რომ სომხებმა სასაცილოდ აიგდეს წარმოდგენის მონაწილენი. ეს რომ ბარათაშვილმა

<sup>1</sup> ლუკა ისარლიშვილისაგან გაგონილი.

შეიტყო, ჯავრის ამოსაყრელად, სატირა დასწერა სომხებზე, რომელ-  
შიაც სხვათა შორის ზოგიერთი ქართველიც შეამკო. ეს ლექსი ასე  
თურმე იწებოდა:

„კონცერტებში დაგვპატიყეს, დაგვათვლევინეს ფულები“...

ბარათაშვილის ამხანაგებმა ჩასდეს კონცერტში და ფანჯრიდან  
ქუჩაში გადაადგეს. ერთხელ უკადეს ეფექტს, მაგრამ რომ არა გამო-  
ვიდა რა, ხელახლა გადასწერეს ლექსი—ლეევან მელიქიშვილმა გადას-  
წერა—და როცა სასწავლებელში მოვიდა ფოსტის დამტარებელი, ლექ-  
სი „ენილაში“ ჩაუდგეს დაბეჭდილი პაკეტით. პეტრე ბაგრატიონმა  
ჩაწერა ამ „ენილაში“, რომ პაკეტი მირთმეოდა თავად—ახნაურობის  
წინამძღოლს თ. ფალავანიშვილს. ალბათ, დიდი რაჲ საწინააღმდეგო  
უნდა წერებულყო ამ ლექსში, რომ მთავრობამ ასე დიდი ყურად-  
ღება მიაქცია იმას, რომ ვერ გაეგოთ, ვისგან იყო გაგზავნილი ლე-  
ქსი, ბეჭედზე დაწერილი გვარი დაემახსოვრებინა: „—ეს ბეჭედი ბარათა-  
შვილის ამხანაგის მონასტირსკისა იყო—და ერთხელ, როდესაც  
სასწავლებლის მებუფეტეს წიგნი მიეწერა ვილასთვისაც და წიგნი  
მონასტირსკის ბეჭდით დაებეჭდა, ფოსტამ—რომელიც გაფრთხილ-  
ბული იყო—ბეჭედი იცნო, მებუფეტე დაიჭირა და მთავრობას წარუ-  
დგინა. იმავე საღამოს სასწავლებელში მოვიდნენ უეცრივ: ჟანდარ-  
მის აფიცერი, პროკურორი, პოლიციის უფროსი. შეახმეს ოთახში  
მონასტირსკი და დაუწყეს კითხვა. ამხანაგებმა კაცი აფრიხეს ტატოს-  
თან (ტატო თუმცა პანსიონში იყო, ღამ-ღამე შინ მიდიოდა). მაგ-  
რამ მთავრობამ სულ ყველაფერი შეიტყო და საქმე ასე დაბოლოვდა:  
მთავარმართებლის როზენის\* ბრძანებით, დამნაშავენი: ნიკო ბარათა-  
შვილი და პეტრე ბაგრატიონი, გაეგზავნენ თავიანთ მშობლებთან  
დასასჯელად. ამ ბრძანების თანახმად, ტატო წაუყვანეს მის მრის-  
ხანე მამას. პროცესია ამრიგად მიდიოდა: წინ მიდიოდა დამნაშავე.  
იმას უკან მისდევდა გუვერნიორი და გუვერნიორს დარაჯი „როზ-  
გით“. ადვილად წარმოსადგენია, რაც დღე დაადგებოდა ამ თოთხ-  
მეტ-თხუთმეტი წლის ვოლტერს თავის სატირისათვის. იმის სიხარუ-  
ლით, რომ შვილი სკოლიდან არ გამოუარცხეს, მამამ კინაღამ სული  
არ ამოართვა, იმდები სცემა.

ბარათაშვილმა დაასრულა გიმნაზია 1835 წელს. იმასთან ერთად  
შეასრულეს სწავლა: გასპაროვმა, ხორჟენკომ, ილია ორბელიანმა  
და ლევან მელიქიშვილმა. „გასპაროვი ჩვენზე მდიდარი იყო და სულ

\*) შეცთომით დედანში წერია გოლოვინი, რომელიც მთავარმართველად  
1837—42 წლ. იყო.—ს. ც.

იალლოს გვაქმევდაო“, გვიამბო სხვათა შორის ლევან მელიქიშვილმა, ამ დროების მომგონემ.

## II.

ბარათაშვილის სამსახურში შესვლა,—*Экспедиция суда и расправы*. თანამედროვე ქალაქის ქართველი საზოგადოება,—ბარათაშვილი სულით თბოლი.

გიმნაზიის შესრულების შემდეგ ბარათაშვილმა ჯერ სამხედრო სამსახურში შესვლა დააპირა. ეს ისეთი დრო იყო, რომ მთელი კავკასია და რუსეთი ლეკებთან ბრძოლას ეძებდა და შამილის დაქერას ფიქრობდა სიზმარში თუ ცხადად. ამასთან სამხედრო ასპარეზი, რომელშიაც იღვწოდა პოეტის სასიქადულო ბიძა გრიგოლ ორბელიანი, ადრიდგანვე შეადგენდა მისი სურვილის საგანს. მაგრამ ეს სურვილი არ აუსრულდა პოეტს: დედ-მამამ თანხმობა არ მისცეს: „შვილო, კოჭლი ხარ, თუ არ ინვალიდების კამანდაში, შენ სამხედრო სამსახურში რად ივარგებო“, უთხრეს იმათ. მაშინ ოცი წლის ყმაწვილმა ითხოვა უნივერსიტეტში გაგზავნა, მაგრამ თანხმობა არც ამის მიიღო. ბარათაშვილი დაპორჩილდა თავის ბედს, დარჩა ქალაქში და სხვა რომ ვერა მოახერხა რა შეეცადა ჩიროვნიკად კავკასიის უზენაეს სასამართლოში, რომელსაც ერქვა *Экспедиция суда и расправы*. თვითონ პოეტი აუწერს თავის მდგომარეობას ბიძამის გრიგოლ ორბელიანს ერთ წერილში თებერვლის თვიდან 1837 წლისა.

„საყვარელო ძიავ! აჯერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდა ი რასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში. მაშ რალამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო, მაშინ როდესაც ფეხი უკედ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე რომ ჩემებურად კრდეც ვხტი და კრდეც ვტანცაობ. მაგრამ, რადგანაც შევიტყუე უარი მათი და მით უამოვნობა, ვჰსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო. არც ეს შემისრულეს, უბედურებისაგამო მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე

მეტყობდა: „შვილო, ხომ ხედავ შენის სახლის ჭარბმოგებასაო, იქნება მე ველარცკი გავაწიო ამ სნეულულებასო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამას შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემი თხოვნით. დაფრჩი ისევ ჩემს მამულში განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუშცა ხანდისხან ჯაგრით დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება? რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციასზე კარგს ადგილს ვერ ვიშოვნადი: უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყმაწვილი კაცისათვის, გისაც - კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა; ეს არის რომ **круг чиновников не выгоден для образования нравственности**, მაგრამ ეს თავიხვედ არის დამოკიდებული“.

„ამისათვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომასი სიზარმაცეში არ ჩაზომართოთ, ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც შეჯავრება. ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!“...

ბარათაშვილი გამოვიდა ამგვარად ცხოვრებაში, გახდა ჩინოვნიკად, საზოგადოების მოსამსახურე პირად. ის ჯერ ერთობ ყმაწვილი იყო, „პროტოკოლების“ და აქტების მაგივრად ამას ერჩია ჯერ ისევ სიტყვიერების თეორია სკეროდა ხელში, მაგრამ იმის თქმისა არ იყოს, ბედმა ეს მოუტანა და ესეც დამორჩილდა ამ მკაცრ ბედს. იმას სწყუროდა სამხედრო დიდება, უნდოდა ცხოვრება სავსე ყიყინითა და ძღვევის ხმით, და ნაცვლად ამისა ხვედრმა შეაბა კანცელარიის ყოველდღიურ მუშაობას, იმ უმაღლო და წელის მომწყვეტ მუშაობას, რომლისთვისაც იმას თვეში ხუთი მანეთი ჰქონდა გაჩენილი ჯამაგირად.

ამაზე უარესს პირობაში არ ჩაგარდნობლა არასოდეს არავითარი ახალგაზრდა პოეტური ტილანტი. კაცს ჯერ თერგი არ დაუღვივია, როგორც ამბობენ ჩვენი ზამები, ქუთაისამდის გზა არ გაუვლია, ზღვა არ ენახა და ბედმა - კი ამ ნიჭიერ ბავშვს ცხვირი კანცელარიაში შეაყოფინა, ტილანტი ხაფანგში მოუმწყვდია. იმ მხეცებისა არ იყოს, რომლებიც ზამთარში თავისი ფეხების წოვით ირჩენენ თავს, ბარათაშვილსაც თავის სულიერი სატუნჯისაგან უნდა ესაზრდოვებინა თავისი ნიჭი და სარწმუნო ყოფილიყო იმ მცირედით, რასაც აძღვედა ამას ტფილისის საზოგადოებრივი ცხოვრება.

მაგრამ რა იყო ამ დროს ტფილისის საზოგადოებრივი ცხოვრება? რის მიცემა შეეძლო იმას კვაბუკ პოეტის მწყურვალე გულბრათვის? საუკეთესო კაცები საქართველოსი, ის კაცები, რომელთა საზოგადოებას მართლა შეეძლო მიეცა რამე ბარათაშვილისათვის,



რუსეთში იყვნენ გადაგზავნილები. გრ. ორბელიანი, ვიორგი ერისთავი, ალ. ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ დოდაშვილი, ალ. ორბელიანი, ელ. ერისთავი ამ დროს რუსეთში ნანობდნენ იმ ფარულ საზოგადოებაში მონაწილეობას, რომელიც დაწესდა ტფილისში 1829 წელს. ეს კაცები წარმოადგენდნენ ჩვენს საზოგადოებაში სამწერლო ელემენტს და ამ ელემენტის უმყოფლობა საგრძნობელი იყო ჩვენი ერისათვის.

„იმ დროს ტფილისში,—განაგრძობს თავისებურად კონსტანტინე მამაცაშვილი—არაფერი საზოგადო გასართობელი ადგილი არა გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები,—ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად სადამოზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლ. ი. მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთუბნის ბაღებში.

„ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვა და სხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული, დარბაისლური, მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა; ვისაც უნდოდა, ქალადს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს, ქალაღის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღებშიაც“.

სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ ეს ჩვენება, ისეთი სანდო მოწმისა, როგორიც არის კ. მამაცაშვილი, ჩვენ დავინახავთ, რომ რიგიანი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელმაც ცხოვრებაში გამოსულ კაცს ისეთივე სამსახური უნდა გაუწიოს, რა სამსახურსაც უწევს მოსწავლე ყმაწვილს სკოლა, ამ დროს არ არსებობდა ტფილისში. არ იყო აქ ერთი მჭიდრო ორგანიული ქართული საზოგადოება, ქართული საზოგადოებრივი აზრი, არ იყო თეატრი, არ იყო კლუბი, არ იყო გაზეთი, არ იყო საზოგადო ყრილობა, არ იყო მაღალი სასწავლებელი,—ერთი სიტყვით, არ იყო არაფერი, რისგანაც დღეს შემდგარა თვით აზრი განათლებულ საზოგადოებრივს ცხოვრებაზე. ის ცხოვრება, რომელსაც აგვიწერს მამაცაშვილი, იგივე სკოლის ცხოვრება იყო. ყმაწვილი კაცები სკოლის ამხანაგები შეიკრიბებოდნენ ერთად, სადილ-ვახშამს შექცევოდნენ, ილაპარაკებდნენ სხვათა შორის სალიტერატურო საგანზედაც, ერთხანს ნარდს გაუთამაშებდნენ ან ჭადრაკს და შემდეგ მთვარიან ღამეში სასეირნოდ წავიდოდნენ ქუჩებში და ბაღებში. მაგრამ ასე ხომ სკოლაშიაც უტარებიათ ამათ დრო, ასე ხომ დღესაც ატარებენ დროს შეგირდები, და ისიც

თუ იკადრებენ ამგვარ უბრალო დროს გატარებას, თუ არიან ხოლმე ოპერებში, ბალებში ან სხვა რაიმე იმ დროისთვის უცნობ განცხრომაში. სად იყო ნამდვილი საზოგადოებრივი ცხოვრება?..

თუ კერძო ოჯახი საზოგადოების ცოცხალ წევრად იჩენდა თავს, ეს იყო ან დღეობაში, ან ქორწილში, ან სხვაგან სადმე ლხინში, საცა საღამოდან ცისკრამდე მხოლოდ „დაღიე“ ისმოდა და მრავალ-ქამიერის სიმღერისაგან ყურთა სმენა აღარ იყო.

თვით პოეტი აგვიწერს ამგვარი საზოგადოების ფუჭ ცხოვრებას ერთს წიგნში გრიგოლ ორბელიანიდან.

„თუ ქალაქის ამბავი გინდა,—სწერს ის,—ჰსწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა, ორივე ერთია; მაგრამ ჭირი ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი,—დიდი დაძგერებაებია ქალებისა; დიდი აყალმაყალი; დიდი ტირილი; დიდი ლამის-თევზები; დიდი წვეულებები ერთმანეთის ჯავრით“<sup>1</sup>...

მეორე წიგნში იმავე ორბელიანთან ბარათაშვილი უფრო მოკლედ და კატეგორიულად სწერს: „ტფილისი ისევ ის ქალაქია უსარგებლო გონებისა და გულისათვის“<sup>2</sup>.

ამგვარ უსარგებლო ქალაქში, საშუალო აბატიურის საზოგადოებისა, არგუნა ბედმა ცხოვრება ბარათაშვილს. არც ოჯახში, სადაც მტარკალობდა მამა, არც სამსახურში, სადაც თავიანთი მუდამ მოღვრემილი და ჩამოშვებული ცხვირ-პირით ჩინოვნიკობა უმწარებდა სიცოცხლეს, არც საზოგადოებაში, საცა მისი ტოლ-ამხანაგი არ იყო, საცა სატრფო, ან, როგორც ის ამბობდა, „საგანი“ არ უნათებდა და არ უთბობდა გულს, სადაც კაცად-კაცადი ფიქრობდა მხოლოდ სმა-ქამაზედ და, გამდიდრებაზე. ახალგაზრდა პოეტი ვერ ჰპოვნიდა თავის ხვედრს, რომელსაც ეძიებდა სიყრმიდან. იმასაც სწამდა თავისი ვარსკვლავი, იმაშიც ცხოვრობდა დემონი და ლაღადებდა იღუშალი ხმა, რომელიც ეტყოდა მას:

გძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,  
გინძლო იპოვნო შენი საშვენი!

(ეს მისი: სიტყვებია), მაგრამ ცხოვრებამ იმედები ვაუმტყუნა და ის ეტყვის ნაღვლიანად ამ იღუშალ ხმას:

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ,  
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ!

<sup>1</sup> წერილი 28 მაისის (9 ივნისის) 1841 წ.

<sup>2</sup> წერილი 18 (30) ოქტომბ. 1841 წ.

ოჰ; რა დიდი მზღვარი დასდევ ბედმა პროეტის იდეალებსა და ცხოვრებას შორის. ის ცას იქით ეძიებდა სამყოფს:

გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,  
ხენართ სამყოფს, რომ დაშთოს აუ ამოება...

ეუბნებოდა ის სამყაროს და ამის წილ, მხვედრმა ის კანცერლაროას მიაკრა მაგარი ჯაჭვით. უნებლიედ ის შეიქნა ცხოვრების უკმაყოფილო კაცი, სულით ობოლი, სულით მარტო. ყოველ მის საქციელს, ყოველ მის ნაწერ-ნალაპარაკებს ამის შემდეგ ცხოვრების უკმაყოფილების ბეჭედი ამჩნევდა.

„კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ, — სწერს პროეტი ერთს ნათესავ ქალს: ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენ იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ... სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტობით. შენ წარპირიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერ ვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ საესე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიქად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრაულლისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა? სად მიიდრიკოს თავი?“<sup>1</sup>

ერთი სიტყვით, ის შეიქნა:

ჰკუთ ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი...

რომელიც თუმცა კაცების საზოგადოებაში იყო, მაგრამ მეგობრებს კაცს-გარეშე ეძებდა: არშიყობდა მთვარიან ღამეს, ამცნობდა გულის საიდუმლოს მხოლოდ ვარსკვლავთა... შეეტრფოდა, ვით მეგობარს, მთაწმინდის წყნარ საღამოს და გაირთობდა სევდას მტკვრის ნაპირებზე...

აი ამ დროს ბარათაშვილი კარგს წრეში რომ ჩავარდნილიყო, რომ რაიმე მანქანებით მის გარშემო საზოგადოებაც გაჩენილიყო განათლებული, მწერლობაც განვითარებული; იმისაგან მეტად შესანრ-შნავი პროეტი შეიძლებოდა დამდგარიყო. მაგრამ სად იყო იმ დროს ან მწერლობა, ან მკითხველი საზოგადოება; ან ხნეობითა და გონებით გაჩაღებული, განათლებული წრე საზოგადოებისა? ქვეყანამ,

<sup>1</sup>წერილი 31 ოქტომბერი (12 ნოემბერი) 1842 წ.

ცხრვრებამ, ნაცნობ-ნათესაობამ, ყოველდღიურმა პროზამ, რომელ-  
თაც ბარათაშვილზე უფრო ძლიერი ხასიათი შეუმუსრავთ, პოეტი  
გაიტაცეს, ჩაითრიეს ამ სოფლის დაუდგრომელს ბრუნვაში და ეს  
ბუნებისაგან უჩვეულოდ დაჯილდოებული არსება შეიქნა ჩვეულო-  
ბრივ კაცად, რომელიც, რუსული ანდაზისა არ იყოს, — ქვეყნად  
იყო და ქვეყნიურ ამბებს ჩადიოდა.

### III

ბარათაშვილი სოფლის ამაოებაში გართული.—მისი  
დაგროტობი —პირისახე. მისი „სავენები“. დუელი ილია ორბე-  
ლიანთან.—სამსახურის ბეჯითობა.

ბარათაშვილი გაერთო ამ სოფლის ამაოებას: არც ერთი ქორ-  
წილი, ღამისთევა, ყრილობა არ იყო ტფილისის ქართველთ საზო-  
გადოებაში, საცა ის არ ყოფილიყო თავ-მოკლხენად და შემეპ-  
ცევრად. ყმაწვილი კაცი, უპირველესი ოჯახის შვილი, მარჯვე, მო-  
სწრებული მოლაპარაკე, მოლექსე, მოლექურე, მეჩონგურე, მეთარე,  
ქალაღდის გატაცებით მოთამაშე, ყოველგან მიმსწრობი, ყოველგან შა-  
ნაური კაცი, ბარათაშვილი შეიქნა საზოგადოების საყვარელ კაცად.  
საღამო ისე როგორ გაივლიდა, სამ-ოთხ ოჯახს არ სწევოდა ის,  
ამბები და ჭორები არ მიეტანა იქ, არ გამოეტანა... დროეკის ფუ-  
ლები არ ჰქონდა (ფაეტონები მაშინ არ იყო) ამდენ სასიარულოდ,  
მაგრამ ის კოჭლი ფეხები ხომ ზედ ჰქონდა და ბილიკები ხომ ზე-  
პირად იცოდა (ეს ლ. მელიქიშვილისაგან გამიგონია), ოჯახებში  
ხშირ-ხშირმა სიარულმა იქამდე მიიყვანა ის, რომ (ვთქვაა?) ორ-  
სამ ალაგას, იმ ანდაზისა არ იყოს, რომელიც დილის ოქროს საღა-  
მოს ვერცხლად ჰხდის, ბარათაშვილს ხანდახან „შინ არ ბრძანდე-  
ბიან“-საც ეუბნებოდნენ.

მაგრამ საზოგადოდ კი მისთვის ყველგან ფართოდ გაღებული  
იყო კარები. ორბელიანე ის ოჯახში, მეტადრე მანანა ორბელიან-  
თან, ამ ჩვენებურ მადამ რეკამიესთან, რომლის სალონში იკრიბებოდა  
რაც რამ იყო ტფილისში წარჩინებული მწერლობაში, ხელოვნებაში,  
მმართველობაში, რომელიც იყო მეფედ ქართული ზრდილობისა და  
გემოვნებისა ათას რვაას ორმოც წლებში, ალექსანდრე ჭავჭავაძის  
ოჯახში, ბარათაშვილში, ფალავანდიშვილებში, ერისთავიანთში, ცი-  
ციშვილებში ბარათაშვილი მუდამი სტუმარი იყო, შექტანი მოძრავი  
გონებისა და მხიარულების. აქ თამაშობდა ის, აქ ლხინობდა,

<sup>1</sup> ბიძინა ჩოლოყაშვილისაგან გაგონილი.

ოხუნჯობდა, არშიუობდა; აქ ღუპავდა თვისს ყმაწვილ კაცობას. ღმერთმა მაშოროს, ქვა ვესროლო პოეტს, ამგვარი ცხოვრებისათვის. ცხოვრებიდან მეტი რა უნდა შერჩეს კაცს თუ არა სიტკბოება! თუნდ ერთის წამისა, იმ საშინელს სულიერ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩააყენა გარემოებაჲ ნ. ბარათაშვილი, ერთი ნაქურდული კოცნა საყვარელის ქალისა, ერთი ოდენ მისი შემოხედვა, შეადგენს კაცისათვის ჭეშმარიტ ბედნიერებას, რომელსაც ვაქტორ ჰიუგო თვით სკიბტრასა და პორფირს ანაცვალებდა.

სიყვარულისა და ცოლის შერთვის დროც დაუდგა პოეტს, მაგრამ წარმატება არსად იყო. იმას აკლდა ამისათვის ის ორი თვალთმაქცური გასაღები, რომლითაც შეიძლება ქალის გულში კარის შეღება—სილამაზე და სიმდიდრე.

ბარათაშვილის პორტრეტი არსად იბოვება<sup>1</sup>, ერთადერთი მისი დაგეროტიბი, რომელიც შერჩენია მას დას ნინო ბარათაშვილს, დაღუპულა იმ საშინელ ცეცხლში, რომელმაც გადაბუგა, არ მახსოვს რომელ წელს, გოლოვინის (რუსთაველის) პროსპექტის სახლები და მათ შორის დუბელირის ფოტოგრაფიაც (ეს დაგეროტიბი გადაეცა ფოტოგრაფისათვის ილია ჭავჭავაძეს).

ვაგონებით ბარათაშვილი იყო მოთეთრო სახისა, პირხელი, შავი ცოცხალი თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა, მისი ხშირი წარბები ერთმანეთთან გადალობილი და თვალები ოდნავ დახრილი ცხვირისაკენ, ამხილებდნენ მასში ოდესმე ჩინეთიდან გადმოსახლებულ წინაპართ ჩამომავალს. წვერ-ულვაშს არ ატარებდა, რის გამო მისი სახე, შორიდან ლაზათიანი, ახლოდან კოტა დაქუანული იყო, თურმე. პოეტი პალატაში მსახურობდა და მის დროს, ნიკოლოზ ხელმწიფის დროს, მთელ რუსეთის ჩინოვნიკობას პირზე სამართებელი დასტრიალებდა. ჩვენშიაც ისე ფიცხლად ასრულებდნენ ამ ბრძანებას, რომ (ბოდიშს ვიხდი გზის გადახვევისთვის), როცა 1837 წელს ხელმწიფე ჩამოვიდა საქართველოში, იმითაც კი დაიპარსეს წვერ-ულვაში, ვინც საზოგადოების არჩევანი მსახურობდა, ასე რომ თვით ყაფლან ორბელიანს ჩამოაცალეს წვერ-ულვაში: საწყალი, ზასედატელი თურმე იყო! გაგეგონებათ სვიმონ მაჩაბლის ნაღვლიანი ჩივილი ამ საგანზე: ღმერთო, ე რა

1. ბარათაშვილის ტრადიციული პორტრეტის სიყალბე და ნამდვილის დაღუპვა საბოლოოდ დადასტურებულია. 1916 წ. გამოქვეყნებულ მ. თუმანიშვილის ესკიზზე წარწერით „ნ. ბ.“ მხოლოდ ეჭვობდნენ. უკანასკნელ ხანებში ირგვევ, აღნიშნული ესკიზი პოეტის სახის მონახაზი უნდა იყოს.—ს. ც.

დღეს მოვესწარი, ჩვენი დედ-მამები ამბობდნენ: თუ ეს ლეჩაქი მხურავს, თუ ეს უღვაშები მასხიაო და ჩვენ ერთიც დაგვეკარგა და მეორეცაო.

ზემოთ ნათქვამს თუ ისიც დაუმატეთ, რომ ბარათაშვილი კოქლი იყო, თქვენ სრულად დარწმუნდებით, რომ პოეტს არ ჰქონდა აპოლონის მშვენიერება.

სუყველა ეს ისეთი მიზეზებია, რომელთა გამო ბარათაშვილს არ უნდა ჰქონოდა დიდი წარმატება ქალებს შორის, პირველი მისი სიყვარული იყო ნ. ო—ის ქალი, რომელსაც უძღვნა ლექსი:

მიყვარს თვალები მიბნედილები...

მაგრამ მიიღო თუ არა იმან ნაცვალის გრძნობა ამ ქალისაგან, არავინ იცის. მეორე მისი საყვარელი იყო მებუღკე ფრანგის ლაბიელის ქალი დელფინა. ამას უძღვნა ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“, მაგრამ ამ ლექსშიაც უფრო მრისხანებაზე და წყრომაზეა ლაპარაკი, ვიდრე სიყვარულზე. ერთმა ქალაქის ჩინოვნიკის ცოლმაც, რომელსაც აადევნა პოეტმა თავისი სიყვარული, პოეტის ჩანგი ვასცვალა მეგრულ აფიცრის დეზებზე<sup>1</sup>..

მაგრამ არშიყობასა და ქალებთან დროს გატარებას ის მაინც არ იშლიდა. როგორც ბიძა მისი გრიგოლ ორბელიანი, ბარათაშვილიც დიდად მოყვარე იყო ქალების საზოგადოებისა. ის იმათ აჯავრებდა და ხუმრობით თუ ბოროტ-განზრახვით წაჰკიდებდა ერთმანეთს, იმათთან უყვარდა ყოფნა, მუსაიფი, ხუმრობა, ცელქობა, ბუტიაობა. იმან ყველაზე წინ იცოდა, ვინ ვის ეარშიყებოდა, ვის ვინ მოსწონდა, ვის ვინ უნდა შეერთო და ან მხარს მისცემდამათ, ან წაჰკიდებდა. ერთ ქართველ თავადიშვალს, რომელსაც ცეცხლი ეკიდებოდა ივ—ის ცოლის სიყვარულისაგან, პოეტი ეუბნებოდა ერთს სალამოს:

— ზაქარია, ზაქარია! კატოს თვალი უჭირავს შენზე, კაბა გაისწორე და მარჯვედ დაჯექი.

საბრალო ტრფიალი რომ დაიმშვენებს თავს, ის მიუბრუნდება ივ—ის ცოლს:

— კატო, კატო! ზაქარიას შენზე თვალი უჭირავს.

— თვალები იმას დასდგომია! რა უნდა ჩემგან, რას გადაგიკიდებია, უთქარი, თავი დამანებოს<sup>2</sup>.

<sup>1</sup>. კონსტანტინე დადიანი იყო ის აფიცერი—ს. ც.

<sup>2</sup>. ლუკა ისარლიშვილისაგან გაგონილი.

და ამგვარად, დაახლოების მაკიერ იმან დააშორა კაცი და ქალი ერთმანეთს.

„დედაკაცები ისევ ისინი, — სწერს პოეტი გრ. ორბელიანს — ჩვენი ყმაწვილები და ხახვების<sup>1</sup> ფრანტები სულ შამილის დასაქვრად წამოვიდნენ. ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი, ბიჭო! ამისთანა ფართე ოკეანე არც ეოთს ხომალდს არ შეხვედრია“.<sup>2</sup>

1845 წელს, როცა ბარათაშვილი სამსახურმა დააშორა ქალაქის საზოგადოებას, ის სწერდა ერას ნაცნობ ქალს ხახვეანიდან:

„აი, სამი თვეა აქა ვარ და ძალღად არაფერ მახსენა; ეჰ! მაგის დარდაც გაუძღვებ, აღარც მე მცალიან ვის თვის მე... დიახ, ნურავის მოვაგონდები! იმისი არ იყოს, როგორც ერთ ქალს უბრძანებია, რომ აქ მოგვწყინდნენ და გავყარეთო!

ეგეც აგრე იყოს. მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოცდაექვსისა შევსრულდით<sup>3</sup> და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძვეს! ვაი იმის ბრალი, ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოელის!“<sup>4</sup>

ქალაქს გარედანვე სწერს ამავე ქალს იმავე კილოთი: „ახალს დანიშნულს, თუ პატარძალს, სოფიოს\* მოახსენე, თუ შეგზვდეს, ჩემი ზონარი რა უყო, ქმარი არას დაუშლის. მეორე სოფიოსაც\*\* უთხარ ჩქარა გამიკეთოს; ვინც მე ზონარს მომიქსოვს, აგრე ჩქარა გათხოვდება“<sup>5</sup>.

ერთ წერილში მიხეილ თუმანიშვილთან ის სწერს: „Скажу тебе новость, თუ არ გაჯავრდები. Я еду сегодня вечером в д. Мцкнети.—зачем?—А затем, что она там. Мать ея просила меня провесть с ними несколько дней. Каковы должны быть эти дни? Ах? მაშ მოჰკვდი, ბზ!“<sup>6</sup>

როგორც სკოლაში, ისე ცხოვრებაში ბარათაშვილი დარჩა მოუსვენარი, ცელქი, დამკინველი. სრული მისი ხასიათი ინატება იმ ბუზის ბუთილში, რომელიც მოჰყავს პოეტს თუმანიშვილთან მიწერილ წიგნში. მხოლოდ ხშირად ეს ბუთილი ფუტკრის ბუთილს ემსგავსე-

<sup>1</sup> ხახვებს ჩრდილოელებს ეძახდნენ.

<sup>2</sup> წერილი 23 მაის (4 ივნისის) 1844 წ.

<sup>3</sup> ოცდარვა უნდა იყოს, ნაკლებს განგებ ამბობს.

<sup>4</sup> წერილი 9 თებ. (21) 1845 წ.

<sup>5</sup> წერილი 10 (22) აგვისტოს 1845 წ.

<sup>6</sup> წერილი 6 (18) აგვისტოს 1839 წ.

\* „ივერიაში“ (87) წერია: x — ს მოახსენე

\*\* აქაც ნათქვამია: „მეორე x — საც უთხარი“. — ს. ც.

ბოდა და ერთჯერ მისმა შხაშიანმა სიტყვამ კინაღამ არ შეამთხვია მას უბედურება.

თავისთავად სულ უწინაშეწელოა ეს შემთხვევა; მაგრამ რაკი ჩემამდი მოაღწია, არ შემოძლია ბიოგრაფის მოვალეობას ვუმტყუნო და არ გაიმბოთ, რაც მოხდა.

იმ ხშირ საღამოებს, რომლებსაც ოჯახებში ატარებდა იმ დროს ქალაქელი უთეატრო და უვინტო საზოგადოება, ბარათაშვილი ხვდებოდა ხშირად ერთ თავის ამხანაგს მაღალაშვილს. ეს მაღალაშვილი ენამახვილი კაცი თურმე იყო და ხშირად დასცინოდა პოეტის ბიძას ილია ორბელიანს. დაცინვაში ხანდახან ბარათაშვილიც წაეხმარებოდა მაღალაშვილს. ორბელიანმა დიდხანს ითმინა დაცინვა, მაგრამ ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა გადასწყვიტა პირველსავე კრებაში ჩხუბი აეტეხნა იმათთვის და მაღალაშვილი გამოეიხოვა ხმალში. საუბედუროდ, პირველ კრებაზე მაღალაშვილი არ მოვიდა და ორბელიანმა უინი ბარათაშვილზე ამოიყარა. ის დისწულობით არ დაერიდა ამ უკანასკნელს და დუელში გაჰოითხოვა. იქ მყოფ ამხანაგებს, სხვათა შორის ლევან მელიქიშვილს, უნდოდათ ხუმრობაში გაეტარებინათ ეს გამოთხოვა, მაგრამ რომ ვერ მოხერხდა შერიგება, სეკუნდანტები აირჩიეს. ილია ორბელიანმა ყაბარდოელი ატაყუკინი და ბარათაშვილმა მაღალაშვილი. დანიშნეს დრო, ადგილი და გაემგზავრნენ ორივე დუელიანტი და მათი სეკუნდანტები ერთად, ფეხით. პირობა დასდევს, ვინც ცოცხალი და უვნებელი გადარჩებოდა, იმას უნდა დაზიანებული მიეყვანა ჭირისუფლებისათვის ან მკვდარი ან ცოცხალი. გზაზე ლევან მელიქიშვილმა დაუწყო გამხნეება ბარათაშვილს. ეს რომ ორბელიანმა გაიგონა, იწყინა და უთხრა მცგობარს:

— მე კი არ გებრალეები, ლევან?

— არა, არ მეტრალეები, იმიტომ რომ შენ ხარ მიზეზი ამ დუელისა, — უპასუხა მელიქიშვილმა.

მივიდნენ დანიშნულ ადგილზე, გაზომეს ნაბიჯება, გატენეს და მბაჩები და დააყენეს მოპირდაპირენი.

ილია ორბელიანი მაღალი, მაღალ ადგილზე ბარათაშვილი დაბალი, — დაბალ ადგილზე და სეკუნდანტის ხმაზე ერთი, ორი, სამი — მოწინააღმდეგეთ ჩამოუშვეს ჩახმახი. იგრილა ბარათაშვილის დამბაჩამ, ორბელიანის თალიაში მხოლოდ წამალი ამოიწვა. ორბელიანს ეგონა, რომ მოატყუეს და ჩაჰბერა სული დამბაჩას. მაგრამ რა ნახა გატენილი იყო, მოითხოვა ხელახლა გაემართათ. მეორეჯერ გავარდა დამბაჩა და ბარათაშვილი წაიქცა... ორბელიანს ეგონა, რომ მოკლა



და სასოწარკვეთილი მივარდა თავის დისწულს, დასწვდა და შიშით წაღებულმა მოაგლო ხელი მწოლარეს ჯიბის ახლო.

— აი! ქიშმიში მაქვს, ქიშმიში! ჯიბიდან არ ამომაცალო!— და იძახა უეცრად განგებ წაქცეულმა ბარათაშვილმა.

— უი, შენ დაგწყევლოს.. შე შეჩვენებულო, ვული რად ვამიხფთქეო,— იყო ხმა ორბელიანისა!<sup>1</sup>

თურმე სეკუნდანტებს, როცა ორბელიანმა თავისი არ დაიშალა, ღრჩიათ დამბაჩები უტყვიოდ გაეტენათ და პირველი სროლის შემდეგ, რომ საიდუქლო არ გამოაშკარავებულებო, მაღალაშვილმა წასჩურჩულა ბარათაშვილს: ვაგარდებოდა თუ არა დამბაჩა, უთუოდ წაქცეულიყო. ორბელიანმა ღმერთს მაღლობა შესწირა, რომ ასე ბედნიერად გადურჩნენ სიკვდილს ორივე ბიძა-დისწული.

მეორეჯერ თავისი მახვილი სიტყვა სტყორცნა ბარათაშვილმა პლატონ იოსელიანს. ერთს საზოგადოებაში ვიღაცამ თურმე იკითხა:

— ე, ბერძენ-რომაელებს რომ ყველაფრის ღმერთი ჰყავდათ, ნეტა ვიცოდე, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ?

— ეს პლატონს უნდა ვკითხოთ, ის არის ბოდ-ასლოვიო,<sup>2</sup> — ნიუგო რუსული ზმით ბარათაშვილმა და მიუშვირა ხელი იოსელიანს.

როცა ქალების საზოგადოებაში არ იყო ბარათაშვილი, ტოლამხანაგებში ატარებდა დროს სადმე ორთაქალას ან ვერაზე, სადაც გაისმოდა სათარას ტკბილი ხმა. სათარა პირველი მომღერალი იყო მისი ღროისა, ბარათაშვილი მისი პირველი თაყვანისმცემელი. დიმიტრი ვეზირიშვილისაგან გამიგონია, პოეტს ქართლში სადღაც ეკლესიის კარზედ დაუწერია ამ მომღერლის ქებაო. როდესაც ახალი მომღერალი გამოჩნდა ტფილისში, ჯაფარად წოდებული და საზოგადოებამ იმისი ქება დაიწყო, ბარათაშვილი დიდი წყენით სწერს ერთ ნაცნობ ქალს:

„ილაჯი წაიღეს შავ ჯაფარას ქებით, ვისიც წიგნი მოგვავიდა, მაგის ქება ეწერა... ეგ რომელი ამბობს, რომ სათარასა სჯობსო? ეტყობა კარგი სმენა ჰქონია! მე გეტყვიო: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზე, მაგრამ სათარასათვის ღმერთს ხმა მიუცია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისთანა ხმა აღარავის ექნებო! ერთი, ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე ჯოჯოხეთის მაშხალაა“<sup>3</sup>. ეს მოქეიფე დარღმანდი ყმაწვილი კაცი, ეს მოუსვენარი ჭიანჭველა, როგორც

<sup>1</sup> ვაგონილი ლევ. მელიქიშვილისა და ნიკო ერისთავისაგან.

<sup>2</sup> ბოდასლოვი არის ქართულად დვთისმეტყველი, ზმით გამოდის „ვირების ღმერთი“.

<sup>3</sup> წგრილი-9 (21) თუბ. 1845 წ.

ის უწოდებს თავისთავს ერთ წიგნში გრიგოლ ორბელიანთან, სამსახურში ზედამოჭრილია გერმანელი იყო. 1842 წ., როდესაც სამიედრო მინისტრმა (ჩერნიშოვმა) რევიზია უყო ტფილისის სამოქალაქო დაწესებულებათა, პოზენმა<sup>1</sup> ისე მოიწონა ბარათაშვილის საქმის წარმოება, რომ, იმის მეოხებით, ბრძანება გამოსცა ქართველობაა უპირატესობა მისცემოდა სამსახურში<sup>2</sup>.

მეორე მაგალითი ბარათაშვილის ბეჯითობისა გვიამბო გრიგოლ ორბელიანმა.

პალატის უფროსს ილინსკის არაფრად მოსწონდა, რომ მისი სტოლონაჩილნიკი ასე ბევრს დარბოდა, და ერთხელ რევიზია უყო, მაგრამ რა დაინახა ყველაფერი სწორად ჰქონდა, უთხრა:

— В таком роде продолжайте бегать, сколько вашей душе угодно.

ეს კაცი ისეთი დიდი აზრისა იყო ბარათაშვილის ნიჭზე და მეტადრე თავის თანამღებობაზე, რომ ამბობდა თურმე:

— Баратов на моем месте будет сидеть...

ამას ბარემუც პლატონ იოსელიანის აზრიც უნდა დაუტკოთ. იმ ოლიმპიურის სიმალლიდან, სადაც განისვენებდა ეს უებრო ღვთისმეტყველი, ის იტყოდნა ჭაბუკ პოეტზე:

— ეს კარგი გამოჯაო<sup>3</sup>.

#### IV

ბარათაშვილი მახრის უფროსის თანაშემწე ნახიჩევანში და განჯას. — გარდაცვალება და დასაფლავება მგონისა განჯაში. — ილია ორბელიანის და ლევან მელიქიშვილის წერილები პოეტის გარდაცვალებაზე. — განჯის ეკლესიის სასაფლაო. — პოეტის საფლავზე დადგმული ქვის ზედ-წარწერა.

ასე აზგვარად მიმდინარეობდა ბარათაშვილის ყოველდღიური ცხოვრება. ის ყელამდის ჩაფლული იყო ისეთ სფეროში, რომელსაც არ შეეძლო მისი განსხვავება არც ზნეობრივად, არც გონებრივად, მაგრამ ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომლითაც ის დაჯილდოებული იყო ზეგარდმო, მაინც არ გაჰქრობოდა მას სრულებით. მაინც ცოცხლად გრძნობდა, რომ სულ სხვა ცხოვრებისათვის იყო შექმნილი, სულ სხვა საზოგადოების ღირსი, და სწერდა თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, ხელი მიეცა მისთვის, გამოეყვანა ამ მდგომარეობიდან.

<sup>1</sup> ჩერნიშოვს ახლდა პოზენი, რევიზია მოახდინეს 1842 წ. — რედ.

<sup>2</sup> ლევან მელიქიშვილისაგან განაგონი.

<sup>3</sup> გრ. დადიანისაგან გაგონილი.

ეს სურვილი იმდენად დიდი იყო პოეტში, რომ ის არ დაერიდა თავის ბიძას, რომელიც უყვარდა, კრძალვით მიეწერა საყვედურით საესე წიგნი.

„საკურველია — სწერდა იგი გრ. ორბელიანს — რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქნეს, არა აქვს ეს შორს მხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთროში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შეძლებულობა და ხმა ერსა შორის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არ ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამოიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე, რომ რენენკამთან დამანიშენინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგებდინა ჩემთვის. ვიცო, დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დავვიწყებია. ეს იმ სწეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება“<sup>1</sup>.

რენენკამფი დალისტანში მსახურობდა. მაშინ დიდების და განსხვავების გზა კავკასიაში დაღესტანზე მიდიოდა, არღუთინსკის, გრიგოლ ორბელიანს, ლევან მელიქიშვილს, დიმიტრი ჯორჯაძეს, ვასილ სარაჯიშვილს ნიკო ქავჭავაძეს დაღესტანში უმოგონაით დაწინაურებდა. იქითკენ მიიღვწოდნენ ყველა ნარიშკინები, ყველა სალტიკოვები, ყველა იუსუფოვები, რომ მოეპოვათ სახელი და დიდება. სამწუხაროდ, გრიგოლ ორბელიანმა ვერა მოუხერხა რა თავის დისწულს. დაუღვენელობით მოუვიდა, შექველია, ეს საქმე, თორემ ისეთი მაღალი ადგილი ეჭირა, რომ ადვილად შეიძლებდა იმის შემწვობას. ტყუილად არ სწერს პოეტი, ქართველი თავისიანს არ გამოადგებაო.

გრ. ორბელიანთან რომ ვერა გააწყობრა ბარათაშვილსა, ხელი მოსჭიდა ლევან მელიქიშვილს, რომელიც დროებით მაზრის უფროსად უნდა წასულიყო ნახჩევანს. პოეტს არ უნდოდა ამ ქალაქში ყოფნა მაგრამ სამსახურში დაწინაურებისათვის იძულებული შეიქნა მიეღო მაზრის უფროსის თანაშემწეობა და 1844 წელს გაემგზავრა ნახჩევანს. აქ ის დიდხანს არ დარჩენილა. 1845 წელს ლევან მელი-

<sup>1</sup> წერილი 21 აგვისტოს (2 სექტ.) 1843 წ.

ქიშვილი წამოვიდა ქალაქს და ამასთან ბარათაშვილიც. ორასი მანეთი თურქე წაეგო ქალაქში და მელიქიშვილს, რომელმაც იცოდა მეგობრის ვნება, ეთქვა მისთვის: ტატო, ჩქარა ქალაქს, თორემ შერე გზის ფულსაც ვერ იშვოვო, და ჩამოეყვანა ტუილისში. ქალაქიდან ბარათაშვილი ცდილობდა თელავში გადასვლას იმავე თანაშემწის ადგილზე. მისი თხოვნა მთავრობამ შეიწყნარა კიდევ და ის იყო, პოეტი უნდა წასულიყო კახეთს, ტროიკაც მოეყვანათ წასასვლელად, მაგრამ ამ დროს იმასთან მოსულა მამუკა ორბელიანი, რომელიც მაშინ განჯის მაზრის უფროსად იყო და თელავის მაგიერ წაეყვანა განჯას იმავე 1845 წელს.

ეს იყო უკანასკნელი წელი პოეტის ცხოვრებისა. დიდების მაგიერ, სამწუხაროდ, ბარათაშვილმა ჰპოვა აქ უდროო სიკვდილი. ის მოკვდა 9 (21) ოქტომბერს 1845 წელს ქ. განჯას და დასაფლავდა აქვე შართლმადიდებელთა ეკლესიის გალავანში „დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დაშიწებული“. თითქო თავის - თავზე დაუწერიათ მას წინასწარმეტყველური სიტყვები:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;  
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,  
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის.

ამბობენ, პოეტი მთაში სადღაც წასულა ყაჩაღების დასაქერად და იქ გაციებულა. ერთხანს მორჩენილა, მაგრამ ხელახლად გამხდარა ავად, რადგანაც უდროოდ დროს ერთობ ბევრი ცივი ლუდი დაეღია. ეს ამბავი გაუგონია განჯის ეკლესიის მღვდელს მძინარაშვილს ბარათაშვილის განჯელ მეგობრისაგან, რომელსაც იმისათვის ის ადგილიც უჩვენებია, სადაც იყო დასაფლავებული პოეტი.

პოეტის სიკვდილმა დიდად შეაწუხა ქალაქის მაღალი საზოგადოება, რომელშიაც უმეტესი ნაწილი ან ნათესავი იყო მისი, ან ნაცნობი და მეგობარი. ილია ორბელიანი ამ სიტყვებით ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს ტატოს სიკვდილს:

„ამ საწყლების—ეელიტონის და იმის ცოლშვილის—ყურებისათვის ვერ გამიძლია, გულს ცეცხლი მეკიდება, გვიყდები და აღარა მესმის რა; ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა განჯასა და იფიქრე ჩვენი ცხოვრება; ნეტაი შენა, რომ მელიტონს და ეფემიას არ ხედავ! შენი ჭირიმე, გრიგოლჯან, ესე ამბავი ქრისტიანებრივი მოთმინებით მიიღე, და ნუ შეიწუხებ მაგ ავადმყოფობაში თავსა.“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> წერილი 29 ნოემბრის (11 დეკემბერს) 1845 წ.

ლევან მელიქიშვილი, მეორე მისი ახანავი, სწერდა გრიგოლ ორბელიანს:

„Любезный Григорий, не знаю, как описать тебе то ужасное чувство, которым исполнено сердце мое смертью бедного Баратова. В нем потерял я не одного школьного товарища, но друга, которому с самого детства открывал я все изгибы сердца своего и дружественною взаимностью котораго я пользовался. Тяжело, мой Григорий, тяжело потерять человека, который теплым сердцем и теплою душою мирил нас с людьми, с этими созданиями ничтожными, слабыми, черными и злобными. Тяжело осиротеть душою! и не один я понес эту ужасную потерю, Грузия потеряла в нем человека любящего ее всю поэтическою душою и ставившаго эту любовь выше всех обязанностей своих; молодого человека с прекрасными и блестящими способностями, от котораго ожидала более, чем от кого либо из нынешних своих молодых сынов. Родители лишились в нем единственной подмоги своей старости и всего их семейства, родственники его, добраго родственника; грузины одного из своих лучших соотечественников.

Может быть я грешу, но не могу не сказать, где эта справедливость свыше, которой ежедневно толкуют,—зачем было отнимать преждевременно у людей друга, у родины вернаго и любящаго ее сына и с блестящими способностями, у родителей—сына в цветущих летах и последнюю подпору,—скажи же мне, где тут видна справедливость?“<sup>1</sup>

დასასრულ, ერთ წიგნში გრიგოლ ორბელიანთან, რომელიც დაწერილია ბარათაშვილის დედისაგან, ჩვენ ვპოულობთ პოეტის დედის გოდებას:

„მე უბედური, უბედურად კმნილი, მოვაკლდი ჩემს სიხარულს შვილს, და რა შვილს? რომლისაგანაც მოველოდი ყოველ სიხარულს. ვაი და ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემს თვალის დაბნელებას!“<sup>2</sup>

რამდენად უყვარდა ქართველ საზოგადოებას ბარათაშვილი და იყო პატივისმცემელი მისი ნიჭისა, ამას გვიჩვენებს შემდეგი ადგილი მელიქიშვილის ზემოხსენებულ წერილისა.

<sup>1</sup> წერილი 19 (31) იანვარი 1846 წ.

<sup>2</sup> წერილი ივნისის 3 (15).

Теперь обрадую я тебя—სწერდა მელიქიშვილი გრ. ორბელიანს—признательностью всех знакомых покойника к нему и к способностям его.—14 января, в день именин Нины, нас несколько молодых грузин обедало у Реваза Андроникова; в числе нас был Каплан, котораго просили пропеть სულო ბოროტო; но можешь себе представить, что ни он, ни один из нас не только не знал наизусть эти прекрасные стихи, но даже не имели их у себя и все душевно сожалели, что прекрасныя произведения покойника пропадают. Тогда же предложено было напечатать все стихи покойника на наш счет. На другой день составили подписку, которую просили родственников и знакомых покойника пожертвовать на напечатание как собственных его произведений, так и переводов его на тот конец, дабы сохранить для потомства произведения покойника; из части вырученных за проданныя книги денег поставить ему памятник, а остальную отдать в пользу семейства. В пять дней 17 человек пожертвовало 1000 рублей сереб.; из этого можешь видеть, как сильна была любовь к нему его знакомых!

ეს ფული, როგორც მაშბო ლევან მელიქიშვილმა, გადაეცათ გახსვენებულის მამისათვის. ალბათ, ამას დაუდვია პოეტის საფლავზე ის უბრალო ფიქალი, რომლის ერთი ნაწილიც დღემდის შენახულა. დანარჩენი ფულით, გარემოებათა გამო, იმას შვილის თხზულება ვერ გამოუცია...<sup>1</sup>.

1884 წელს მე წავედი განჯას, იმ განჯახვით, რომ მენახა პოეტის საფლავი და შემეკრიბა, რაც შეიძლებოდა, ცნობა იმის ცხოვრებაზე ან მაზრის სამმართველოს არქივში, ან კერძო პირთაგან.

მაზრის არქივში, რომელიც გუბერნიისაში გადაუტანიათ,—თუმცა ბევრს არათერს მოველოდი იქიდან,—მე არ შემიშვეს, რადგანაც გუბერნიის მთავრობამ შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვა მომთხოვა და მე ის ნებართვა არა მქონდა.

კერძო პირთაგან ვნახე მხოლოდ განჯის ეკლესიის მღვდელი, მამა მძინარაშვილი.

1. არის შენახული პატარა ბარათი პოეტის მამისა, მღვდელთან შინაწერი 1845 წ. ოქტომბ. 16 (28) თარიღით, შემდეგი შინაარსის: „მალალ ღირსო მამავო, დეკანოზ დიმიტრი უმდაბლესი გთხოვთ, ახლად გარდაცვალებულსა ჩემს შვილს ნიკოლოზს პანაშვიდი გარდაუხადოთ წირვის შესრულების შემდგომად“.

ის ეკლესია, რომლის გალავანშიაც იყო დასაფლავებული ბარათაშვილი მცებარეობს მაღალ ადგილზე, ქალაქის ბოლოს, საიდანაც თითქმის მთელი განჯა მოსჩანს. თვითონ ეკლესია არის პატარა, სულ 26 ნაბიჯი სიგრძით. კირით შეღესილ ოთხ მაღალ ქვის კედელს, ჩვეულებრივ კერით დაფარულს შუაგულზე გაჭრილ ფორთოხალივით დამზობილი აქვს გუმბათი, რომელზედაც ამართულია ჯვარი და გვერდით აქვს მიშენებული სამრეკლო.

ეკლესიის ეზო, რომელშიაც განისვენებს ნ. ბარათაშვილი, სიგრძით 35 ნაბიჯია, სიგანით 25.—გარშემოვლებულია რკინის ცხრილით, რომელსაც ქვედა პირი ქვით-კირისა აქვს. ეზოში დარგულია, ორი-სამი ძირი ვაზი, კვიპაროზები, კაკლის ხე და ამართულია რამდენიმე ძეგლი. აქ არიან დამარბული: მღვდლის უთნიაშვილის შვილები, მღვდლის მძინარაშვილის შვილები, ერთი ვიღაც გრიგორიევის ქალი. ერთს ძეგლზე ვკითხულობთ: „დაფლული არის გვამი თავადის და პორუჩიკის გიორგი ბარათაშვილისა 1823 წელსა აგვისტოს 1-სა. ცეცხლებრ მგზნებარე დედა“ (იცოდნენ და ლაპარაკი იმ კურთხეულის შვილებმა. ი. შ.).

ბარათაშვილი იყო დასაფლავებული ეკლესიის კართან, ჩრდილოეთისაკენ, იმის საფლავზე არავითარი ნიშანი არ იდო. თუმცა კი აღრე იმის საფლავზე ქვა ყოფილა დადებული. ეკლესიის მთავრობას, როგორც ეტყობა, აუღებინებია ეს ძეგლი, რადგანაც უშლიდა თავისუფლად შესვლა-გასვლას ეკლესიის კარებიდან. ძეგლს გადარჩომია მხოლოდ ის მარმალლოს ფიცარი, რომელიც ქვაში ყოფილა ჩადკმული. ეს ფიცარი—სივრძით რვა გოჯი, სიგანით ექვსი—დღესაც შენახულია ეკლესიაში. იმაზე წერია:

„აქა მდებარებს გვამი საქართველოს თავადის გუბერნსკის სერგეტრის, ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილისა, გარდაცვალებულისა 29 წლისა ჰასაკისა თვისისა 9 ოქტომბერს 1845 წელსა“.

## V

ბარათაშვილის პირველი ნაწერები.—Цветок гимназии. ჯგუფი თანამედროვე მწერლობის მოყვარება.—პოემები: „ივერიელი“ და „ბედი ქართლისა“.—რამდენი უწერია ბარათაშვილს, მისი თარგმანი ტრაგედიისა „Юлий Тарентский“.—წყარო მისი პოეზიისა.—რა გარემოში უწერია ბარათაშვილს.

ბარათაშვილის სამწერლო ბიოგრაფია ისეთივე მოკლეა, როგორც, საზოგადოდ; მისი ცხოვრების აღწერა.

პოეტმა, როგორც ვნახეთ, სკოლაშივე დაიწყო ლექსების წერა. ორი მისი სკოლის დროული ლექსი დაბეჭდილია მის თხზულებათა

კრებულში; უმეტესი ნაწილი კი თვითონ პოეტს არ უცვნია ღირსად ბეჭდვისა და არც ერთს ჩემგან ნახულ მისგანვე გადაწერილ ლექსთა კრებულში არ ჩაუტანია (მე მინახავს ორი ამგვარი ლექსთა კრება: ერთი განსვენებულ საშვეგრელოს დედოფლის ეკატერინესი, მეორე — კნეინა ვეზირიშვილისა). ამ ლექსების რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს ის დიდი პოემაც, „ივერიელნი“, რომელზედაც ამბობს კ. მამაცაშვილი და რომელშიაც იყო „აღწერილი ჩვენი აყვავებული ცხოვრება 10, 11 და 12 საუკუნეებისა“. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა პოეტს, „თუმცა ასეც მშვენიერი იყო,“ — ამბობს მისი მეგობარი.

სკოლაში ლექსებს გარდა ბარათაშვილი პროზასაც ეწყობოდა. გიმნაზიის შევირდებმა მიხეილ თუმანიშვილის თაოსნობით და რედაქტორობით დაიწყეს ხელნაწერ ჟურნალის გამოცემა 1835 წელს. ამ ჟურნალში, რომელსაც სახელად ერქვა „Цветок Тифлисской гимназии“, ბარათაშვილიც იღებდა მონაწილეობას. ჟურნალს ჰქონდა Библиотека для чтения ს ფორმა, რადგანაც ეს ჟურნალი იმ დროს მოდის ჟურნალი იყო.

მწერლობის სიყვარული პოეტს ცხოვრებაშიაც გამოჰყვა. სკოლის ამხანაგების მაგივრობას აქ უწევდნენ ის რამდენიმე მწერლობის მოყვარე პირნი, რომლებიც ხადებოდნენ სხვადასხვა დროს. ესენი იყვნენ: ავთანდილოვი, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი, გიორგი ერისთავი, ლევან მელიქიშვილი, პლატონ იოსელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, ზაქარია ორბელიანი, ილია ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ მაღალაშვილი, სვიმონ მაჩაბელი, ლუკა ისარლიშვილი, საპერის ოფიცერი ჭავჭავაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, ზაქარია ერისთავი, იასე ანდრონიკაშვილი, ივანე სარაჯიშვილი, ქართული მწერლობის მოყვარე ზოგიერთი პოლონელი, როგორც იყო ზაბლოცკი და სხვ. ესენი არ შეადგენდნენ ერთ მჭიდრო წრეს, არც წარმოადგენდნენ ერთს განსაზღვრულ სამწერლო იდეას, მაგრამ ამათში ქართული მწერლობის სიყვარული დიდი იყო და ჟურნალის გამოცემის აზრი ფეხს იკიდებდა.

ბარათაშვილი მოთავე იყო ამ საზოგადოებისა. ყოველთვის, როდესაც ან შემთხვევა მოიტანდა და ზემოთნახსენები პირნი ერთად სადმე შეიკრებოდნენ, ან საგანგებოდ შეიკრიბებოდნენ, საზოგადო მსჯელობა ამ ქართველ ყმაწვილ-კაცებისა იყო ქართულ მწერლობაზე და ისტორიაზე. ასე ამბობს ორივე, ბარათაშვილის ცხოვრების ამწერი, ესევე გამიგონია პოეტის ნაცნობ-ნათესავთაგან და არა მგონია, რომ ეს სიტყვები დანაყბედი იყოს. ამ დროს ჯერ კიდევ ხუროჯი მაგარი ჰქონდა ქართველ საზოგადოებას და რუსული



ცხოვრების და მწერლობის უპირატესობას ქართველი ისე მაგრად და დამჩავერელად არ გრძნობდა, როგორც შემდეგში, როგორც გიორგი მუხრან-ბატონის დროს, როგორც ახლა (1893 წ.). მაშინ საზოგადოებას სწამდა და სარწმუნოებამან მისმან აცხოვნა იგი, მისცა ისეთი მწერლები. როგორნიც იყვნენ გრ. ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გ. ერისთავი, ე. ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი.

„ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები — წერს კ. მამაცაშვილი,— ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლევან ივანესძე მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთუბნის ბაღებში... ხშირად გვექონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე. ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგან არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მეხუთე საუკუნიდან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია იმ საუკუნისა. პლატონ იოსელიანს მიანდევს დაწერა ძველის საუკუნის ისტორიისა, ქრისტეს წინა და შემდეგ მე-5-ე საუკუნემდის“.<sup>1</sup>

პოემა „ივერიელი“ და შემდეგ „ბედი ქართლისა“ არის ჩაგონებული ამ „ქართლის ცხოვრების“ სიყვარულისაგან. საქართველოს დიდებული წარსული, მაშინდელი მისი სისუსტე, მომავალი იმედები, ერთი სიტყვით „ბედი ქართლისა“—აი რა იყო ახალგაზრდა პოეტის მუდმივი ფიქრი და ოხვრა.

„მახსოვს, ერთს ივლისის ღამეს 1838 წელს, — წერს მამაცაშვილი,— მე და ტატო წავედით სასეირნოდ გარეთუბანს (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი—ს. ვ.). ტატო ძალიან მზიარულად იყო და თავისებურად მშვენიერად ხუმრობდა. მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზეც და ტრაგიულს დასასრულზედ მე-18 საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობისა გამო უღონობაზედ, ჩვენის ტფილისის წახდენაზე 1795 წელს, 14 სექტემბ. და სხვ...

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მზიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოციტ ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

— „ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა! — და ოხვრით დაუმატა: ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!“.<sup>2</sup>

ბედმა არ მისცა ბარათაშვილს ფართო ასპარეზი ერთგულებისა მამულის სასარგებლოდ. მაშინ, როდესაც სხვა მისი ნაცნობები და ნათესავები მსახურობდნენ სამშობლოს ბრძოლის ველზე და განამშვე-

<sup>1</sup> „დროება“, 4 ოქტომბ. 1881 წ.

<sup>2</sup> ibidem.

ნებდნენ კავკასიის ისტორიას თავიანთი ძალადი სახელით, ბარათა-  
შვილი უცნობი, შეუნიშნავი, ქვეყნისაგან დაეიწყებული, კანცელა-  
რიის სიბნელეში აქრობდა ღვთაებრივ ცეცხლს, რომელიც ლამპარ-  
ვით უნათებდა მას სულს. ბედმა შექმნა მისი მეგობრები მამაცად;  
ბედმა უღედინაცვლა იმას და დალურსმა იგი „სტოლონაჩალნიკის“  
სკამზე, სანამ არ მოიღო მასზე მოწყალება და პრესტავის თარაჯით  
შემოსილი არ ჩაუშვა უდროოდ ცივ სამარეში.

სამწერლო ბალაქი ბარათაშვილისა ერთობ მჩატეა. სკოლის  
შესრულებიდან სიკვდილამდე—ათს წელში — იმას დაუწერია სულ  
39 პატარა\* ლექსი და ერთი პატარა პოემა. მიზეზი ამისა იგივეა,  
რის გამოც ასე ცოტა უწერიათ გრ. ორბელიანს, ვახ. ორბელიანს,  
რის გამოთაც ასე ცოტას წერენ საზოგადოდ ყველა ჩვენი პოეტები  
და მწერლები. მიზეზი ის არის, რომ ჩვენში მწერლობა როგორც  
ხელობა არ არსებობს. ორ-სამ კაცს გარდა, რომელნიც სვეტად  
შესდგომიან ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ქართველი მწერლის ცხოვ-  
რება მწერლობის გარეშე მიმდინარეობს. წელიწადში ჩვენმა მწე-  
რალმა ორი-სამი თვე რომ წეროს, ისიც ბევრია. არა მგონია, რომ  
ყველაზე უფრო ნაყოფიერი ჩვენი პოეტი აკაკი, წელიწადში ამაზე  
მეტს წერდეს, დანარჩენ დროს... დანარჩენ დროს ჩვენი მწერალი  
არაფერს აკეთებს მწერლობისათვის.

ბარათაშვილიც ასე იყო. წერდა ის ათასში ერთხელ, რთცა  
ქაღალდების მორევში ჩალუპული სტოლონაჩალნიკი დროს და მო-  
ცალეობას იშოვიდა, როცა რამე შემხვევა შეიცავდა მას და გაი-  
ტაცებდა.

ამიტომაც არის, რომ პოზენისაგან სამაგალითოდ ქებულ „სტო-  
ლონაჩალნიკს“ ასე ცოტა მონაწილეობა მიუღია ქართულ მწერლო-  
ბაში. ამიტომაც „ავარიის მთავარსაც“ (გრ. ორბელიანს—ს. ც.) ასე  
მცირე წიგნაკი დაუტოვებია შთამომავლობისათვის.

სული და გული კი მაინც მწერლობისაკენ ჰქონდა ბარათაშვილს.  
საბეჭდი ორგანო არსად იყო, მაგრამ ის ლექსებს წერდა, თეატრი  
არსად იყო, მაგრამ ის დრამას ამზადებდა. სთარგმნიდა და ბავშვუ-  
რის აღტაცებით ტაშს უკრავდა ტოლ-ამბანავთან მონაწილეობას  
ქართუ... მწერლობაში. 18 (30) ოქტ. 1841 წელს პოეტი სწერდა  
გრ. ორბელიანს, რომელსაც ყოველთვის ანგარიშს აძლევდა სამწერ-  
ლო საქმეში:

\* ზოგიერთი ლექსი ამ ნარკვევის დაწერის დროს ცნობილი არ იყო, ამ-  
ჟამად 43-ამდე ლექსი და 5 ვარიანტი უნდა ვიანგარიშოთ.—ს. ც.

„ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალ შოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურიოვან, მყუდროებაში და მარტოობაში შეეწვივიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითი ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ ჰქონიათ გონებით!“.

იმავე წელს ისა სწერს გრიგოლ ორბელიანს:

„ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა; კიპიანმა<sup>1</sup> გადმოთარგმნა Ромео и Джулиетта შექსპირის ტრალედია, და მე ვთარგმნე Юлий Тарентский, ტრალედია ლეიზევიცისა; თუ წაკითხავს „ბიბლიოთეკაში“ ყო დაბეჭდილი. მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გაშინჯე, იტირეს“.

ეს თარგმანი ჯერ-ჯერობით დაკარგულად ითვლება. საკვირველია, რომ ამ ტრაგედიაზე არაფერი იხსენიება იმ რეპერტუარში, რომელიც გიორგი ერისთავმა წარუდგინა ბებუთოვს 9(21) ნოემბერს 1855 წელს. ეტყობა, ეს თარგმანი მაშინაც დაკარგული ყოფილა.

სამწერლო ბიოგრაფიის შესავსებად მოვიხსენიოთ აქ ისიც, თუ როგორ იღვიძებდა შემოქმედებითი ძალა პოეტისა და სად იზადებოდა სუუეტი მისი ლექსებისა.

უმეტესი ნაწილი ბარათაშვილის ლექსებისა, როგორც მოგვითხრობენ მისი ამხანაგები, დაწერილია სახლს გარეშე. სახლში იმას ჯოჯოხეთი ჰქონდა ჩამდგარი, რომელიც სიცოცხლეს უმწარებდა და ყოველგვარ სულის სიმშვიდეს უქლავრევდა. მხოლოდ სახლს გარეშე, ნათესავებთან, ტოლ-ამხანაგებთან და უფრო ვერის წყლის პირას, მთაწმინდაზე, გარეთუბანში საღამოს-საღამოობით სეირნობის დროს, მთვარიან ღამეებში აეშლებოდა პოეტს გროვა პოეტური სახეებისა და აზრებისა. მისი წიგნებისა და მოწმობათა თანახმად, ბარათაშვილი გვეხატება ჩვენ ოცნებისაგან გატაცებულ ახალგაზრდა რომანტიკოსად, რომელიც შეყვარებულია მთვარიან ღამისა და აჩრდილებისა.

„Я оживляюсь только по вечерам лунным — სწერს იგი მიხეილ თუმანიშვილს — так прекрасным в Тифлисе! Вчера, в один из этих вечеров, пошел я бродить к Московской заставе; вдруг я очутился на кладбище. Признаюсь, немного смутился, когда я взглянул на это онемение: 11 часов ночи.“

<sup>1</sup> დ. ყივიანმა. — რედ.

Ни души. Кругом пустота вечная; луна тускло освещает могилы как догорающая лампада усопшаго. Тихо и медленно протекает Кура, как будто боясь нарушить покой в этом унылом мире!... Ты теперь в раздолье, и я не хочу смущать тебя мрачными думами, которые навело мне на душу это зрелище, небесно-земное! Но скажу, что прекрасное изобретение кладбище, а это необходимо, чтобы смертный порой читывал бы по нему свою жизнь: утешение несчастного, конец счастью!

ერთი მესამედი ბარათაშვილის ლექსებისა არის ნაყოფი სიყვარულისა და მშვენიერების. ეკატერინე ჭავჭავაძისა, ნინო ორბელიანისა, ნინო გრიბოედოვისა, მისი დელფინა და სხვანი ერთი ერთმანეთზე უკეთესნი შეადგენდნენ მისთვის დაუღვევლ წყაროს პოეზიისას.

ლევან მელიქიშვილმა გვიამბო, სხვათა შორის, გენეხისი ერთი მისი ლექსისა.

ბარათაშვილი იყო თურმე მიწვეული საგინაშვილის სიდედროთან საღამოზე და იქიდან შემოვარდა უაფლან ორბელიანთან, საცა დაუხვდა იმას ლევან მელიქიშვილი.

„ლევან, ლევან! გავგიჟდი მეტი არა ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს“... და იმ საღამოს სპხსოვრად დასწერა ლექსი „საყურე“...

ერთი უკანასკნელი სიტყვაც პოეტის პიროვნებაზე. იმ ჯიბის წიგნიდან, რომელშიაც ვნიშნავდი მე ყოველს განაგონს ბარათაშვილის შესახებ, არ მინდა დავტოვო ამოუწერელი ერთი ამბავიც, პოეტის ამხანაგისაგან სმენილი. ზოგიერთი ადგილი ბარათაშვილის საუკეთესო ლექსებისა—მიაბო ამ ერთმა მისმა ამხანაგმა და მეგობარმა, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს საზოგადოებაში<sup>1</sup>—სხვადასხვა ადგილას თურმე არის მონაგონ შენათხზი, პოეტური შემოქმედება ისეთი რამ გზაშეუგნელი ძალაა, რომ ყოველგვარი სახე იმის თავის ჩენისა უნდა აღბეჭდოს კაცმა და ამის გამო მეც არ დავრიდე ამ ეგებ, უსარგებლო ამბვის მოკვანას.

მე მეწვრილმანე ვარ ქართულის მწერლობისა და, თუ როგორმე ამბები მოვაკენკე, თავი მდიდარი მგონია!

<sup>1</sup> ლევან მელიქიშვილი.—ს. ც.

ბარათაშვილის დრო. სწავლა-განათლების მიმართულება. ანტონ კათოლიკოსის გავლენა. ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის პოეზიის გავლენა.

სანამ ბარათაშვილის შემოქმედებით ძალაზე დავიწყებდეთ სჯას და მის ნაწერებს ჩავუკვირდებოდეთ, უნდა ვნახოთ, რა მდგომარეობაში იყო ქართული მწერლობა იმ დროს, როდესაც დაიწყო წერა პოეტმა. რაც უნდა მტერნი ვიყვნეთ წინასიტყვაობისა, ჩვენ მაინც უნდა ვათხოვოთ ფიქრი და მოცალეობა ამ საგანს. ქართულ მწერლობაში ყურნალ „ცისკრამდის“ განვილი დრო, ის დროა, რომელსაც ისტორიაში ეძახიან ისტორიის წინა დროებს. ბარათაშვილის სიცოცხლეში ჯერ პირველი დღე შემოქმედებისა არ დამდგარიყო და საქართველოს მწერლობაში სუფევდა მეუფება ჰაოსისა. ამ ჰაოსის სურათი თუ არ გვექნა თვალწინ, ახალი მწერლობის სრულად გაგებაც შეუძლებელი გაგვიხდება.

საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან ამ დრომდე 30 წელს გაველო. ახალ დროებს, რამდენადაც იყო, სულ ყველაფრისათვის ვცვალა ფერი. ცოტა რამ, მაგრამ სულ ცოტა ცვლილება დასჩენოდა იმ ათასი წლის მოხუცს, იმ ჯამად უსულოდ მდებარეს, რომელსაც ეძახიან ქართულ მწერლობას. განა თუ ამ მოხუცს ძარღვები სისხლით ავსოდა და ძალი რამ მომატებოდა! არა. ის იგივე იყო, რაც მარადჟამ. მხოლოდ ახალმა დროებამ, ახალი ცხოვრებისა და მწერლობის გაცნობამ მოწინავე ქართულ საზოგადოებაშიაც გააღვიძა აქა-იქ ახალი სამწერლო სურვილი, მაგრამ წიგნის მკითხველი საქართველო ისევ იმ ძველ აკმოსფერას სუნთქავდა, რომლითაც იყო გარემოცული ქართული მწერლობა, პეტრიწიდან დაწყებული იოანე ბატონიშვილამდის და ანტონ ჭყონდიდლამდის.

ასეთია ძლიერება დროებისგან აგებული შენობისა. ზნეობრივსა და გონებრივ სფეროში, რაც დროს შეუქმნია, იმის შემუსვრა მხოლოდ დროს შეუძლია. აგერ ოთხმოცდა-ათი წელია, რაც ახალი ცხოვრების რეჟიმი სუფევს ჩვენში, ოც-და-ხუთი წელიწადია, რაც ყურნალ-გაზეთებს გააქვს და გამოაქვს ახალი სიტყვა საქართველოს ყოველ კუთხეში, აგერ, საცაა, ოჯახი არ გადარჩენილა, სადაც იაკობ გოგებაშვილის საყმაწვილო წიგნი არ შესულიყოს, მაგრამ ძველი მწერლობის გავლენა ისევ ისე ძლიერია ჩვენში, იმის ძალას ისევ ისე მაგრად ვგრძნობთ. და არც ერთს ჩვენს საჩინო მწერალს

არ შეუძლია დაიკვიროს, რომ იმან სრულიად გაათავისუფლა თავისი კალამი ამ ენის ბორკილებიდან.

1835 წ., იმ დროს, როდესაც ბარათაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, ე. ი. ამ ნახევარ საუკუნის წინათ<sup>1</sup>, ძველი მწერლობის გავლენა უფრო ძლიერი იყო.

როგორც ძველიდანვე, ეს მწერლობა და მისგან განუშორებული საერო განათლებაც ამ დროსაც ეკლესიის საფარქვეშ იყო მოთავსებული. ერეკლე მეფის დროს საქართველოში დაარსებული ტფილისისა და თელავის სასულიერო სემინარიები ორი უმაღლესი სასწავლებელი იყო სამეფოში. ამათ მოსდევდნენ სამონასტრო და საეკლესიო სკოლები ტფილისისა, ქართლ-კახეთისა და იმერეთისა...

სწავლა-განათლების სასულიერო მიმართულება ჩვენში ახალი არ იყო. ქართველი კაცი დასაბამიდანვე წიკნს იმიტომ სწავლობდა, რომ ლოცვები სცოდნოდა. საეკლესიო სასწავლებლები ამ მხრით სრულიად აკუყუფილებდა მის მოთხოვნილებას. მშვენიერი ენით თარგმნილი: დავითნი, სამოციქულო, სახარება და სხვა სამღვთო წიგნები და მათი განმარტება იმისათვის ისტორიაც იყო, კატეხიზმოც და ღვთისმეტყველებაც. ამ წიგნებისა და სასწავლებლის მეოხებით ქართველმა ათასი წლობით შეიარაღა თავისი სჯული, ეროვნული სახე და ენა. საწრველო სკოლა ჰყოფნიდა საეკლესიო მსახურსაც და სახელმწიფოს სამმართველოდ განუზადებულ პირსაც, მღვდელსაც და სტატს-სეკრეტარსაც. მიუსხეს თქმისა არ იყოს, ჩვენი ჭიქა პატარა იყო, მაგრამ ამ პატარა ჭიქითაც ვსვამდით.

მეთვრამეტე საუკუნეში კი, დროთა ვითარების წყალობით, ამ სასულიერო განათლებას მოჰყვა სამოქალაქო განათლების მოთხოვნილება. მოთხოვნილებამ საჭირო კაციც დაბადა. ამ კაცს, რომელსაც ძარღვებში რეფორმატორის სისხლი ედგა, ყველაფერი ხელთ ჰქონდა თავის აზრის განსახორციელებლად; ის იყო ფრიად განსწავლული და ამან შექლება მისცა მას თვითონ დაეწერა, რაც რამ საჭირო სახელმძღვანელო იყო სკოლებისთვის; ის იყო მდიდარი და ამან გაუადვილა იმას შრომა და შრომისთვის საჭირო წიგნების შეძენა რუსულს, ლათინურს და ქართულს ენებზე; ის იყო საქართველოს ეკლესიის თავი და ამან დააჩქარა მისი წიგნებისა და აზრების შეთვისება სკოლებთაგან; ის იყო მეფის-ძე<sup>2</sup> და იმან გაავრ-

<sup>1</sup> ამ ნარკვევის წერა 1885 წელს დაწყებული—ს. ც.

<sup>2</sup> ანტონ I კათოლიკოსი (1720—1788) ძე მეფის იესესი, ძმისწული ვახტანგ მეექვსისა. — ს. ც.

ცელა მისი წიგნები ქალაქ-ქალაქად და სოფლითი-სოფლად, ყოველს-ოჯახში, საცა ქართული იწერებოდა და იკითხებოდა. საერო განათ-ლების პროგრამა იმ დროს რუსეთში და რუსეთს გარეშეც ითხოვდა: ღვთის-მეტყველებას, ფილოსოფიას, ლოდიკას, ფსიქოლოგიას, ის-ტორიას, ფიზიკას. რომ ჩვენს ქვეყანაშიც შემოეღო საერო განათ-ლება და ჩვენი ერის გონებრივ მოძრაობისათვის ერთი ნაბიჯი წაედგმევიწინებინა წინ, ანტონ კათოლიკოსმა—თქვენ, რასაკვირველია, მიხვდით, რომ სჯა მას ცხება—ნახევარი საუკუნის დაუცხრომელი შრომითა და დეაწლით ქართულ ენაზე შეადგინა: წყობილ-სიტყვაო-ბა, ე. ი. გაღქმილი ბიოგრაფია ჩვენი ქვეყნის ისტორიულ პირთა და მწერალთა, ფილოსოფია, როტორიკა, გრამატიკა, ლოდიკა, მე-ტათიზიკა, ფიზიკა, კატეხიზმო და სხვა სასულიერო წიგნები.

ჩვენს მონასტრებს და ეკლესიებს, ე. ი. ჩვენა სასწავლებლებს მასიქადულოდ მიაჩნდათ მეფის ძისა და ეკლესიის უფალის ანტონ კათოლიკოსის წიგნებით სწავლება სხვადასხვა მეცნიერებისა. სკო-ლებიდან წიგნები ვრცელდებოდა მთელ საქართველოში და ამ წიგ-ნებთან იპათი დამწერის გავლენაც. თავისსიცოცხლის უკანასკნელი 25 წელიწადი, რომლის განმავლობაში ანტონი, რუსეთით დაბრუ-ნებული, კვლავ კათოლიკოსობდა საქართველოში, ის იყო სწორედ მეფე საქართველოს გონებისა და ზრახვისა.

დიდი კეთილი უნდა დაჰყოდა ჩვენს ქვეყანას იმისი შრომის სიუხვისაგან, ერთს გარემოებას რომ არ დაეპრკოლებია საქმე. კა-თოლიკოსს ენა არ შეხვდა ამ მეცნიერებათათვის შეფარდებული. სულ ყველა მისი აზრები, მაღალი ფილოსოფიური აზრები, რაღაც-გვარ ნისლღრუბელშია შეხვეული, რომელიც უშლის კაცს საგნე-ბის ნათლად დანახვას. აიღეთ, რომელიც გინდათ, მისი ფილოსო-ფიური თხზულება. თუნდ „სპეკალი“, მაგალითად, გადაშალეთ პირ-ველივე გვერდი, წაიკითხეთ პირველი სტრიქონები და მითხარით: თუ ბევრი გაიგეთ შიგ. თუ გნებავთ ან ეს სტრიქონებაც:

„აზიარა სადამე სახელითა აობამან ყოველნი მყოფნი ორად სა-დამე ნანდვილმყოფისა და ზედ-შემოსრულისა მართ განკვეთითა ამის უადრესისა მყოფისათვის თქვა არისტოტელი საქმე არსო თვით მყოფი არავისდამი მოქენე“.

ახლა წაიკითხეთ ამავე წიგნის წინასიტყვაობა ტიმოთე შიტრო-პოლიტისა:

„რამამად იკალობებოდნენ უშიზეზო მიზეზი მიზეზოვანისა, რომ-ლისათვის ხმოვანება სიტყვათა არს ჩვენი უოცნოსა მის გვარისადმი უგვაროისა და ურამამოსათვის წინაგან სიტყვა ფილოსოფოსთა და

კვალად ატრიკლებრივი ლექსვა ძნიადობენ მეკბნეობა და რიტორ-  
თა თხზვა წინა უკმო".<sup>1</sup>

საკვირველი და სამწუხარო აქ ის არის, რომ ანტონ კათოლი-  
კოსი იმ შემთხვევაშიაც, როცა შეეძლო კარგად წერა, განზრახ  
გაუგებრად წერდა. ქართულს ენას, იმის სწავლით, სამგვარი კილო  
უნდა ჰქონოდა: ეკლესიურა (ეს იყო მაღალი ხარისხის სიტყვიერება),  
დარბაისლური და გლეხური ან დაშვებითი. ამათვან: მისგან დაწე-  
რილ სამოქალაქო წიგნებს უფრო შეენოდა დარბაისლური, ე. ი.  
მუცამ თავდაჭერილი, მუცამ მორთულ-მოკაზმული და შეხამებული  
ენა. ყოველი ცოცხალი სიტყვა, ყოველი შინაახმარი ლექსი უნდა  
გაშორებოდა სამოქალაქო მწერლობას. ეს მდაბიო ენა იყო, რო-  
მელშიაც ნამდვილი მწერალი ენას და კალამს არ გაისვრიდა. გაი-  
გებდა თუ არა მკათხველი მწერლის აზრს, ან თვითონ მწერალს  
ესმოდა რამე იქიდან, რასაც წერდა, თუ არა,—იმას ვინ დასძევდა?  
სულ ყველა კატეგორიებს, რიტორიკებს, მეტაფიზიკას, ლოდიკას  
გაჰქონდათ ერთი გამოუღეველი რახარუხი სიტყვებისა და ქართვე-  
ლის ყური სულ ყველაფერს ისმენდა მოთმენებით და მორჩილებით.  
იოანე ბატონიშვილივით „მშვიდობა შენდა“ „და სულისაცა შენისა-  
თანა“-ს თუ ეტყოდნენ ერთმანეთს ნაცვლად გამარჯვება-გაგიმარ-  
ჯოსი, თავი დიდად სწავლულად და ბედნიერად მიაჩნდათ... და  
ყველაფერი კარგად იყო ამ ყველაფრით საუკეთესო საქართველოში.

არ ვიცი ჩვენი ძველი მწერლობის გარემოება და ვერც ვიტყვი,  
თუ რისგან მოხდა შემდეგ იმ მშვენიერი ენის დაბნელება, რომელიც  
ანდამანტივით ბრწყინავს დავითნ-სახარებაში და ვისრამიან-ვეფხის-  
ტყაოსანში,—უცხო ენათა წყალობაა, უეჭველია. მაგრამ ის კი ცხა-  
დია ჩემთვის, რომ ჩვენი ძველების გონება გარჩევით ვერას ხე-  
ლავდა ქართულ ენაში. მეფე გიორგი, რომელსაც თვით ბიძა მისი  
ანტონ კათოლიკოსი უკითხავდა, მემკვიდრეობის დროს, თავის ფე-  
ლოსოფიას, ენერგიულად იტყოდა: „არა მესმის ესე, ვნაყავ წყალსა“.  
ღმერთო, შეგცოდნე და, მგონია, ამ მეფეს მთელი მისი სამეფო ეხ-  
ნარებოდა წყლის ნაყვაში.

იმ საუკუნის ბოლოს საქართველოს პოლიტიკური ბედი რომ არ  
შეცვლილიყო, ანტონ კათოლიკოსის მეტაფიზიკისა და ენის მეფობა  
დიდხანს გასტანდა და სულთაშხუთავი უაზრო რახარუხი სიტყვე-  
ნისა დიდხანს დააგვიანებდა სანათურისა და ჰაერის შეტანას ქარ-  
თველის გონებაში. მაგრამ დრონი იცვალნენ და ანტონის ფილოსო-

<sup>1</sup> სპეკალი, თხზ. ანტ. კათ. გვერდი 1.



ფიამ გზა მისმა ახალ ცხოვრების მოთხოვნილებას. ახალმა ცხოვრებამ ახალი მწერლობა დაბადა.

ეს მწერლობა ერთბაშად არ მოსულა. ამ საუკუნის დასაწყისს ქართველი კაცის გონება სულ სხვა საგანს დასტრიალებდა თავზე, ვიდრე მწერლობას. პოლიტიკური და საზოგადო კითხვები სრულიად ისაკუთრებდნენ ამ დროს ქართველობის ყურადღებას. მწერლობა იდგა შორს, ძლერ შორს, სადღაც მეთვით, მეთორმეტე პლანზე. ეს ღვთის წყალობა ქართული ენა ხელთ გვექონდა კავშირად და სახსოვრად ძველის დროებისა, მაგრამ მწერლობაზე ფიქრს სჩაგრავდა სხვა, უფრო მწვავე ცხოვრების კითხვები.

ამგვარი ჩამოქვეითება სასულიერო ინტერესებისა, რასაკვირველია, ცუდად მოქმედებდა მწერლობის წარმატებაზე. არაპც თუ ახალი მწერლობის გამოჩენა რჩებოდა შეუმჩნეველად საზოგადოებაში, თვით მწერლობა მიფარებული იყო თვალთაგან. ამის მიზეზი, პოლიტიკური გარეცობების გარდა, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ ჩვენს ცხოვრებას აკლდა სტამბა, რომლის გარეშე არავითარი გონებრივი წარმატება არ არსებობს თანამედროვე საზოგადოებაში. ვახტანგ შეფის სტამბა აღამაჰმადხანმა დასწვა; სტამბა იოსებ სამებელისა, ბაქარისა, საჩხერის სტამბა, ქრისტესია მღვდლის ბადრიძის სტამბა და სხვ., ან სულ ერთიანად გაუქმდნენ, ან თუ იმათგან გადარჩენილი ასოებით კიდევ რასმე ბეჭდავდნენ, ეს იყო ან სამღვთო წიგნები, ან ისეთნი, რომელთაც თანამედროვე მწერლობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. შილლერი რომ დაბადებოდა ამ დროს საქართველოს, იმასაც უბით უნდა ეტარებია თავისი ნაწერები და მომავალი დროისთვის შეევედრებინა თავისი დიდი იმედები...

მაგრამ ციციანოვისაგან დაფუძნებულმა საწავლებელმა და ახალი რუსული მწერლობის გაცნობამ ცოტ-ცოტად გაათავისუფლეს ქართველ მოზარდთა თაობის გონება საეკლესიო მეცნიერების მონაზიდან და გზა-მაუგნებელ ენა ფილოსოფიიდან... დამკვიდრდა მის ნაცვლად სუფევა ყოველთათვის გასაგები უბრალო ქართული ფრაზისა...

ამ სამწერლო რევოლუციის მოთავენი არიან ის პირნი, რომელთაც პირველად შეასრულეს სწავლა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. ამათ რიცხვში თავი და პირველი ადგილი უჭირავს გრიგოლ ორბელიანს.

ბარათაშვილი ორბელიანის პირველწოდებული მოწაფე იყო. როდესაც ეს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ქართულ საზოგადოებაში ოციოდე საუკეთესო ლექსი ტრიალებდა „სადღეგრძელოს“

შემოქმედისა. ახალი ღირიული მოძრაობა ქართული პოეზიისა, მას-  
შასაღამე, ამ დროს დაწყებული იყო დიდი ხნით. როგორც ყოველ-  
მა ახლად დამწყებმა მწერალმა, ბარათაშვილმაც დედნად და ნიმუ-  
შად თვისის მწერლობისა აირჩია ის, რაც საუკეთესო იყო თანამედ-  
როვე მწერლობაში, ე. ი. მწერლობა გრ. ორბელიანისა. ენით, გამოთ-  
ქმით, პოეტური მოტივებით, მსჯელობით, ლექსში თუ პროზაში, ბა-  
რათაშვილი შეიქნა ხორცი ხორცთა მისთავანი და ძვალი ძვალთა  
მისთავანი, როგორც ის იყო სისხლით და ხორციით მისი ნათესავი.  
არც ერთი ლექსი არ დაუწერია ბარათაშვილს, რომ არ გაეგზავნოს  
ბიძა მისისთვის და რჩევა არ ეკითხოს მის სიკარგეზე, არც ერთი  
ლექსი არ დაუწერია ბიძა მისსაც, რომ ამას ზეპირად არ დაესწავ-  
ლოს. „არ ვიცი, ეს ლექსი როგორ მოგეწონება“ — სწერს ის „ჩემს  
მერანის“ გაგზავნაზე; ჩემი ახალი ლექსი ეს არის, სწერს იგი „სუ-  
ლო ბოროტოზე“; „ფანტაზიაზე“ ეტყვის: ამ მცირე ხანში ერთი  
ლექსი დავწერე, რომელსაც ამაჰთანავე გიგზავნი. შენი აზრი ჩემთ-  
ვის მარადის სასიამოვნოა“. იმ ოთხ-ხუთ წერილში, რომელიც გა-  
დარჩენია ყოვლის შემწირველს დროს, ერთ ადგილას ისა სწერს  
გრიგოლ ორბელიანს: „კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუ-  
ნენით, თქვენ მომავონდით. მაშინ მომავონდა:

განცეცხლებულთა ღვინისგან შებლთა  
კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს.

ორბელიანს გარდა, იყვნენ სხვა მწერლებიც, რომელთაც ეკა-  
ვით სამწერლო ურდო ამ დროებისა. ამათ შორის პირველი ადგილი  
უჭირავს ალ. ჭავჭავაძეს, რომლის ლექსებს უფრო მღეროდნენ, ვიდ-  
რე კითხულობდნენ. რომლის პოეზიას სიშნოს და მიმზიდველობას  
უმატებდა მისი მშვენიერი ქალიშვილების სიმღერა. ვერც ერთი  
სტამბა ქვეყანაზე ვერ გაავრცელებდა მის ლექსებს ისე, როგორც  
ამათი მშვენიერი ბაგე. იკითხებოდა იმ დროს აგრეთვე დავით მა-  
ჩაბლის ლექსები, საიათნავას ლექსები, მაგრამ, როგორც ეს შემ-  
დეგში დრომ დაამტკიცა, არც ერთ ამათგანს არ ჰქონდა მომავალი,  
რადგან არც ერთს არ ედგა ცოცხალი სული და წრფელი მარ-  
ტივი გრძნობა. ესენი მხოლოდ ატკბობდნენ მისთა თანამედროვეთა  
სმენას და არა გრძნობა-გონებას. თვით ალექსანდრე ჭავჭავაძე გარ-  
დავიდა ქართულ მწერლობიდან უშკოლოდ. მას არც ერთი მიმდე-  
ვარი არ დარჩენია თავის შემდეგ, არც არა შკოლა.

თავი რომ მოეუყაროთ ჩვენგან ზემოთ ნათქვამ ყველა გარემოებათ, დავინახეთ ყველა იმ პირობათა, რომელთაც ხელი შეუწყეს ბარათაშვილის წარმატებას. ესენი იყვნენ: კარგი ქართული ენა და ვითნ-სახარებისა და ვეფხისტყაოსნისა, რომელიც ბარათაშვილმა პატარაობიდანვე ისწავლა; ახალი გარდამავალი დრო, რომელიც შობს და ასაზრდოებს ახალ აზრსა და კაცს; ალ. ჭავჭავაძისა და მისებრი პოეზია, რომელიც ერთი ნაბიჯი იყო წინ მწერლობაში შემდეგ საუკუნოების უწყალოებისა და, დასასრულ, და განსაკუთრებით, მწერლობა და ნათესაობა გრ. ორბელიანისა, რომელიც იყო და არის მამამთავარი ახალი ლირიული მოძრაობისა ქართულ მწერლობაში.

ბარათაშვილის ნაწერის გარჩევა დაგვანახებს, რა გვარად ისარგებლა ამ კაცმა ყველა ამ გარემოებით.

## VII

ნ. ბარათაშვილის ნიჭი. მისი პირველი ნაწარმოებნი. სიყვარული. საუკეთესო ლექსები. ბარათაშვილი „სულით მახვრალი“ პოეტი. მიზეზი ბარათაშვილის სულით თბლობისა.

ნ. ბარათაშვილი მოკვდა 28 წლისა. ის იმ ბედნიერ ქვეყანაში არ იყო დაბადებული, საცა სულ ყველაფერი, რაც რამ შეუძენია კაცობრიობას და საუკუნეებს, ჰომერიდან დაწყებული ედისონამდის, თვალწინ აქვს გაშლილი მოზარდ თაობას, რომელსაც მარტო თვალი და ყური სჭირია, რომ პირველს ჰასაკშივე შეიძინოს გემოვნებაც, ზონიერებაც; ხელოვნებაც; ცნობაც; ის, რასაც ჩვენ ვიძენთ და ხშირად სულ არ ვიძენთ სრულს ჰასაკში, მოხუცებულებაში.

ჩვენში 28 წლის კაცი ჯერ კიდევ ყმაწვილია. ჩვენი კულტურა ქუჩა-ქუჩა არ დადის და არ გემოდღვრის, თვალყურში არა გვჩრის განათლებას. რამდენი სწავლული კაცია კავკასიაში: ქუთაისში; ერევანში; განჯაში, რომელთაც თავის დღეში არც მუხეუმი უნახავთ, არც ბიჭუა, არც ოპერა, არც აკადემია, არც პარლამენტი და რომელთა გონების განვითარებას, მაშასადამე, ცოტა რამ ყოველთვის აკლია რაღა შორს დავეძებ! ერთი სკოლის ამხანაგი მყავს, კაცი, დიდად განათლებული, თითქმის სწავლული, რომლის იშვიათი წერილები ჟურნალ „ივერიაში“ იბეჭდებოდა. ერთ საღამოს მე და ეს კაცი, აკადემიიდან ახლად ჩაქოსული, დროს გასართობად წავედით ცირკს. მე სიტყვობებით და სურვილით შეკუთრებდი მის დიდი ხნით უნახავ ჭკვიან თვალებს, მის გონიერ მაღალ შუბლს, რომელსაც ზედ დასტყობოდა ძლიერი მუშაობა ტვინისა.

ცირკში ერთად ვიჯექით და სანამ წარმოდგენა დაიწყებოდა — თითო ქო საგანგებოდ, საკონტრასტოდ — ჰარტმანის ფილოსოფიაზე ემუსაიფობდით, იმ ფილოსოფიაზე, რომელიც ჩვენთვის არ უსწავლებიათ სემინარიაში. უცებ არენაზე გამოხტა კლოუნი, გადავიდა ყირამალაზე, წამოხტა, გაიცინა იდიოტურად, ჩვეულებრივად ქეოზე ხელი წაიკრა და სალამი მოგვცა. „ხა, ხა, ხა,“ — შეჭმნა სიცილი ჩემმა ამხანაგმა. მე ეს სიცილი, ცოტა არ იყოს, მეუცხოვა, მაგრამ ყური არ ვათხოვე. ერთ წამს შემდეგ გამოხტა მეორე კლოუნი და ჩემმა მეგობარმა ხელ-ახლა გააბა ხარხარი. ამან-კი გამაკვირვა და საშინელმა ექვემა გამიელვა თავში. დაესწვდი მეგობარს, წავჩურჩულე ყურში და თურმე ნუ იტყვიო: ამ პროფესორს თავის დღეში ცირკი არ ენახა. მოდი და ამგვარს ქვეყანაში კანონიერ აღზრდაზე და სწავლაზე ილაპარაკე! ან რამ უნდა გვასწავლოს ჩვენ? ერთად-ერთი ადგილი, საცა ჩვენ სწავლას ვიძინთ, არის სკოლა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ასჯერ სკოლაში განაგონს ერთჯერ ცხოვრებაში ნანახი და გამონაცადი სჯობია? ჩვენი ცხოვრება ისეა წარმართული, რომ ჩვენ იშასაც ვივიწყებთ, რაც სკოლაში შეგვიძინია.

ბარათაშვილის ნიჭის პატრონი სხვა ქვეყანაში შესანიშნავი კაცი იქნებოდა. ჩვენში-კი მისი ნიჭი ღვარძლით სავსე ნიადაგზე დაეცა და ღვარძლმა . . . შეიშთო იგი. დრო მაინც რომ დასცლოდა, მეტი მაინც რომ ეეოცხლა იმს, ტალანტი ქართველის ცხოვრების სიფუჭეს სძლედა და პატარა პოეტისაგან დიდი პოეტი დადგებოდა („დიდის“ ხმარებას ჩვენ საზოგადოდ უნდა ვუფრთხილდებოდეთ. ჩვენში არაფერ არის დიდი, გარდა რუსთველისა და ისიც იმიტომ, რომ კლასიკური დროებისაა). გაფურჩქვნა ნიჭისა არ დასცალდა და ის დარჩა საშუალო ტანის პოეტად, ყმაწვილ კაცად, რომლის პირიდან ვაჟკაცის ხმა თუმცა მოისმის, მაგრამ, რომლის ყოველ თხზულებას პირველიდან უკანასკნელამდე ჯერ კიდევ ზედ ამჩნევია მოხარდი კაცის გამოუცდელი მარჯვენა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ბარათაშვილი, ერთობ დაუდგრომელი ხისიათისა იყო: ხან მეტის მეტად მზიარული და იქვე, იმავე წამს, წრეს გადასულად მოწყენილი, ლმობიერი და იმავე დროს მრისხანე, მუდამ ოცნებით გატაცებული, მუდამ მთვარისა და ვარსკვლავების არშიყი, მუდამ სიკვდილსა და უარისყოფაში მძებნელი სიცოცხლისა და ცხოვრების. ამის გამო მისი ფიქრი, მასავით მოუსვენარი, ხან კრწანისას მინდორს დასტრიალებს ზედ, ხან ზღვა-ოკეანეს გადაივლის და ნაპოლეონის აჩრდილს ევლება თავს, ხან გრძნობას ამრევი საყურის ჩრდილში მიმალულია სულგანაბულად და

ხან ზეცად აღზდება, რა ვარსკვლავებს იქით ეძიებს სადგურს. რომ იკითხოს კაცმა სად არის დედანაზრი ბარათაშვილის პოეზიისა, რაში იხატება მოქმედებითი მისია მგოსნისა, როგორია მისი პოეტური ფიზიონომია, ასი მოპასუხისაგან ას სხვადასხვაგვარ პასუხს მიიღებთ.

ბარათაშვილს არ შეუძლია დაიქადოს, როგორც პუშკინს, რომ ის არის პოეტი „всех впечатлении нитыя“. უმთავრესი პოეტური მოტივები რომ გამოხადო მის ლექსთა-კრებას, დაინახავ, რომ მისი ქნარის საგალობელი საგანია: სიყვარული, სამშობლო, ბუნება—ორბელიანის მოტივები—და მუდამ მისი პირისაგან განუშორებელი ოხერა გულისა, ან, როგორც ალექსანდრე ორბელიანი ამბობს, „სინაღლე“<sup>1</sup>. სხვა ყველაფერი შემთხვევითია იმის კალმის ქვეშ. ის სრულებით არ დასდევს იმას, რაც მის გარეშე ხდება. ეგრედწოდებული დღის ვარამი მისთვის არ არსებობს, არც საზოგადოებრივი და სახელოვნო კითხვები: საუკუნო ღვთალები ქვემარტივებისა და მშვენიერების, ორბელიანისაგან ოდნად შენიშნული; მისთვის არ ნათობენ. ოლიმპი არსად არის, საცა იყოს სუფევა ქვემარტივი პოეზიისა, საცა სინთეზი განიხვენებდეს.

უმთავრესი საგანი ბარათაშვილის პოეზიისა, რომლითაც იგი განსხვავდება ყველა, სხვა ჩვენი პოეტებისაგან, არის კაემანი, „მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი“ . . .

ეტყვის პოეტი თავის ჩონგურს, ე. ი. ლირას და რაც უნდა დაუკრას პოეტმა ამ ჩონგურზე, იმის სიმები მარტო ოხერას და სულის კვეთებას მოსთქვამენ. ბუნებას, სამშობლოს, თვით სიყვარულს, ე. ი. სულ ყველაფერს, რასაც აღუფრთოვანებია და შეუპყრია მისი სული, რასაც სიამოვნებით და სიტკბოებით აღუვისია მისი არსება, მაინც რაღაც აჩრდილი აქვს ზედ გადაკრული, რაღაც ბნელი ზეწარი გადაჰფარვია. მისთვის მთაწმინდა იმიტომ არის ძვირფასი, რომ იგი არის „გულ-დახურულთა მეგობარი“, განმაქარებელი „მტყუნეარებისა“; მტკვარი—იმიტომ, რომ იმის არე-მარე მოწყენილია და იმის ნაპირზე სევდიანი ირთობს ფიქრებსა. სამშობლოს ისტორია, — ბედ-იერი დღის მაგიერ აძლევს მას საგნად ოცნებისა საქართველოს ახრებას და მეფე ერეკლეს საფლავს.

სიყვარული:—მდულარე ცრემლით მტირალ ქეთევანს („ქეთევან“), მრისხანე ბედის ვარსკვლავს („ჩემს ვარსკვლავს“), სატრფოს, (არემლით მკრთოლარე თვალებს (\* \*)), აღმოსავლის მნათს, შავბედისაგან დაღამებულ გულის გამთენებელს და სხვ.

<sup>1</sup>. იხ. ალ. ორბელიანი, 252 გვ.

მისი ყოველდღიური ლოცვაც იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთმა დაუნთქას მას ცხოვრების წყალში . . . საღმობანი გულისა სენთა.

სულ ყოველგან ცრემლი, მკმუნვარება, ოხვრა, კვნესა გულისა. ლექსებში „სული ობოლი“, „სული ბოროტი“ და „ჩემს მერანს“, კაეშანი ბარათაშვილისა აღწევს უმაღლეს ხარისხამდე. მისმა ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ეს კაეშანი მის ხელში „უკანონოდ შობილი შვილი არ იყო ურცხვი დედისა“. ისეთ მაღალ ნიქს, როგორიც იყო ბარათაშვილი, როცა ცხოვრების გზაზე ის გარემოება გადაეღობება, როგორიც დაუხვდა ამას, შეუძლებელია პოეტური ბუნება არ განუბოროტდეს და კაცმა არ დასწყევლოს ეს ქვეყანა, რომელიც სხვისთვის დედაა და მისთვის კი დედინაცვალი. მაშინ, როდესაც ქვეყანა ღვინობს, ეს ერთი კაცი გაბუტულია და მარტო ზის, ქვეყნის მგლოვიარე. ეს არის ღიზეზი, რომ ბარათაშვილი ყოველთვის ნაღვლიანია და მკმუნვარებით სავსე. რაც პირველად იმან სცნო წუთი სოფელი, ის თვისსა მხვედრს ეძიებს, მაგრამ ვერ ჰპოვებს და მით კაეშანს ვედარ იშორებს. ის არის „მწირი სოფლისა, მაშვრალი მისითა დეღვით“; ის „ჭკუით ურწმუნოა, გულით უნდო სულით მახვრალი“; „სიამენი სოფლისა მას ელტვიან;“ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება მას მოკვდომია; მისთვის „ოხვრა შვება არის“; ის „საბრალოა, როგორც სულით ობოლი“; იმას უნდა გაექცეს „სწორთა და მეგობართა“, დასტოვის სამშობლო და იქ დალიოს სული, საცა არც სატოფოს შეეძლოს დატირება, არც „სწორთა და ნაოესავთა“. ერთი სიტყვით, ეს პატარა კაცი ამ ვეებერთელა და ხმაურობით სავსე ქვეყანაში მარტოა და მარტო.

ჩვენი პოეტის სულით ობლობა იგივეა, რაც არის . . . ბაირონის მარტოობა სულისა. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ბარათაშვილს სურვილი გასცუდებია, მიზანი მიუღწეველი დარჩენია და მისი განმაპატიებელი ქვეყანა შესძულებია; ბაირონს კი ყველაფერი უნახავს, ყველა სურვილი ასრულებია და ყველაფერი მოსჭარბებია ქვეყანაზე. ერთი—ცხოვრების კიბეს ქვემოდან შეჰყურებს, შურით განმსჭვალული, მეორე—ზემოდან დაჰყურებს, ზიზლით აღსავსე. მთაწმინდის ვერანა ადგილებში განცალკევებას, მტკვრის პირად განსასვენებელი ადგილის ძებნას ბარათაშვილი სულით მარტოობას ეძახის; ბაირონი კი ამგვარ განცალკევებას ბუნებასთან ერთობას უწოდებს. ის ამბობს სულით ობლობაზე: „კლდეებზე ჯდომა, ზვირთების მხერით გატაცება, ტყე-ტყე სიარული, უფსკრულში ჩასვლა, წყალ-ვარდნილის თაედაღუნკით ყურება—მარ-

ტობა კი არ არის სულისა, -- არის მხოლოდ ბუნების თანაზიარება; მარტობა სულისა ის არის, როდესაც კაცი ქვეყნის ხმაურობაში ცხოვრობს და ქვეყანაში-კი არავის უყვარს, არც არავისი სიყვარული თვითონ მოეპოება გულში“. ბაირონის სულის მარტობას უფრო ნათლად გამოსახავს „ღონ-ჟუანის“ შემდეგი ხანა:

Но тот, кто в шумном вихре света,  
 Одной усталостью томим,  
 Идет без ласки, без привета,  
 Никем не знаем, не любим,  
 Кто никогда любимцам счастья  
 Не поверял своей тоски,  
 Не ведал теплаго участия  
 И честной дружеской руки,  
 Кто посреди льстецов холодных,  
 Ханжей безчувственных живет,  
 Для всех чужой, — лишь только тот  
 В своих мучениях бесплодных  
 Сказать бы с тайным вздохом мог,  
 Что он на свете одинок.

ამგვარი კაემნით ბარათაშვილი ყველა ჩვენს პოეტზე უფრო დიდია. მთელს ქართულ მწერლობაში ბადალი არ მოეპოება ლექსებს: „ჩემს მერანს“ და „სულთ ბოროტოს...“

### VIII

კაემნის ხელოვანი. რუსთველის ტაეპის გახსენება. ბარათაშვილი ლირიკოსი. „სულთ ბოროტო“, „მერანი“ და მიცვევიჩის „ფარისი“.

კაემნის ბარათაშვილი დიდი ხელოვნებით გამოხატავს. მისი მძიმე 14—20 მარცვლოვანი ლექსი უტყუარი თარჯიმანია მისი დამძიმებული სულის მდგომარეობისა. კლასიკური ენაც, რომელიც მდაბიო გამოთქმას ერიდება და მუდამ თავ დაჭერილი და კრძალულია, ხელს უწყობს ამ ლექსისა და სულიერი მდგომარეობის პარმონიას. კარგად რომ თარგმნოს კაცმა ბარათაშვილის ლექსები: „ჩემს მერანს“, „სულთ ბოროტო“ და ბაირონის „ღონ-ჟუანში“ ჩაურთოს, ან „ჩაილდ-ჰაროლდში“, არა მკონია დიდებული პოეტის ქმნილების ერთობა დაირღეს. ისე მწარედ და სწორედ არის გამოთქმული ამ ქმნილებებში კაცობრიობის საყვედური ბოროტი ნხვედრის წინააღმდეგ. ამ ლექსებს სიამოვნებით მოაწერდნენ ხელს ისეთი ბედის მომღურავე დიდი პოეტები, როგორც იყვნენ: ლერმონტოვი,

ბარბიე, ჰენე. განა ბევრს ნახავთ ამათ ნაწერებში ისეთ ლექსებს,  
რომელნიც სჯობდნენ ამას?

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა,  
მოვაკლდე ჰსწორთა და მეგობარსა;  
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა  
და ჩემსა სატრფოს, ტკბილ-მოუბარსა,—  
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს,  
იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,  
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა,  
ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

ან ამას:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;  
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,  
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის,—  
შავი ყორანი გამითხრის საფლავს  
მდუღლოთა შორის ტიალის მინდვრის,  
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა  
ზარით, ღრიალით, მიწას მომაყრის!

ან კიდევ „სულო ბოროტოს“ სტროფებს, თუნდ აქას:

განვედი ჩემგან, ჰოი მაცდურო, სულო ბოროტო!  
რა ვარ აწ სოფლად და ჰთენილი უსაგნოდ, მარტო,  
ჰკუთით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?  
ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

ამ მხრითაც უნდა გასინჯოთ ეს ლექსები: აზრების სისწორით.  
რითმით, ენით, ფორმით, ისინი საუკეთესო ლექსებია ქართული  
მწერლობისა. ის აზრი, რომელიც გამოხატულია „ჩემს მერანის“ ნა-  
ნაში.

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში“ . . .

თვით რუსთველს არა აქვს ბარათაშვილზე უკეთესად გამოთქმული.  
გაიხსენეთ ის ტაეპი „ვეფხისტყაოსნისა“, სადაც ავთანდილი სწერს  
როსტევან მეფეს:

თუ საწუთრომან დამამბოს, ყოველთა დამამბობელმან,  
ღარიბი მოგვცდე ღარიბად, ვერ დაიტიროს მშობელმან,  
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან . . .

ამ ორ ხანიდან უკეთესის ამორჩევა გემოვნებაზეა დამოკიდე-  
ბული. სხვა მოტივების გამოსახვა-კი ბარათაშვილს იმდენად არ  
ემარჯვება.

ბუნებისა იმას შეუგნია მხოლოდ ლირიული მხარე და არა  
პლასტიური მშვენიერება. „ჩინარი“, „შემოღამება მთაწმინდაზე“,



„ლაშე ყაბახზედ“, „მოზიზინენი და შვებიო მოსილნი არაგვისპირნი“.  
ჟრათერთ არ მოაგონებენ კაცს ბუნების იმ შეუღარებელ სურათებს,  
რომელსაც ყოველ ნაბიჯზედ ვხედავთ გრიგოლ ორბელიანის ლექ-  
სებში. ისინი მხოლოდ პოეტის სულის მდგომარეობას გვიხატავენ და  
არა კავკასიის ბუნების სიმდიდრეს და მშვენიერებას, პოეტს სწამს:

. . . რომ არს ენა რამ საიდუმლო  
უასაკოთაც და უსულთ შორის . . .

რომ მტკვარი მიჯნურია ჩინარისა; რომ იშასავეთ, მთაწმინ-  
დაც არის:

მწუბარ და სევდიანი;

და მეტი არაფერი. არც „ბუშბერაზ მთანი“, არც „წყალნი,  
მთით დაქანებულნი“, არც:

უფსკრულნი, ჩაბნელებულნი,  
კლდენი, თვალ გადუწვდენელნი,  
სად მონადირე სდევს ჯიხვსა  
და მის ქვეშ ვლენან ღრუბელნი.

მისმა კალამმა მხატვრობისა არა იცის რა.

სიყვარულისათვის ბარათაშვილს აკლია ის მარტივი ენა, რო-  
ნელსაც მარტო ერთს შეუძლიან პირდაპირ ქალის გულის კარების  
შეღება. მისი ქართული ერთობ მწიგნობრულია, ერთობ თავ-შეკა-  
ვებულია, საცა ორბელიანი უბრალოდ ეტყვის სატრფოს:

სიყვარულმა მათქმევინა,  
თორემ მე ვინ, ლექსი ვინა?

ბარათაშვილი აზვიადებს:

ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!  
ყოველნი კეთილნი მან შეიერთა,  
სულსა მოჰბერა ცის ნიკნი ქვეყნად  
და თავის მკობად ჰქმნა იგი მგოსნად!

ენის ბრალია აგრეთვე ის, რომ ბარათაშვილის ლექსი:

შენი დაღალნი ყრილობენ გველად

ქრესტომატიასი არ შესულა ამდენ ხანს. რომ როგორმე სხვა-  
გვარად იყოს გამოთქმული, რა სჯობს ამ პატარა ლექსის უკანასკ-  
ნელ ხანას:

ოდეს ნიავი ლამაზს დაღალებს  
მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს,  
მაშინ ჩემს თვალებს აღაგზნებს შერი  
და გლახ ჩემს გულსა ის ავალალებს!

რომ თავიდან ბოლომდის გად ვუურცლოთ ბარათაშვილის ლექ-  
სთა კრება და გულმოდგინედ დავათვალიეროთ ყოველი ყვაეილი.

რომლისაგან შემდგარია პოეტური თაიგული მგოსნისა, რომ დაწვე-  
რილებით ვილაპარაკოთ მის გემოვნებაზე, რითმაზე, მოხდენილ  
სიტყვაზე, ლექსის პლანზე და საზოგადოდ ყველა იმაზე, რაც ზნოსა  
და ლაზათს აძლევს პოეტურ ქმნილებას, ჩვენ დაგვეჭირდება იმ  
მცირე ფარგლიდას გამოსვლა, რომელშიაც გვიხდა მოვამწყვდიოთ  
ეს აღწერა—და მართალი უნდა ვსთქვათ—სურვილიც ცოტა გვაქვს  
ამგვარ დაწვრილებით ლაპარაკისა ამ საგანზე, რომელზედაც ცოტაც  
ითქმის და მთელი წიგნიც დაიწერება. მე ვიცნობდი ყენევაში ერთ  
ყმაწვილ ქართველს—რალა ბევრა დავმალე,—სანდრო სარაჯიშვილს,  
რომელმაც მთელი წერალი დასწერა ფრანგულ ენაზე იმ ერთი ტა-  
გვის შესახებ, საცა ბარათაშვილი ეუბნება საყურეს:

ნეტავი იმას,  
ვინც თავის სუნთქვას  
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს.

რომ ამ ნარკვევის მასშტაბი ნებას მაძლევდეს, მეც შერჩის  
გული არა მცირედი მინაი ნაწილი შევსწირო იმ ადგილს, მაგალი-  
თად, საცა პოეტი ათქმევინებს სუმბულს:

ზამთრით ბუნება არა ჰკვდება,—სევდით იმოსვის,  
რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა, განეშორებდის!

საცა მგოსანი ლოცულობს:

გულთა მზილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:  
შენ უწინარეს ჩემსა უწყე, რაც ვიზრახო მე  
და—ჩემთა ბაგეთ რალა დაუშთ შენდა სათქმელად?  
მაშა დემილიც მიმიოვალენ შენდამი ლოცვად!

საცა მთელს ქართულ მწერლობაში არ ვიცი თუ არის სხვა  
იმაზე უკეთესი ლექსი, სადაც ბარათაშვილი ეტყვის თვისს მრის-  
ხანე და წარბშეკრულ სატრფოს:

ნუ გგონია ბედსა მით დამიმწარებ,  
რომ უეცრად ბუქით ნისლს მოიფარებ;  
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,  
როს მიბუჭტვით ნისლით გამომინათებ.

ჩვეულებრივად მონოტონური ქართული ლექსი, მარცვლების რაოდენობაზე დამყარებული, ბარათაშვილის კალმის ქვეშ ცუზურისა და რითმის მოზერხებული ხმარები რ. ცოცხალია და ხალისიანი. სამწუხაროდ, პოეტი ყოველ ლექსში არ არის თანასწორ-პარმონიული. პირიქით, უმეტეს ნაწილს ამ მდიდარი პოეტის ლექსებისას—ჩემს მერანის“ დამწერს არ შეიძლება მდიდარი არ დედახოს—არც რითმა აქვს საქები და არც რიტმი. რამდენადაც მისი რითმა საამოა სას-

მენელად „ჩემს მერანში“, სადაც ხმა განსომილია და ლექსი თითქმის ხტომით მიაჩვენებინებს წინ მკითხველს, იმდენად ყოველგვარ ზომიერებასა და რითმას მოკლებულია არა ერთი სხვა ძისი ლექსები. „ჩემს მერანის“ ნიქეთარე რითმა:

სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს  
იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო

დაადარეთ, მაგ., „ბედი ქართლისა“-ს რითმას, საცა პოეტი ერთს ადგილას ამბობს:

არამედ ვითა მამა კეთილი,  
რომელსა ჰსურს რომ თავისი შვილი  
თვის სიტოცხლეშივ დაასახლყაროს.

ან „ჩჩვილის“ ხანას, საცა პოეტი ამბობს ბავშვზე:

არა ფიქრობს იგი თავისს ცხოვრებას,  
არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას;  
იგი თავის საწუკველითა შობით  
ამუნათებს თავსთა მშობელთ პირიქით.

და თქვენ დაინახავთ, რომ ხან-და-ხან ბარათაშვილის მუზასაც სძინავს...

იგივე ითქმის ბარათაშვილის რითმაზე.

რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!

რაღა ის ლექსთა-კრება, რომელშიაც გხვდებით ამგვარი ტაეპებიც:

ასე ილოცდა მეფე ირაკლი  
ბანაკსა თვისსა, გულით მხუთვალნი.  
ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი  
მამულისათვის მეფისა ცრემლი!

მაგრამ... ბარათაშვილი მაინც ბარათაშვილია. რაც უნდა ძონძი ჩაიცვას ამ კაცმა, ის არის „ჩემს მერანის“ ავტორი, მას ეკუთვნის „არ უკიჟინო, სატრფოო“ — ჩემის ფიქრით, საუკეთესო ლექსი პოეტისა — და ამ ლექსების დამწერს, სხვა რომ არა დაეწერა, თა, მაინც მეფე ეთქმის მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობისა. ის მცირე რამ ხაკლი, რომელზედც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, არას დააკლებს მის ბრწყინვალეებას... ვენერა სიარულით იცუქსო, — უთქვამს ძველ მწერალს.

იმ პოეზიის ნაკადულიდან, რომელიც ბარათაშვილის ლექსთა კრებაში სჩქევს, თითოეულმა დაიწითოს თვისი წყურვილი სურვილისამებრ, ჩვენ კი, არ ვაძლევთ ჩვენს თავს კადნიერებას, მოძღვრობა დავიჩემოთ და მკითხველს მოვაწონოთ ბარათაშვილის ლექსები. ში, ის, რაც ჩვენ მიგვაჩნია საუკეთესოდ.

მაგრამ მის ორ ლექსზე — „ჩემს მერაზე“ და „ბეჯი ქართლისა“ — შე საჭიროება გვაიძულებს შევჩერდეთ. პირველზე, იმიტომ რომ ჩვენმა სიტყვამ უნდა მოათავოს ბიბლიოგრაფიული ცნობა მის ნაწერებზე, და მეორეზე, იმიტომ რომ გამოვიკაშათოთ საზოგადოებაში უმართებულოდ შემდგარ აზრს ამ პოემის შესახებ.

„ჩვენს მერანს“ არ არის სრულად ორიგინალური ლექსი ბარათაშვილისა, როგორც „სადღეგრძელო“ არ არის ორიგინალური პოემა ორბელიანისა. თავი და პირველი აზრი ლექსისა ეკუთვნის პოლონეთის დიდებულ პოეტს მიცკევიჩს. ბარათაშვილის ცხოვრების აღწერის დროს ჩვენ ვნახეთ, რომ იმ დროს, როცა ის გიმნაზიაში სწავლობდა, იქ ასწავლიდნენ მიცკევიჩის ლექსს „ფარისს“. „ჩემს მერანს“ ამ ლექსის მიბაძვაა.

მე ვერ ვიშოვე ის თარგმანი „ფარისისა“, რომელსაც ასწავლიდნენ სკოლაში ბარათაშვილის დროს, რომ უფრო აშკარად დამენახა, რა არის ბარათაშვილის ლექსში საკუთარი და რა მიწადაძი. სლავიანების ლიტერატურის მცოდნემ და პოლონეთის პატრიოტმა სპასოვიჩმა, რომელსაც ვსთხოვე მე ეცნობებინა, როდის იყო თარგმნილი რუსულ ენაზე „ფარისი“, შენატყობინა წერილით, საცა იყო დაბეჭდილი თარგმანი, მაგრამ ეს თარგმანი ვერც ტფილისის გიმნაზიის ბიბლიოთეკაში ვიშოვე, ვერც სხვაგან. იძულებული ვარ ახალი, დანიღვევის თარგმანი გავიცნო მკითხველებს მიცკევიჩის ლექსი<sup>1</sup>.

ფარისი ნიჰნავს მხედარს, რაინდს. მიცკევიჩმა დასწერა თვისი პოემა პოლონეთის ორიენტალისტის ვ. რევეუსკის სახსოვრად, რომელსაც ის ბედი ეწია, რაც პოემის მხედარს. ვენცესლავ რევეუსკი სამეცნიერო გამოკვლევისათვის არაბეთს იყო წასული, სადაც 15 წელი დაჰყო და მცირე ხნით ევროპაში ჩამოსვლის შემდეგ ხელახლა გახშორდა სამშობლოს, თვისთა და მეგობართა, და წავიდა არაბეთს, საცა დაიღუპა ისე, რომ ცოლშვილმა ამბავიც ვერ შეიტყო მისი.

ფარისში გამოხატულია არაბი (რევეუსკის ეძახდნენ „ემირ ტაჯ-ულ-ფეხრას“), დაუღვევლ უღაბნომა გავარდნილი, სადაც არც წყალია, არც მცენარე, არც კაცის სული მოიძებნება, საცა მარტო ქვიშა და მზეა, მარტო მზე და ქვიშაა. არაბი სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელიც იმათ ხედება გზაზე და განავრძობს წინ — ქროლვას:

1. ნახე ჟურნალი „Нива“ 1889, № 9.

Мчись, летун мой белоногий,

Горы, дзбри, прочь с дороги!

შუაგულ უდაბნოში მას საშინელი ჩხავილით აედევნება ძელქორი, რომელსაც მხედრისა და ცხენის ლეშის მადა აშლია, მაგრამ არაბი იმასაც დააღწევს თავს და ეტყვის თავის მერანს:

Мчись, летун мой белоногий

Скалы, коршун, прочь с дороги!

მფრინავის შემდეგ დაეწევა მას ცის ღრუბელი. ეს აფრთხილებს მხედარს, რომ წინ არ წავადეს, რადგანაც წინ არც ერთი ცვარი წყალი არ არის, მაგრამ ვერც ეს მუქარა შეაშინებს თავგანწირულ მხედარს.

Я не боюсь угрозы лети гонца!

იტყვის იგი და განაგრძობს გზას. გზა-გზა ის შეეყრება უდაბნოში დაღუპულ ქარავანს, მაგრამ ვერც ეს ძელ, ბი მოიყვანს გონზე არაბს.

Мчись, летун мой белоногий,

Трупы, вихри, прочь с дороги!

ბოლოს ატყდება საშინელი ქარიშხალი, რომლის მძვინვარებასაც გადაურჩება მხედარი. შემდეგ ის განერთხება დედა-მიწაზე და მოისვენებს, დაუწკებს ცქერას ვარსკვლავებს. მისი ფიქრები იკარგებიან ზეცას და ფიქრებთან ერთად მისი სულიც.

Так душу в высь я устремил

И в небе с мыслью схоронил

ათქმევინებს პოეტი უდაბნოში დაღუპულ მხედარს.

როგორც ამ შინაარსიდან სჩანს, ბარათაშვილის ლექსსა და „ფარისის“ შორის ცოტა განსხვავება არ არის. ჩვენმა პოეტმა გადმოიტანა თავის ლექსში მხოლოდ დედა-აზრი ლექსისა: მხედარი და მერანი და ჩაურთო შიგა და შიგ ელემენტები „ფარისისა: „თვალბედითი შავი ყორანი“, „გასწი, მერანო“ „კლდენი“ და „მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამაგალთა“ და სხ. (ეს ელემენტები მიცკევიჩსაც არაბული ლექსებიდან აქვს გადმოღებული, როგორც ლაგრანჟის ანთოლოგიიდან ჩანს). მაგრამ შინაარსი მისი ლექსისა სულ სხვაა, ვიდრე შინაარსი „ფარისისა“.

ბარათაშვილმა ჩინებულად გამოიყენა მიცკევიჩის ლექსის საერთო ფონი. „ფარისში“ არავინ იცის, რატომ გადმოკრილა არაბი და სად მიისწრაფის იგი! ბარათაშვილის ლექსში კი მხედრის განზრახვა ცხადია. ის მირბის და მიფრინავს. რომ გაექცეს კაცს, სწორთა და მეგობარსა, მამულს, რომელთანაც ყოფნა მოსწყენია,

რომ ან ნიაგს მისცეს მისი შავად მლელვარე ფიჭვი, ან თან გაატანოს მერნის გიჟურ ლტოლვას. არაბულ მერანზე ბარათაშვილმა მისი სულით ობოლი კაცი შესვა, რომელსაც, როგორც ვიცით, კაცთშორის ყოფნა ეხარება. ეს მერანი უგზო-უკვლოდ მიაფრენს მისს მხედარს, რომელიც ბედს არ ეურჩება.

ბარათაშვილის „მერანი“ დაწერილია იმ გვარსავე შემთხვევის გამო, რომლის გამოც დაწერილია მიცკევიჩის პოემა. როგორც ამ უკანასკნელმა დასწერა „ფარისი“ რევეუსკის დაკარგვის გამო, ბარათაშვილმაც, როგორც ის თვითონ აღნიშნავს გრ. ორბელიანთან მიწერილ ერთს ბარათში, „ჩემს მერანს“ დასწერა მაშინ, როდესაც შეიტყო, რომ მისი საყვარელი ბიძა ილია ორბელიანი დაკარგულ-ყო, — შამილის მიუხრიდებს მოეტაცნათ და ტყვედ წაიყვანათ!...

## IX

ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება განჯიდან—ტფილისს. მისი დასაფლავება.—დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა. ლექსი ვაჟა-ფშაველასი.

„მერანის“ დამწერს იგივე ბედი ეწია, რაც ბედი ეწია „ფარისის“ დამწერს: ორნივე სამშობლოს გარეთ მოკედნენ და სამშობლოს გარეშე დაიძარცვნენ. მაგრამ დრონი იცვალნენ, სამშობლომ თავისი მოითხოვა და ორნივე სასიკაღულო მამულისშვილნი იქმნენ გადმოსვენებულნი—ჩვენი მგოსანი განჯიდან ტფილისს და პოლონეის დიდება—პარიზიდან კრაკოვს და დასაფლავებულ იქმნენ: ჩვენი—დიდუბეს, თამარ მეფისაგან განქმნდილ ადგილს, და მიცკევიჩი—კრაკოვის ტაძარში, საცა იმარხებოდნენ პოლონეთის მეფეები და შესანიშნავნი კაცნი.

1873 წელს ბარათაშვილის ნათესაეებმა, დებმა: ბარბარე ვეზირიშვილისამ, სოფიო სუმბათაშვილისამ და ნინო ბარათაშვილისამ, ბიძაშვილმა გიორგი ილიას-ძე ორბელიანმა და დისწულმა ნიკო<sup>2</sup> რევაზის ძე ერისთავმა აღძრეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა: ნება დაერთოთ მათთვის გადმოესვენებიათ განჯიდან ტფილისს მათი ოჯახის დამამშვენებელი მგოსანი.

1. აქვე წყდება ნ. ბარათაშვილის პოეზიის ეს კრიტიკული გარჩევა. ავტორს იგი შემდეგ არ გაუგრძელებია, ყოველ შემთხვევაში მისი ნაშთი, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არ იპოვება ავტორის არქივში.—ს. ც.

2. პოეტის მეოთხე დია ვკატერინეს (კატო) შვილი, რომელსაც უძღვნა ავტორმა ეს ნაოქვევი.—რედ.

ნებაართვა რომ მიიღეს, მგოსნის გადმოსასვენებლად გაემგზავრნენ გახჯას: გ. ი. ორბელიანი და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრნი გ. ნ. იოსელიანი და ა. მ. ჭყონია.

თუ როგორ იპოვეს ამათ ბარათაშვილის ნეშტი, აი რას მოგვითხრობს მაშინდელი „ივერიის“ მოამბე<sup>1</sup>.

„მეკუბოვე შეუღდა მიწის მიკრა-მოყრას, კუბო თითქმის აღარ შენახულიყო. იპოვეს მხოლოდ მისი მოსართავი ბუზმენტის რამდენიმე ნაწყვეტი: მისივე გაყოლებით ჩონჩხიც ესვენა უმთავრესი ნაწილებით ანუ სახსრებით, დაუმიწებელი. ტანთ-საცმელისა აღმოჩნდა სერთუკის ოთხი თითბრის ფოლაქი მძიმედ ქანგმოდებული და დამპალი მათდის ნაგლეჯებზე დაკიდებული. უცხო და საინტერესო იყო ერთი მათდის ნათელეთთავანი, როგორც სჩანდა, სახელოსი, ზედ სამოქალაქო უწყების მუნდირის ოქრომკედის კანტი და მასზედ კიდევ ფოლაქი: ფესხაცმელისა კი იპოვეს ცალი ლანჩა, ცალი ქუსლი და ცალი საპირე ყელითურთ, როგორც სჩანდა, ძველებური ქართული სამოვვის წალისა, რადვან შესაკვრელი თასები ზედვე ჰქონდა...

კუბო, ტანთსაცმელი და ჩონჩხის წვრილი სახრები სრულიად გახრწნილიყო, ამას მიზეზად ამბობენ აკაკის ხეს, რომელიც იქვე ყოფილა დარგული და რომლის ძირზედაც დღეს პატარა ყლორტებიდაა ამოხეთქილი. აი ამ ხეს რწყავდნენ თვრმე და წყალი-კი კუბოს თავს იწურებოდა, რას გამოც კუბოსა და გვამის გახრწნა მოსწრაფებულა ორმოცდარვა წლის წინედ მიცვლილის გვამთან შედარებით, და ხეს-კი ფესვები დაუყრია. ამოიტანეს კუბო და ფრთხილად შეუდგნენ ნაწილების ამოკრეფას. თავის ქალა დაუშლელი იყო. უმთავრესი სახსრები, როგორც ზედა, ისე ქვედა ტანისა, გაუხრწნელი და ძეუმუსვრელი იყო და განსვენებული მგოსანი, როგორც იქ დამსწრე ერთმა ექიმმა სთქვა, მოხული ვაყვაცი ყოფილა. თავის ქალაც ამასთანავე სკმაოდ დიდი იყო. წვრალის სახსრებისა ზოგიერთი ნამტვრევი-და აღმოჩნდა. ძვლები რომ ამოკრიფეს, მერმე ის მიწაც ამოიღეს, ჩონჩხის გაყოლებით რომ იყო. ყოველივე აღმოჩენილი ნაშთი გვამისა, ტანსაცმელისა თუ კუბოსი, დაიკრძალა კუბოს შუა უჯრაში, მხოლოდ ორიოდვე უბრალო ფოლაქი და აგრეთვე-ის ფოლაქიც, რომელსაც სახელოს ოქრომკედის კანტი შერჩენოდა, ალექსანდრე ჭყონიამ ჩაიბარა“.

1. „ივერია“, 1893, № 88.

ძვირფასი ნეშტი მგოსნისა წამოასვენეს განჯიდან ქალაქს 25 აპრილს, 1893 წ.

ვაზეთი „ივერია“ აი როგორ აგვიწერს მგოსნის ქალაქში ჩამოსვენებას: „ივერია დილას, 25 აპრილს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის რკინის გზის ვაგზალზე... ვაგზლის არე-მარესა და თვით მისასვლელ მოედანზე ქედვა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეკრიბა თავი. რკინის გზის ბაქანზე იდგა შემოსილი ეპისკოპოსი გორისა, ალექსანდრე საღვდელოებით. აქვე იყვნენ წარმომადგენელნი ჩართველი ინტელიგენციისა და მაღალი საზოგადოებისა, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, დეპუტაციები სხვადასხვა ქალაქებისა და დაწესებულებათა გვირგვინებით პოეტის კუბოს შესამკობად. ათის ნახევარზე მოვიდა მატარებელი და ვაგონიდან გადმოსვენეს კუბო ძვირფასი ნეშტით. კუბოს მოჰყვნენ: პოეტის ნათესავი, ღვიძლი ბიძაშვილი გ. ი. ორბელიანი და სხვა პატივცემულნი ქართველნი, რომელნიც ვაგზაენილი იყვნენ განჯას. მცირე პანაშვილის გადახდის შემდეგ ნეშტი გამოასვენეს ვაგზლიდან სამგლოვიარო „წმინდაო ღმერთო“-ს ვალობითა. აქ, ვაგზალთან, ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრიკა პატივი-სცა დიდებული მგოსნის ცხედარს. შემდეგ ეს აუარებელი და ზღვა ხალხი დაიძრა და გაეშართა ლიტანიით დიდუბისაკენ. ამბიონი შეკუთლი იყო ძვირფასი სხვადასხვაგვარი გვირგვინებით და კუბო ხელში ეჭირათ ხან ქალებს, ხან ახალგაზრდობას, ხან ნათესავებსა და ისე მიასვენებდნენ. გზა და გზა რამდენიმე ხორო ვალობდა: ხორო ქალებისა, სასულიერო სემინარიის შეგირდებისა, სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეთა და მ. შარაძისა ფ. ქორიძის ხელმძღვანელობით. ქალების ხორო შეედგინა ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის კურსდამთავრებულ შეგირდებისაგან მღვდელს ვ. კარბელაშვილს. როცა ლიტანია მიუახლოვდა ეკლესიას, ხალხმა კვლავ მოიდრიკა მუხლი, მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ წარმოსთქვა შესაფერი და გრძნობით სავსე სიტყვა. თვით ეკლესიაში სიტყვა სთქვა მღვდელმა კ. ცინცაძემ<sup>1</sup>.

ფოტოგრაფმა რამდენჯერმე გადაიღო სურათი პროცესიისა. წირვის გათავების შემდეგ საფლავზე გადახდილ იქნა კვლავ მცირე პანაშვიდი და წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს: აკაკი წერეთელმა, ილია ქავჭავაძემ, ნინო ორბელიანისამ, ჭყუთაისის ქალაქის მოურავმა ლ. ლოლუამ, ჭყუთაისის

1. ამჟამად სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსი.—ს. ც.



დებუტატმა დ. ბაქრაძემ, გ. წერეთელმა, სამეხთა ახალგაზრდა პოეტმა თუზანიანცმა, ბიძინა ჩოლოყაშვილმა და სხვათა<sup>1</sup>.

წარმოთქმულ სიტყვებიდან აქ მოჰყავს ორი სიტყვა: ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის და ერთი „კლდიდამ გარდმომქუხარი“ ლექსი ვაჟა ფშაველასი.

### სიტყვა ილია ჭავჭავაძისა

„თვითთული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვაწყლულებს ჩვენ, და ჩვენი სიცოცხლე კრილობით ამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, — სიტყვა ერთმა ბრძენმა. ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მოწყალეების თვალთ გადამოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს ჰსურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ესეა, ესლა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგევართ ჩვენ დღეს.

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია. რომ კრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მადლს, ამ ტვირთს დიდი ძალღონე უნდა სულისა და ხორცისა და ამიტომაც, როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურობა ენა მეტყველებისათვის. თვალნი ზედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაოდვა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად და უბრძანა, წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო. კიდევ ვიტყვი, პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ, ხომ ზედავთ. იგი დიდი ტვირთიც არის.

დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და მას ყველაფერი ენაცვალა. ოღონდ ვე ტვირთი დაუღალავად ვზირო, ოღონდ ერთგულად ვემსახურო და ყოველფერს შევსწირავ განწირულას სულის კვეთებამდეო. აქ განწირულებამ გარდაცვალების ერთი წლის წინათ ეს სიტყვები ამოაკენესა, რომლებიც წინასწარმეტყველებად გადაექცა ბოლოს:

<sup>1</sup> „რევრია“, 1893, № 26.

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
 ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;  
 ნუ დამიტროს სატრფომ გულისა.  
 ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის.—  
 შავი ყორანი გამითხრის საფლავს  
 მდგლოთა შორის ტილის ბინდვრის,  
 და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა  
 ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!  
 სატრფოს ცრემლის წილ, მკედარსა ოხერსა,  
 დამეცემიან ციურნი ცვარნი,  
 ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად  
 მივალლებემ სევანი მყივარნი.

ეს მწვავე წინასწარმეტყველება გაუმართლდა: იგი არ დაიმარ-  
 ხა თავის მამულში, მას არ დაედინა ცრემლი თავის ქვეყნის შვი-  
 ლისა. ეს ჯავრი თან ჩაიყოლია ამ ჩვენმა განმადიდებელმა კაცმა  
 და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტვერი, მი-  
 სი ნაშთი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თვისი ნა-  
 მი ცრემლად ზედ აღინოს, მისმა სამშობლო დედამიწამ გულთ გა-  
 დაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს მისდა გასასვენებლად და  
 ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოცდა შვიდ წელიწადს შემდეგ და  
 იქნება სთქვან გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოცდა შვიდი წე-  
 ლიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარა-  
 თაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერებაზე  
 გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს  
 აქ შეჭკრიბა წარმოადგენლობა მთელი საქართველოსი, მაგალითია  
 იმისი, რომ ჩვენი ერი ამდღებულა სულითა და გულითა, რადგა-  
 ნაც მარტო ჭკუა-გახსნილმა და გულგაწმენდულმა კაცმა იცის ესე  
 ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდ ბუნებო-  
 ვან კაცისა.

დიდ-ბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გაოს ვარტყივართ  
 დღეს და აკი იწინასწარმეტყველა კიდევ:

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის  
 ეს განწირულის სულის კვეთება!  
 და გზა უვალი, შენგან თელილი,  
 მერანო ჩემო, მაინც დარჩება...

და დარჩა კიდევ. ეს გზა უვალი თვითეული ქართველის გულია,  
 საცა მისმა მერანმა ღრმად ჩააქდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი.  
 ვაპირობთ აქ ძეგლის დადგმას, ხოლო რა დასადარია ხელთ-ქმნი-

ლი ძეგლი, თუნდ დიდუასიანი, იმ ხელთ-უქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა ბუნებოვანობამ ჩვენს გულში აღაგო.

მე არ ვიტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია. „სატროფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სვავნი მუივარნი მივალალებენო“. ასრულდა ეს წინასწართქმული მისი მაშინ და დღეს-კი მის მტვერს, მის ნაშთს, მის კუბოს, მის საფლავს დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა და ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი ნთელი საქართველოსი<sup>1</sup>.

### სიტყვა აკაკი წერეთლისა

მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი,  
განთიადისა მორბედი,  
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ  
ტყუთა ფრინველნი და ვარდი.  
მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი  
ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,  
სალამოს მისთვის შთავიდე,  
რომ დილა უფრო ვაცხოვლო...

ეს ინატრა ახალგაზრდა მგოსანმა ამ ნახევარ საუკუნის წინეთ და ეს ნატვრა წინასწარმეტყველებად გადაექცა: გახდა წინამორბედად ჩვენი ახალი ცხოვრების განთიადისა და იქ, შორს, სამშობლოდან უცხო მზარეს, მზესავით ჩაესვენა, რომ დღეს აქ უფრო მეტის ძლიერებით აღმობრწყინებულყო. ამას ვხედავთ და დღევანდელი ჩვენი მიკვებება გლოვა და ზარი კი არ არის, ლიტანიობაა და მზე-შინა. დიად, არავის ვეგონოთ აქ ეს ხამდვილი სამარე და კუბო ბარათაშვილისა, იმისი კუბოა ყველა ქართველის გული და ისე ხშირი, როგორც თვით მგოსნის მთელ საქართველოსადმი სიყვარულით ავსებული გულის-ძეგრა. ეს ადგილი არის მხოლოდ ნიშანი, სადაც ამიერიდან უნდა დაესვენოს ჩვენი მნათობი. რომ მთელ საქართველოს სხივი ჰფინოს და მართლაც, რომ უკეთეს ადგილს ვერ გამოვძებნიდით.

მართალია, ყოველი კუთხე საქართველოსი წმინდაა, მაგრამ ეს ადგილი, ეს დიდუბე წმინდა-წმინდათაა. აქ დაიდგა პარველად ძლევის გვირგვინი უპირველესმა ჩვენმა საისტორიო მნათობმა თამარ ძეფემ. მართალია, დღეს დიდუბეს ის ფერი აღარ ადევს, აღარც

<sup>1</sup>. „ივერია“, 1893, № 85.

ის ტაძარი, აღარც ის სასახლე, აღარც ის წალკოტია. ყაზთა მსეღე-  
 ლობამ, დროთა ერთარებამ ის გადაასხვაფერა, მაგრამ დიდებუ-  
 ლი ხატი-კი მაშინდელი შეუცვლელად დარჩა საქართველოს ხსოვ-  
 ნაში, აქამომდე ჩვენ წარმოვიდგენდით თამარს თავზე ძლიერ-მოსილ  
 გვირგვინით, რომელსაც გვერდით უდგა ძლიერის ჩანგით საკადრი-  
 სი მისი მწერალი რუსთველი. დღეიდან უფრო დასრულებული იქ-  
 ნება ეს ხატი, მეორე გვერდით ედგომება ბარათაშვილი. როგორც  
 ამ შვიდასის წლის წინეთ დასავლეთ საქართველოდან, ესე იგი იმე-  
 რეთიდან, მოვიდა ხალხი, რომ თავყანი ეცა დიდებულ თამარისა-  
 თვის და საზოგადო საერო ლიტანიაში მონაწილეობა მიელო, დღე-  
 საც მოვსულვართ იმერეთით, რომ ნიშნად სამარადისო ძმიობისა  
 და განუყრელი ერთობისა დავადვათ გვირგვინი ბარათაშვილის კუ-  
 ბოს, გვირგვინი შეკონილი პურის თავთავისაგან, საგულისხმოდ  
 იმისა, რომ მგოსანი იყო უპირველესი მთესველი გონებრივის ნაყო-  
 ფისა, არა მარტო ერთი კუთხისა, — მთელი საქართველოსი. ნაყო-  
 ფიერი იყოს ეს ხორბალი, როგორც დღემდე, ამიერიდანაც, რო-  
 მელთანაც ერთად დაუფიწყარი იქნება სახსენებელი ნიკოლოზ ბარა-  
 თაშვილისა<sup>1</sup>.

## ლექსი ვაჟა-ფშაველასი<sup>2</sup>

### ნიკოლოზ ბარათაშვილის ნიშნად

მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო,  
 ქართლისა წყლულთა მოზარე,  
 მშვიდობა, სული ძლიერო,  
 თავის სამშობლოს მოკვარე!..  
 დიდება შენს ჩანგს, რომ ბევრჯელ  
 თვალზე ცრემლები მომგვარე!..  
 არ დაივიწყა სამშობლომ  
 შენი მის ბედზე ტირილი,  
 მედგარი სულის კვეთება,  
 შავბედობაზე ჩივილი,  
 დაუშრეტელი ნაღველი,  
 წყრომა და გულის ტკივილი.  
 მაღლი შენს თანა-მოძმეთა, —  
 მიწა გახილეს მშობელი,  
 შენი სატრკო და სადარდო,  
 გულს ლახვარ-დამასობელი,

შენი მერანი კვლავაც რბის,  
 მისი ნავალიც შთენილა,  
 უმადლოდ არ დაკარგულა,  
 თუ ოდეს ცრემლი დენილა.  
 მიიღე ჩემი სალამიც,  
 გამოგზავნილი მთიდანა,  
 „ჩვენი არაგვიც“ მუხლს გიყრის,  
 გადმოშქუხარე კლდიდანა;  
 თვის „ატეხილი ჭაღები“  
 ცრემლით ატირა ცხარითა,  
 სმენად გადიქცენ ისინიც,  
 გრგვინვა რომ ესმათ ბარითა.  
 ქედებმა თავი იდრიკეს,  
 ფიქრით მოიცვენნ მწარითა,  
 ამწვანებულნი მწვანედა,  
 განათლებულნი მთვარითა.

<sup>1</sup> „ივერია“, 1893, № 92.

<sup>2</sup> „ივერია“, 1893, № 119.

ნ. ბარათაშვილი დასაფლავებულია დიდუბის ეკლესიის ვალა ვანში, საშუალო იმ ადგილისა, საცა განისვენებენ კონსტანტინე ზამაცაშვილი, გიორგი წერეთელი, დიმიტრი ბაქრაძე, ილია ოქროშქედლიშვილი, შიხეილ ყიფიანი და სხვანი საქართველოს მოღვაწენი<sup>1</sup>.

მის სადა ძეგლზე, რომელიც დადგმულ იქნა 1905 წელს, აწერია: „ნიკ. ბარათაშვილი 1816—1845“, და გარშემო მისი ლექსებია, ერთს მხარეზე:

„გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,  
გაუდამატარე ბედის სამძლვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას,  
არც აწ ემონას შენი მხედარი!“

მეორეზე:

„რა ხელ-პყრის პატივს ნახი ბულბული,  
გალიაშია დატყვევებული?  
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,  
ქირსაც ვით ღზინსა ვითგვარ დამღერის!  
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,  
თუ მთაკლდეა თავისუფლება?“

მესამეზე:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი ჩკედარსა ვისგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იბრუნვოს!“

და მეოთხეზე:

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის  
ეს განწირულის სულის კვეთება!  
და გზა უვალი, შენგან თელილი,  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.“

მე რო დავსწრებ იდი იმ რჩევას, საცა გადაწყდა, რა უნდა დაეწერათ ნ. ბარათაშვილის საფლავის ქვაზე, აზრს შევიტანდი, დაეწერათ ჩაილდ-ჰაროლდიდან სიტყვები:

И даже после погребения  
Останусь жить с воєю тоскою...

<sup>1</sup> ნიკ. ბარათაშვილის ნეშტი 1938 წ. 15 ოქტომბერს გადასვენებულ იქნა დიდუბიდან მთაწმინდის მწვერალთა პანთეონში. საფლავის გახსნას დაესწრო ნეშტის გადმოშენების კომისიის გარდა სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები და მწვერალთა აქტივი. საფლავის გახსნის აქტში აღნიშნულია: „საფლავში აღმოჩნდა ცინკის კუბო დახურული, კარგად შენახული. კაკლის ხის კუბო დაშლილია, ცინკის კუბო არის სიგრძით 97 სანტ., სიმაღლით 25 სანტ., სიგანით— 56 სანტ. პროფ. ვლ. ყლენტიშვილი მოახდინა ნეშტის მეცნიერული დათვალიერება და ჩონჩხის აღდგენა-გაზომვა“. მეცნიერული ექსპერტიზის დასკვნა ასეთია:

„ნ. ბარათაშვილის ნეშტის ჩონჩხი ძირითადად კარგად არის შენახული ჩონჩხის აღდგენის სურათი ადასტურებს, რომ პოეტი საშუალო ტანის და ძვალ-მსხვილი კაცი ყოფილა. მარცხენა ქვედა კიდურის წვივკოჭის მიდამოში მკლავს ეტყობა ოდნავი დაკოჟიყება. თავის ქალა და პირისახის ჩონჩხი კარგად შენახულია, თავის ქალა საშუალო ზომისაა“ (იხ. „ლიტ. მატრიანე“ № 1—2, გვ. 484)—ს. ც.

୧୨୫୨୪୦୦୦

2.1. იონ ჯანაშიას?

## მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის

### შენიშვნები

პოეტები იბადებიანო, იტყოდნენ ლათინები. ბარათაშვილი პოეზიისათვის იყო დაბადებული და არა იმ ცხოვრებისათვის, — როგორც ამას თვითონვე აღნიშნავს ერთ-ერთ წერილში, — რომელიც მის გარშემო იყო გაბატონებული. მას გული სხვაგან, „სხვა ხვედრისა“ და სხვა მერმისისაკენ მიუწევდა. ის თვითონაც იძახდა „ამ ცხოვრებისათვის არ ვარ გაჩენილიო“ და თითქოს ამ ცხოვრებამ მასზე ჯადო იყარა — სიცოცხლე მოუსპო კაბუჯ პოეტს იმ დროს და ისეთ ასაკში, რომ მისი ეგზომ პოეტური დამსახურება არვის სჯეროდა, არც არავინ იცოდა თითქმის და არც არავინ აფასებდა ღირსეულად.

ეს შეუფასებლობა იყო მთავარი მიზეზი, რომ დღემდე ვერ იქნა შესაფერისად შესწავლილი და აღწერილი ამგვარი ხანმოკლე სიცოცხლეც კი ჩვენი უახლოესი ლიტერატურის ისტორიაში.

„სიცოცხლე მოკლეა მაგრამ ხელოვნება საუკუნოა“.. ახალმა საუკუნემ ბარათაშვილი გააცოცხლა, გააუკვდავა და სცნო ქურუმად ხელოვნებისა, რომლის სუფევა მარადიულია. ამიტომ იმის ცხოვრებიდან გაბნეული ნამცეცები ყოველთვის იქნება ხალხის ყურადღებისა და სიყვარულის ღირსი. ქვემომოყვანილი ჩანაწერები ამგვარი ნამცეცებია, რომელთაც ცალკეული ადრესანტები ყვანან. პოეტის ცხოვრების საერთო საღაროში.

ამ შენიშვნაში ვეცდებით პოეტის პირველი ბიოგრაფიის უბისა და „სამახსოვრო წიგნების“ დაფაბტულ ფერცლებიდან ამოვკრიფოთ ის წვრილმანები, რომელნიც ნ. ბარათაშვილის ხანმოკლე ცხოვრების ნაწილებად გვგისახებიან და აქვე მოვიყვანოთ მათი გადმომცემის დასახელებითა და ჩაწერის პირვანდელი სახის დაცვით:

#### ლევან მელიქიშვილი:

„... მაღალაშვილი ბარათაშვილის ამხანაგი იყო. ის ხშირად დასცინოდა პოეტის ბიძას ილია ორბელიანს. ამ დაცინვაში ტატოლ

იღებდა ხოლმე მონაწილეობას. მოთმინებიდან გამოსულმა ორბელიანმა გადაწყვიტა პირველსავე შეხვედრაზე გამოეთხოვა მაღალაშვილი დუელში. სამწუხაროდ, ერთ-ერთ პირველ კრებაზე, საცაუნდა ყოფილიყო მაღალაშვილი, რაღაც მიზეზის გამო არ მოვიდა. ილიამ ჯავრი ტატოზე იყარა. დუელში გამოიწვია. ჯერ ხუმრობაში მინდოდა ჩამომერთმია, მაგრამ ვერ მოვახერხე. ილიამ ყაპარდოელი ატაჟუკინი აირჩია სეკუნდანტად, ტატომ—მაღლოც. ჩავედით დანიშნულ ადგილისაკენ ფეხით. რომ ექვი არ აელო, მე შუაში მივედიოდი. იქით და აქეთ ილია და ტატომე დავუწყე ლაპარაკი და დაიმედება. ილიამ მკითხა: მე კი არ გეცოდები, არა?.. პირობა ასეთი იყო: ვინც ცოცხალი და უვნებელი დარჩებოდა იმას თავის მოწინააღმდეგე ქირისუფლებთან ძიეყვანა. ილია მაღალ გორაზე დავაყენეთ და ტატო დაბალი, დაბალზე. მაღლოცმა მორთო... დამბაჩები მისცეს. დააყენეს. რაზ... დვა... ესროლეს. ერთს გაუცუდდა, ფალიამ იფეთქა. ილია გაჯავრდა, ეგონა რომ მოატყუეს. სული ჩაბერა. გატენილია. ხელახლა დააყარეს წამალი. ტატოსაც ხელახლა გაუტენეს და ესროლეს. ტატო წაიქცა განგებ. ილია შეწუხდა. თურმე დამბაჩები უტყვიოდ იყო გატენილი!

\* \*

ვერის წყლის პირად დავდიოდით ხშირად и предавались мечтам...

\* \*

Лучших стихов он писал в при [роде]...

„შეშლილში“ გამოყვანილი ყმაწვილი, რომლის შემოსვლისთანავე ნინო დაიძახებს „აგერ გიახლათ ჩენი მეჭორე“, — ტატო ბარათაშვილი არის<sup>2</sup>.

1. შემდეგ ტექსტი მოხეულია და რაც შემორჩენილია ისიც გადაშლილია და არ იკითხება. როგორც ერთი ადგილიდან ჩანს ეს აშბავი 1841 წლ. შემოდგომაზე უნდა მომხდარიყოს, თვე არ არის ნაჩვენები, არც ადგილი, თუ სად იყო ეს დუელი გათამაშებული. — ს. ც.

2. საქ. სახ. ლიტ. მუზეუმში დაცულ გ. ერისთავის ხელნაწერ ალბომში (546|4) მოთავსებულ „შეშლილის“ მოქმედ პირთა შორის, მართლაც ნაპვინებია ტატო, ხოლო იქ, სადაც ეს მომენდი პირი შემოვა და ალაპარაკდება, — სწორია ყმაწვილი. დიალოგისა და სხვა მასალის ყველა ნიშნები ამჟღავნებს, რომ აქ მართლა ნ. ბარათაშვილია გამოყვანილი, მაგრამ ავტორმა მთლიანად არ ისურვა მისი გამოაშკარავება და დიალოგის დროს ტატო „ყმაწვილად“ შესცვალა, თუმცა ტატოს ხასიათები იმგვარად დაიცვა, რომ სახელის მოუხსენებლადაც ადვილია მისი გამოცნობა. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. გ. ერისთავის თხზულებანი, „ფედერაციის“ გამ., გვ. 399, 1936.



\* \* \*

მელიტონმა, როცა ის მაზრის მაზშლად იყო, გუბერნიატორის სეკრეტარი მოითხოვეს, რაღაც საქმის მოძებნა სთხოვა და იმან უარი უთხრა და იმიტომ

\* \* \*

გრიგოლ ორბელიანი:

ბარათაშვილი, ჩემი დისწული, იყო დიდად ნიჭიერი ყმაწვილი. ის მსახურებდა პალატაში; ბევრი სირბილი უყვარდა. ცოტან კრქლობდა. ერთხელ ილინსკიმ რევიზია გაუკეთა და ჰველაფერი რიგზე რომ ნახა უთხრა თურმე, в таком роде продолжайте бегать, сколько вашей душе угодно.

\* \* \*

ის ეხვეწა მანას, რომ უნივერსიტეტში გაეკზაენა მაგრამ მამამ არა ჰქნა. მოკვდა განჯაში, საცა ასრულებდა правителя канцелярии-ს თანამდებობას<sup>1</sup>. სიკვდილის შემს 25 თუ. 27 წლისა იყო. დაიმარხა იქაურს ციხაში. იმისი პორტრეტი კოლა ერისთავის დგდასა ჰქონდა და არ ვიცი რა უყო.

\* \* \*

სამჯერ დამეღუბა ჩემი დღიურები. ერთხელ დონში ჩავცვიინდით და კინალამ მეც დავიბრჩვი; შეორეჯერ, როცა ავარიის ხანი ვიყავი შამილის დროს. ღცებ წინანდალში შემხვდა გასოქცევა და ტანისამოსები და წიგნები იქ დაშეკარგა. შესამეჯერ, განჩხრიკეს, როცა პოლიტიკური ორგულობა შემწამეს და სხვა წიგნებთან ერთად ჩემი მისამე და უკანასკნელი დღიურებიც დაშეკარგა. შემდეგ ბევრი ვიხვეწე, ბევრი ვიმუდარე, მაგრამ არავინ ყურადღება არ მომაქცია და დღესაც დაკარგულად ვთვლი იმ წიგნებსა და დღიურებს.

ბიძინა ჩლოყაშვილი:

ნიკო ბარათაშვილი ბევრს დაარბოდა. ბევრგან არც კი იღებდნენ სიყვარულით: „უთხარიდ, შინ არ არის-თვო“.

\* \* \*

უყვარდა ფალავანდოვის ცოლი. ამ ქალმა კი კონსტანტინე დადიანი ირჩია.

---

<sup>1</sup> გრ. ორბელიანის ეს ცნობა ნიმუშია იმისა, თუ როგორ მივიწყებული ყავდათ ნ. ბარათაშვილი უახლოეს ნათესავესაც კი. თავის ბიძას მამან წლებში უკვე არ ახსოვს ამგვარი „დიდად ნიჭიერი“ დისწული, განჯაში კანცელარიის მმართველი იყო თუ მაზრის უფროსის თანამემწე, ან მისი პორტრეტი ვისა და სად ჰქონდა.—ს. ც.

\* \*

ბებუთოვი, ფალავანდოვი, ენიკოლოფოვი, მამაცოვი, ბარათო-  
ვი, ლევანი<sup>1</sup> და დავით ჭავჭავაძე ამხანაგები იყვნენ, მარტო ამათ  
იციოდნენ კარგი ქართული.

\* \*

თელავში უნდა გამწესებულყო, ტროიკაც მოიყვანეს წასასვლე-  
ლად, როდესაც მამუკა მოვიდა.

\* \*

ჯერ ნახჭევანში იყო ლევანის პომოშნიკად, რომელიც გაგზავ-  
ნილი იყო „უზდის ნაჩალნიკად“, მერე მამუკას „პომოშნიკად“ და-  
ნიშნეს განჯაში.

\* \*

ჩაჩაღების დევნის დროს გაციებულა. ის იყო, უნდა ზორჩენი-  
ლიყო, რომ ერთბაშად ბევრი ლუდი არ დაეღია სიცხეში მყოფს,  
ხელახლა ვაცივდა და მოკვდა, დაძარხულია იქვე განჯაში.

\*

ფეხი პატარაობისას ჰქონდა ნატკენი.

იასე ანდრონიკაშვილი:

„კნიაზ“ ერისთავის ქორწილზე ბევრი ხალხი იყო. ივან მალხა-  
ზიჩი<sup>2</sup> მეორე ოთახში იყო და იქ ჰქონდა გაშლილი სუფრა. ქეიფი  
გაიმართა. ოროველა და სხვა ბევრი სიმღერები შემოსახეს.

— თქვე დურაკებო, ბრიყვებო, ხელმწიფე მომკვდარა, რა  
გემღერებათო. — დაიყვირა მალხაზიჩმა. ტატო ბარათაშვილი დიდი  
ყანწით ღვინოსა სვაჰდა და უცბად:

— ვინ ხელმწიფე, მისი დედაც მ...

— Арестовать!..

ტატო გამობტა გარეთ, შეჯდა ცხენზე და მოჰკურცხლა.

— ეხლა უბრძანე, კნიაზ, „არესტუი“...

დიმ. ყიფიანი:

— ერთხელ, ერთს შეყრილობაზე ბევრი ყმაწვილი კაცები ვი-  
ყავით. საუბარმა მოიტანა და ბაბო ხერხეულიძის მამამ<sup>3</sup> იკითხა:  
ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ე, ბერძნებს რომ ყველაფრის ღმერ-

<sup>1</sup> მელიქიშვილი — ს. ც.

<sup>2</sup> ანდრონიკაშვილი.

<sup>3</sup> ანდრია ხერხეულიძე, მამა ცნობილი მსახიობისა ბაბო ხერხეულიძე-ავა-  
ლიშვილისა. — ს. ც.

თი ჰყოლიათ, ნეტავი, ვირგბის ღმერთიცა ჰყავდათ? ტატო ბარათაშვილმა სხარტულად მიუგო:

— ეს პლატონს უნდა ჰკითხოთ, ის არის ბოლ-ასლოვი-ო და პლატონ იოსელიანისაკენ მიუთითა.

**ალ. საგინაშვილი:**

— მელიტონი, ტატოს მამა, ტფილისის მაზრის მარშლად იყო. აგრეთვე გუბერნიის წინამძღოლადაც. ფართოდ გაშლილი ოჯახი ჰქონდა. მისი სუფრა მუდამ დატვირთული იყო და მთელს ტფილისში ნაქები სიუხვით. მაგრამ მალე სიღარიბეში ჩავარდა. ტატოს, მამის მიერ აღებული ვალი ბევრჯერ გადაუხდია.

**გრ. დადიანი:**

— პლატონ იოსელიანს ძალიან მოსწონდა ნიჭიერი ნ. ბარათაშვილი და წინასწარმეტყველის ნიშნით სულ იმას გაიძახოდა:

— ეს კარგი გამოვაო.

**დიმ. ვეზირიშვილი:**

— ნიკოს ძლიერ მოსწონდა მომღერალი სათარა და ხშირადაც აქებდა მას. ქართლში რომ იყო სათარას საქები ლექსი ზედ ეკლესიის კარზე დაწერა<sup>1</sup>.

**ლუკა ისარლიშვილი:**

— ნიკო ბარათოვი და მე ერთად ვსწავლობდით. გიმნაზია ერთად გავათავეთ 1834 წ. ჩვენი ქართულის ოსტატები იყენენ სოლომონ დოდაევი და ევრემ ალექსეევ-მესხიევი; ყველა ლექსს მე მიკითხავდა. ხნით მე უფროსი ვიყავი. ვკითხულობდით „ვეფხისტყაოსანს“ და მთელი ადგილები ზებირად ვიცოდით. ვკითხულობდით აგრეთვე „ვისრამიანს“, ჩახრუხადეს. ალ. ჭავჭავაძეს. იდგა დიმიტრი ორბელიანის ცოლის სახლში, на площ. Экзарха, большой дом... იდგა დედამამსთან, მამა თარჯიმანი იყო; უყვარდა

<sup>1</sup> ნ. ბარათაშვილის ქართლში ყოფნა დოკუმენტალურად დამოწმებულია (იხ. წერილი ზაქარიასთან კატოს გათხოვების შესახებ), მაგრამ თუ რომელი ეკლესიის კარზეა ეს ლექსი ან სად არის იგი, დღემდე არავინ იცის. შეიძლება იგი ელისთვიანთ კარის ეკლესიაზე იყო წარწერილი ახალგორში. ასეთ შემთხვევაზე ამბობს მისი ბიოგრაფი, რომ ბარათაშვილი არცერთ ადგილას არ ვრიდებოდა თუ თხზვის მომენტი ჰქონდა—იგი იქვე წერდაო, და ამგვარად უმეტესობა მისი ლექსებისა ოჯახს გარეთ არის დაწერილი.—ს. ც

1957

ფრანცუზის, ბამბახნიკის (?)<sup>1</sup> ქალი დელფინი, ძალიან უყვარდა ეს ქალი. ერთხელ გაებუტა და მაშინ დასწერა: „რად მრისხანებ... თუ ამგვარი ლექსი.“

\* \* \*

მანანა ორბელიანის სალონო იყო, საცა „ცისკრის“ გამოცემასა და ქართულ თეატრს ნიგუა დასაწყისი. აქ იკრიბებოდნენ და კითხულობდნენ ლექსებს: ტატო (ნიკო ბარათაშვილს ასე ეძახდნენ), გიორგი ერისთავი, ბირთველიჩი, მალალაშვილი, ხანდახან ყიფიანი და სხვა.

ერთ საღამოს სთქვეს: შოღი ერთი ჟურნალი გამოცვეთო და ის იყო... ვარანცოვი მანანასთან ხშირად დადიოდა და აქ შეიტყო ამ განზრახვის შესახებ და გიორგი ერისთავს ეც. მოიწონა და შემწეობა მისცა ჟურნალის გამოცემისა და თეატრისათვის.

\* \* \*

— გლუხარჩი: „был шутник, стерлся...“ (?) ვარანცოვმან წალოში მოამწყვდია. ნასადილევი ვიყავი. გაფარალათებული, — მოგვიყვა ერთხელ ის — ვარანცოვი ფეხით მიმოივლიდა ქალაქს. დავინახე რომ ამოდიოდა, ვისკუბე წალოში. კარები ერთის ყოფით მოვიკეტე. ბიქს ვუთხარი: შინ არ არის-თქო, ის შემოვიდა გაიარ-გამოიარა. გადაურჩი განსაცდელს. საღამოს он об'ехал всех и рассказал (სწორედ შვილს ჰგვანებია).

\* \* \*

— გიორგი<sup>2</sup> რომ ტახტზე ავიდა მისს სიძეს (დის ქმარს) ნინია ბარათაშვილს ეთქვა: ეხ, რა მეფობას შეიძლებს ესაო! როცა ერეკლეს სიკვდილის შემდეგ ექვსი თვე გასულა და ტრაური გათავებულა, მეფის კარისკაცს ჩვეულებრივად დაუყვირნია: ბატონის სიძე მობრძანდებო, — ქუჩი ჩამოიხადეთ!.. შემოვიდა თვითონაცა. ბიჭებო, მიშველეთ, დაჰკარით! დაჰკრეს.

— შემიძლია თუ არა მეფობა? დაჰკარით, გააგდეთო! — გასძახა გიორგიმ.

<sup>1</sup> ამ ადგილის ამოკითხვა სხვაგვარად ვერ ხერხდება. ჩვენ იგი შეცოთვით დავბეჭდეთ „ლიტ: მატიაშვი“ (იხ. № 1—2). „ბამბახნიკად“.

<sup>2</sup> გ. ერისთავი — ს. ც;

<sup>3</sup> ლაბარაკია მეფე გიორგი მე-12-ზე

\* \*

— ბარათაშვილი გიმნაზიაშივე ეპიკრამებს წერდა და ბევრს იმღერებდა. მაშა ცუდი ხასიათისა იყო და ზაკიდებული ჰყავდა...

\* \*

— ერთხელ მარტყოფში ვნახე და მშვენიერი ლექური ითაშა. ილიკო ორბელიანმა დუელში გამოითხოვა, ლევანი სეკუნდაბტი იყო და წეარია.

\* \*

— ლექსის, „ჩემს ძერანს“, სიუჟეტი ნასესხებია მიცკევიჩის „ფარისიდან“, ჩვენს დროში ეს ლექსი („ფარისი“) ძალიან მოდაში იყო, დაბეჭდილიც იყო კიდევ<sup>1</sup>.

\*

ბარათაშვილს პორტრეტი დარჩა, მაგრამ ვისთან იბოვება ჯერ არ ვიცით. ერთი კოლას აედასა ჰქონდა და რა უყოარ ვიცი. ისე: მოთეთრო სახისა იყო. პირბმელი, შავი ცოცხალი თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა, ხშირი წარბები ერთმანეთთან გადალობილი ჰქონდა. მოგრძო თვალები ცნვივისაკენ იყო დახრილი. წვერს არ ატარებდა. ხშირად ორც უღვაშსაც. სახე შორიდან შნოიანი, ახლოდან კოტა დაღმეჭილსა ჰგავდა. იცვამდა ბუზჩენტიან ქაჯაჯას, უფრო ხშირად სერთუცი ეცვა. საგრძნობლად კოქლობდა, მაგრამ მაინც ბევრს დარბოდა.

\* \*

ლუკა ისარლოშვილისაგან პოეტის სახის ამ აღწერილობის უფრო სრულყოფილობისა და დამაჯერებლობისათვის საჭიროა აქვე მოვიყვანოთ მოგონებები კიდევ სხვა სარწმუნო პირთა, რომელთაც პოეტი უნახავთ, მისი სახე დაუმახსოვრებიათ და ოთხმოციან წლებამდე, თუ უფრო გვიანამდეც უტარებიათ.

პოეტის დის მარბარე ვეზირიშვილის მოგონებით: „ნიკო ძალიან მალხაზი. მარდი იყო და ღიმხიდველი სახის. შუათანა ტანის, არც გამხდარი, არც მსუქანი: წაბლისფერი თმა, ბუდეშურად მოყვანილი თვალები; წარბები შეერთებული, სვერუღვაშს იპარსავდა, იცვამდა-ეგროპიულს სამოქალაქო ტანისამოსს. ნიკოლოზ პირველი რომ ჩამოვიდა ქალაქს, ნიკოს ჰულაჯა-ეცვა, - ჰულაჯა ფოლოსფერისა, ბეწვ-მოვლებული, ახალბედი კიბეი მკრთალი, შარვალი შავი მაუდისა, წალა თეთრი, ქართული, წვ ტიანი, ხელმწიფეს ძლიერ მოეწონა ნიკო და უხრა: 'შენ ჩემი ორდინარეცი ხარო!'“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იგივე ისარლოვი მეორე ადგ. კიდევ ამგვარსავე ჩვენებას აძლევს ი. მფუნარკის.

<sup>2</sup> იხ. ნ. ბარათაშვილი, 1922 წლის აკად. გამოც. გვ. 242.

დიმიტრი ყიფიანის მოგონებით: ნ. ბარათაშვილი იყო „დაბალ-  
დაბალი, ჩამკვრივებული. ნოლა (ცხვირით) მეტისშეტად ცოცხალი,  
მხიარული, მოსწრებული“<sup>1</sup>

ნინო ყიფიანი (დიმიტრის მეუღლე) იგონებს, რომ (ბარათაშ-  
ვილი) დაბალი ტანისა იყო. წმინდა სახე და პატარა შავი უღვაშებით.  
თმას ყოველთვის მოკლედ იკრძქვდა, არ უყვარდა გრძელი თმა.  
ლაპარაკობდა სხაპასუხით და ძალიან ცოცხალი იყო. ამავე ნინო  
ყიფიანის სიტყვით პოეტის უპირობი დის სოფიოს პორტრეტს რომ  
პატარა უღვაშები (УСИКИ) გაუკეთდეს და სერთუკი ჩაცვათ თქვენ  
პოეტის პორტრეტი გექნებათო<sup>2</sup>.

კონსტანტინე მამაცაშვილის აღწერილობით „ნ. კოლოზ ბარა-  
თაშვილი იყო შუათანა ტანისა, ჩინებული ტანადი, ცოტა პირხმელი,  
ცოცხალი შავის თვალებით, წაბლის ფერის თმით, სახე საგანგებოდ  
მინზიდველი, — ქართულად რომ იტყვიან, მარილიანი“<sup>3</sup>.

აღექსანდრე ორბელიანი თავის მემუარებში გულის ტკეპილით  
იგონებს რა, ნიჭიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის უპირობოდ დაკარგვას  
წერს: — „ეხლა მისს პატარასა ლა აზსა-თავზედ მამულისა პოეტობის  
ბრწყინვალეების გვირგვინს დაადგამდნენო“<sup>4</sup>.

ზ. მთაწმინდელის მიერ შეკრივილი ცნობებით: „ნ. ბარათაშ-  
ვილი მოთეთრო სახის კაცი ყოფილა, სახით გრძელი, შუბლიდან მა-  
რილიანი შესახედი, ახლოდან კი დაქვანელი. შავი თვალებით, წაბ-  
ლის ფერის თმით, ტანით შუათანა, საშუალო სისქისა“<sup>5</sup>.

პოეტის თანამედროვე სხვადასხვა პირთა გადმოცემით ბა-  
რათაშვილის ბიოგრაფი იონა მევუნარჯია აღნიშნავს: „გაგო-  
ნებით თ. ნ. ბარათაშვილი იყო მოთეთრო სახისა, პირხმე-  
ლი, შავი ცოცხალის თვალებით, წაბლისფერის თმით, საშუალო  
ტანისა და სისქისა. მისი ხშირი წარბები ერთმანეთთან გადალო-  
ბილი და თვალები ოდნავ დახრილი ცხვირისაკენ ამხილებდენ მასში  
ოდესმე ჩინეთიდან გადმოსახლებულ წინაპართა ჩამომავალს“.

<sup>1</sup> წერილი დ. ყიფიანისა შვილთან, ნიკოლოზთან, დაცულია დიტ. მუზეუმში.  
№ 520712. დაბეჭდა გ. ლეონიძემ — „ლიტ. მატრიანე“ № 1—2, გვ. 407.

<sup>2</sup> 1922 წ. აკად. გამოც. გვ. 245.

<sup>3</sup> იხ. გაზ. „დროება“ 1881 წ., № 206.

<sup>4</sup> იხ. აღ. ორბელიანის ნაწერები, გამ. ხ. კ. 1879 წ., გვ. 252.

<sup>5</sup> იხ. ზ. მთაწმინდელი (ხ. ჭიჭინაძე) „ნ. ბარათაშვილი“, გვ. 30.

ყველა ამას უნდა დაემატოს გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილის ზოგიერთი მოსაზრებაც პოეტის სურათის შესახებ. თუმანიშვილი გადმოგვცემს, რომ პოეტის თხზულებათა კრებულის პირველი გამოცემისათვის (1876) სურათი პორტრეტის დართვა, მაგრამ იგი არავის აღმოაჩნდა. შემდეგ მას უპოვია თავისი მამის მიხეილის (ბარათაშვილის მეგობრისა და სკოლის ამხანაგის) ქალაქებში უბრალო ფანქრით მონახაზი ესკიზი წარწერით ნ. ბ., რომელიც პოეტის თანამედროვეებსა და ნათესავებს ნ. ბარათაშვილისათვის მიუშვავსებიათ და უთქვამთ, რომ ეს ნამდვილად ტატოს სურათია, მაგრამ не совсем удачный არისო, მათივე სიტყვით მონახაზი მოგვაგონებს უფრო პოეტის ბიძას ილია ორბელიანს, რომელსაც თურმე ძლიერ ჭგავდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. მათ ამგვარადვე გადაუციათ ეს მოსაზრება ილია ჭავჭავაძისათვისაც, რომელსაც ამის შესახებ გ. თუმანიშვილთანაც ჰქონია საუბარი და ეგ სურათიც წაუღია, რომ სხვა ნაცნობ-ნათესავებისათვისაც ეჩვენებინა. ესკიზი, ამ ხელიდან-ხელში გადასვლის პერიოდში, სადღაც დაკარგულა. ხოლო ის პორტრეტი, რომელიც 1904 წ. გავრცელდა ჟურნ. „მოგზაურის“ საშუალებით საკმაოდ ფანტასტიურიაო, — აღნიშნავს იგივე თუმანიშვილი და დასძენს, რომ პოეტი ძლიერ გავდა თურმე ერთერთ მის დას, რომლის პირისახის მიხედვით ვითომ მხატვარ მიმცემლიძეს გაეკეთებინოს იგი.

მიხ. თუმანიშვილის აღნიშნულ ესკიზის შესახებ გ. თუმანიშვილი წერს:

„მამაჩემი რასაკვირველია, არ იყო პროფესიონალი მხატვარი, მაგრამ მისი ლიტერატურული მონახაზი, მეტ წილად ემთხვეოდა ორიგინალს. ჩემი აზრით კარგი იქნებოდა ნ. ბარათაშვილის გამომცემლებს ეგ ესკიზი გამოეყენებინათ პოეტის პორტრეტის დადგენის დროს“<sup>1</sup>, მაგრამ იგი იმ ხანებში სადღაც გაიბნა და არვინ იცოდა, თუ სად, ვისთან ინახებოდა.

1916 წელს პოეტის დაბადების ასიწლისთავის აღსანიშნავ გაზ. „ქართველოს“ სურათებიან დამატებაში (№46, 20 ნოემბერი) დაიბეჭდა ესკიზი წარწერით ნ. ბ., რომელიც მიჩნეული იქნა პოეტის სახის გამომხატველ სურათად, მიხ. თუმანიშვილის, იმ დროებით დაკარგულ მონახაზად, მით უფრო იგი მ. თუმანიშვილის ქალის ანასტასია თუმანიშვილა-წერეთლის არქივში აღმოჩენილა. გა-

<sup>1</sup> იხ. Характеристики и Воспоминания, I, 1913 г., გვ. 152.

ზეთის ამ ნომერშივე მოთავსდა ამ ესკიზის მიხედვით აღდგენილ და გაცოცხლებული პორტრეტი ნ. ბარათაშვილისა, შესრულებული მხატვარ მოსე თოიძის მიერ, რომელიც აგრეთვე საინტერესო ცნობას იძლევა მონასახის ირგვლივ.

მ. თოიძემ პოეტის დისწულის ვეზირიშვილის თხოვნით ინახულა ნ. ბარათაშვილის ავადმყოფი და ბარბარე ვეზირიშვილისა (გარდაიცვ. 1919 წ.), ამ ნახვის მიზანი იყო გასცნობოდა საგვარეულო ფოტო-სურათებსა და დის მოგონებებს ნიკ. ბარათაშვილის პორტრეტის შესაქმნელად. როდესაც ვეზირიშვილისას ესკიზი უჩვენეს, მან ამ ესკიზში თავისი ძმა შეიცნო, თუმცა თანაც უკმაყოფილება გამოსთქვა, იგი ნახატზე უფრო უღამაზოა, ვიდრე ნამდვილად იყო. მხატვარი თოიძე განცვიფრებას გამოსთქვამს ესკიზის მსგავსებით იმ პირებთან, ვისი ფოტოსურათებიც ვეზირიშვილისამ უჩვენა, და თვით ვეზირიშვილთანაც. მას როგორც მხატვარს, მაშინვე ეცა თვალში საკვირველი ხელოვნება ბუნებისა, რომელმაც სისხლით ერთმანეთთან მახლობელ ადამიანებს სახის საერთო საგვარეულო ნაკვთები დაანათლა<sup>1</sup>.

ამგვარად, მ. თუმანიშვილისეული ეს მონასახი<sup>2</sup> ერთადერთი დოკუმენტია, ჯერჯერობით მაინც, ბარათაშვილის სახის მოსაგონებლად; საჭიროა მხოლოდ მისი უფრო განვითარება, დეტალიზაცია, ზოგიერთი ხაზების შესწორება და საბოლოო დასრულება, რაც ჩვენმა მხატვრებმა უნდა იკისრონ.

სრულმონე ტაიშვილი

<sup>1</sup> იხ. „ლიტ. მატრიანე“, № 1—2, გვ. 553—4.

<sup>2</sup> თუმანიშვილის ამ ესკიზის შესახებ დაწვრილებით იხ. „ლიტ. მატრიანე“ № 1—2, გვ. 550.



894.63-09  
2601

ს ა რ რ ე ვ ი

|   |       |
|---|-------|
| ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის (წინასიტყვა) . . . . . | 3 გვ. |
| ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა . . . . .          | 13 „  |
| დამატებანი . . . . .  | 69 „  |

Иона Меунаргия

Жизнь и Поэзия

Николая Бараташвили

(на грузинском языке)

под редакцией С. Цаишвили

Грузгостехниздат, Тбилиси—1945 г.

რედაქტორი აკად. გიორგი ლენინიძე

შგკ. № 1165.

ტირაჟი 3000.

უგ 09042.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“  
თბილისი, ლენინის, 28.

894.63.09

2 601

8960 10 896

Ward 76  
6000 77